დიდი გაყალბების კარუსელი A2

საკნებში მხოლოდ ვირთხებს არ აწამებენ A7

აფრიკელი ფეხბურთელები მთელ მსოფლიოს მოედნენ B2



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 3 ივნისი, 2002 წელი. №1 — ფასი 50 თეთრი


# არჩევნები ქართულად:

## გააკეთეთ რაც გინდათ, ოღონდ ისე გააკეთეთ, როგორც მე მინდა!



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

დავით ზურაბიშვილი

აღსრულდა! ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში - მრავალტანჯული, მრავალდებატებგამოვლილი და მრავალგზის გაწელილ-გადადებული - როგორც იქნა, ჩატარდა. იგი ჩატარდა ისე, როგორც უნდა ჩატარებულიყო, ანუ, პრაქტიკულად, არ ჩატარებულა, რადგან არც უნდა ჩატარებულიყო.

ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ არის შედეგებზე. არც იმაზე, თუ სად მეტი გაყალბდა, სად ნაკლები და რამდენად ასახავს რეალობას კონკრეტული ქალაქის, რაიონის თუ სოფლის მაჩვენებლები. მთავარი სხვაა: კერძოდ ნება, ანუ სურვილი.

ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთადერთი შესაძლო ვარიანტი იმისა, რომ წარმომადგენლობითი ხელისუფლების არჩევნები რეალურად გამოხატავდეს მოსახლეობის არჩევანს: ეს არის ძალაუფლების მქონეთა ნება - იმოქმედონ კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისად და საკუთარი ძალმოსილება გამოიყენონ მარტოოდენ იმისთვის, რათა უზრუნველყონ არჩევნების პროცესის ნორმალური ჩატარება. ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ ფლობს რეალურ ძალაუფლებას: სახელმწიფო ხელისუფლება, ოპოზიციური დაჯგუფება თუ საოკუპაციო ჯარი. ვისაც ძალა აქვს, თამაშის წესებსაც ის ადგენს.

ძლიერი ავტორიტარული რეჟიმების ქვეყნებში არჩევნების დროს არანაირი ექსცესები არ ხდება. არჩევნების პროცესი - წმინდა წყლის ფორმალობაა, რადგან საბოლოო ჯამში "კომპეტენტური ორგანოების" წარმომადგენლები ყველაფერს თავიდან დაითვლიან და მიღებული იქნება ისეთი შედეგი, როგორიც ხელისუფლებას სურს. ორიოდ წლის წინ აზერბაიჯანის საპარლამენტო არევნებზე, ქართველი დამკვირვებლები უშუალოდ შეესწრნენ, თუ როგორ იმარჯვებდა საარჩევნო უბნებზე ოპოზიცია, მაგრამ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან სულ სხვა შედეგი გამოვიდა და ბოლოს ვერც ერთი ოპოზიციონერი პარლამენტში ვერ მოხვდა.

გაგრძელება A4 გვერდზე


გუშინ ცესკო დამკვირვებლის სტატუსით შემოიფარგლა A3

ქართული წყალი ირანში გაიყიდება A6

გვეყოს ხალხის მღვიმეებში შერეკვა A8

ბრაზილია ემერსონს კარგავს B3

ქართველი ბავშვები შიდსს ეთამაშებიან B5

ქართული კულტურა ინტერნეტში B6


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 20° | |
| ქუთაისი | 21° | |
| ბათუმი | 22° | |
| სოხუმი | 21° | |
| ფოთი | 21° | |
| თელავი | 19° | |
| გორი | 17° | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2155 |
| ევრო | 2.0775 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2479 |
| რუბლი | 0.0707 |

## არჩევანის უფლების სრული განადგურება

ბადრი კოპლატაძე

ცნება "არჩევნების გაყალბება" ქართულ ცნობიერებაში პირველად 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა. არავინ იცის, პირველად ვინ და როდის იხმარა სიტყვათა ეს წყობა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ეს გამოთქმა ისეთივე ინტენსივობით იხმარება, როგორც ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ტერმინი.

თუმცა მანამდე იყო დიდი მოლოდინი. მოლოდინი იმისა, რომ ახალ დამოუკიდებელ საქართველოში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, რომ ხალხი თვითონ, ძალდატანების გარეშე აირჩევდა ხელისუფლებას, რომ ხელისუფლება იზრუნებდა ხალხზე, რომ ქვეყანაში ყველას თავისი შესაძლებლობების გამოვლენის ერთნაირი შანსი მიეცემოდა და ა.შ. და ა.შ. მაგრამ როგორც ხშირად ხდება, დიდ მოლოდინს დიდი იმედგაცრუება მოყვება ხოლმე. ბოლო ათი წელია, ეს ილუზიები ერთმანეთის მიყოლებით იმსხვრევა, იმსხვრევა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. ადამიანები უკვე ფსიქოლგიურად ეგუებიან ამ ყველაფერს. აღარავის უკვირს, რომ "ვიღაცა" საარჩევნო უბნებს არბევს, ანადგურებს, ყუთებს იტაცებს. აღარც ის უკვირს ვინმეს, რომ "ვიღაცები" სახელმწიფოს ხარჯზე უზომოდ მდიდრდებიან.

გაგრძელება A4 გვერდზე

## გაყალბებული არჩევნები - მოსალოდნელი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მიზეზი

ეკა კვესიტაძე

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს საერთაშორისო სირცხვილად იქცა, როცა 80 პროცენტით გამარჯვებული პრეზიდენტი შევარდნაძე უცხოურმა პრესამ თურქმენბაშ ნიაზოვს შეადარა და პირველად ღიად ალაპარაკდა საქართველოში დემოკრატიის მარცხზე.

თუმცა, ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიის უფრო დიდი მარცხი აღმოჩნდა. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ეს იყო ყველაზე ტოტალურად გაყალბებული არჩევნები, რომელიც კი საქართველოში ჩატარებულა. გაყალბების შედეგები კი, ყველაზე თვალნათლივ, იმ ათასობით ადამიანში გამოიხატა, რომლებიც გუშინ მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ ხმის მიცემას და ამის საშუალება არც ერთ საარჩევნო უბანში არ მიეცათ.

**"ორგანიზაციული თვალსაზრისით ეს იყო ყველაზე ცუდი არჩევნები, ამომრჩეველთა სიებში არ იყო შეტანილი უამრავი ადამიანი და საერთოდ, მთლიანად კორპუსები იყო ამოღებული საარჩევნო უბნებიდან, სიებთან დაკავშირებულმა განუკითხაობამ კი, ბევრად უფრო გაადვილა "კარუსელის" ეფექტური ამოქმედება,"** – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენელი კოტე კანდელაკი.

არჩევნების სერიოზულ გაყალბებაზე სოციოლოგიური სამსახურის "აი-პი-ემის" ხელმძღვანელი გოჩა ცქიტიშვილიც მიანიშნებს. "აი-პი-ემის" მონაცემებით, რომელიც წინასაარჩევნო გამოკითხვებს ემყარებოდა, "ნაციონალურ მოძრაობას", "ახლებს", "მრეწველებს", "ჟვანიას გუნდს" და "აღორძინებას", არჩევნებში, მეტ-ნაკლები სხვაობით, დაახლოებით 2 პროცენტით მეტი ხმა უნდა მიეღოთ. ხოლო ლეიბორისტებს მხოლოდ 15-17 პროცენტის აღება შეეძლოთ.

ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ხმების გაყალბება "ლეიბორისტების" სასარგებლოდ ყველას ხარჯზე მოხდა.

სხვათა შორის, ამ კონტექსტში საინტერესოდ ჯდება ის ფაქტი, რომ "მოქალაქეთა კავშირმა", რომელიც დღეს ოფიციალურად წარმოადგენს ხელისუფლებას, წინანსწარი მონაცემებით, 2 პროცენტზე ცოტა მეტი მიიღო, ანუ გაყალბება, რომელსაც ადგილი ჰქონდა, აშკარად არ მუშაობდა "მოქალაქეთა კავშირის" სასარგებლოდ.

თუმცა, გუშინ არც ერთი ეს პარტია, ჟვანია–სააკაშვილის გუნდის გარდა, არჩევნების სერიოზული გაყალბების გამო პროტესტს არ გამოთქვამდა. ანუ გაჩნდა იმის განცდა, რომ საკრებულოში გასულმა პარტიებმა უკვე კოალიციაზე შეთანხმება დაიწყეს.

ერთმანეთთან შესაძლო თანამშრომლობაზე გუშინვე ალაპარაკდნენ "ახალი მემარჯვენეების" და "ლეიბორისტების" ლიდერები. "ლეიბორისტებთან" მოლაპარაკების შემთხვევაში, "ნაციონალურ მოძრაობას" რჩებოდა დიდი შანსი, რომ საკრებულოში უმრავლესობა შეექმნა. თუმცა სააკაშვილი გუშინ აცხადებდა, რომ ის საკრებულოში ბრძოლას არ აპირებს და უახლოეს დღეებში შევარდნაძის გადაყენების საკითხს დააყენებს.

სააკაშვილის ამ პათოსს მოგვიანებით ზურაბ ჟვანიაც შეუერთდა.

**"ხელისუფლებამ ამ არჩევნებით აჩვენა, რომ თავისი თავი კანონზე მაღლა დააყენა, რაც ნიშნავს, რომ ის კანონგარეშე ხელისუფლებაა. მე მოვუწოდებ საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომ არ დაუშვან საქართველოს ბანანის რესპუბლიკად გადაქცევა, რათა არ დაკანონდეს ის, რაც ფეხქვეშ თელავს ჩვენს ეროვნულ ღირსებასა და საერთაშორისო რეპუტაციას",** - ამ სიტყვებით სააკაშვილმა გუშინ გრიბოედოვის დარბაზში შეგროვილ მხარდამჭერებს საპროტესტო აქციებისაკენ მოუწოდა.

პირველი საპროტესტო აქცია, სავარაუდოდ, დღეს შუადღისას კანცელარიასთან გაიმართება.

## რეპორტაჟი რუსთავიდან

მაია მოსიაშვილი

2 ივნისს, დილის რვა საათსა და ოც წუთზე, თბილისიდან მომავალი მიკროავტობუსი, რომელშიც რუსთავისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენები ეწყო, დაუდგენელმა პირებმა ფონიჭალაში, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გადასახვევთან დააყაჩაღეს. მიკროავტობუსში ოთხი ადამიანი იჯდა: მძღოლი, ორი შეიარაღებული პოლიციელი და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ავთო კარანაძე. ისინი აცხადებენ, რომ გზა მანქანებით დაახლოებით 40-მდე უნიღბო, პისტოლეტებით შეიარაღებულმა პირმა გადაკეტა. მათ მიკროავტობუსში მსხდომთ მიმართეს, არ გაეწიათ წინაალმდეგობა. პოლიციელები, სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, არ შეეწინააღმდეგნენ თავდამსხმელებს, რომლებმაც მხოლოდ ბიულეტენები წაიღეს და მათთვის იარაღიც კი არ ჩამოურთმევიათ. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები 20 წუთის შემდეგ მივიდნენ. ქვემო ქართლის პოლიციის უფროსის ალეკო ბუკიას ინფორმაციით, თავდამსხმელები 2 მიკროავრობუსითა და ჟიგულის მარკის ავტომობილებით იყვნენ და ნაძარცვი თბილისის მიმართულებით წაიღეს. ბუკია აცხადებს, რომ მათი ნომრები დაფიქსირებულია და, ფაქტობრივად, დადგენილია 2 მანქანის მფლობელთა ვინაობა: **"შეიძლება ითქვას, რომ საქმემ წინ წაიწია. უკვე ცხადია, რომ მძარცველებს დავაკავებთ, მაგრამ ვინ იქნებიან, ან რომელი მხარის წარმომადგენლები, წინასწარ ვერ გეტყვით."**

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 ინტერვიუ

B3 ფეხბურთი B4 ტოტალიზატორი B5 საზოგადოება B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

# რეპორტაჟი რუსთავიდან



მარიკა ამურველაშვილი ფოტო

პირველი გვერდიდან

უკვე ცხრის ნახევრისათვის მოქალაქეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი სამხარეო ადმინისტრაციაში შეიჭრა. დარწმუნდნენ რა, რომ მამალაძე იქ არ იყო, მათ, საიდანღაც უცბად გაჩენილი ჩაქუჩებისა და ფიცრების მეშვეობით, გუბერნატორის კაბინეტის კარი აჭედეს. პარარელურად, შენობის წინ, სადაც მერია და სამხარეო ადმინისტრაცია ერთად არის განლაგებული, ხალხმა დაიწყო შეკრება. ისინი არჩევნების ჩამშლელის დასჯას ითხოვდნენ. ერთადერთ ეჭვმიტანილად თავიდანვე ლევან მამალაძე დასახელდა. შეკრებილთა შორის აქტიურობით რუსთაველი ნაციონალისტები გამოირჩეოდნენ. მათი ნაწილი ქალაქის შემოსასვლელისაკენ გაემართა და მისი პიკეტირება დაიწყო.

მამუკა ჩიქოვანი, "ნაციონალისტური მოძრაობა": **"შემოსასვლელს პროტესტის ნიშნად ვკეტავთ. ის ადამიანები, რომლებიც არჩევნების ჩაშლაზე მუშაობდნენ, არ უნდა იყვნენ რუსთავში, არც ხელმძღვანელ პოსტებზე და არც გუბერნატორის თანამდებობაზე".**

ქალაქის შესასვლელი ერთი საათის განმავლობაში იყო გადაკეტილი.

რუსთავის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ კახა გურგენიძემ დილის ცხრა საათზე არჩევნები ჩაშლილად გამოაცხადა. ათი საათისათვის მერიის წინ 200-300 კაცი მოგროვდა. მოულოდნელად ხალხში მამალაძის ნდობით აღჭურვილი პირი გელა კვარაცხელია გამოჩნდა, მამალაძის ნათესავ ჯემალ ანთიძესთან ერთად. ისინი ხალხს ელაპარაკებოდნენ, როცა მათ მერობის კანდიდატი მერაბ ტყეშელაშვილი და ყოფილი მერი ლაშა მინდელი მიუახლოვდნენ. რატომ გააკეთეთ ესო?- ტყეშელაშვილის ამ შეკითხვას გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ვინ ვის დაარტყა პირველად, ძნელი გასარკვევია, მაგრამ, ფაქტია, რომ ტყეშელაშვილსა და მინდელს სახეზე ნათითურები ეტყობოდათ, ხოლო კვარაცხელია და მისი თანმხლები პირი პოლიციამ მანქანაში ჩატენა და იქაურობას გაარიდა. ამ ფაქტზე, ისევე როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში შეჭრის ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

11 საათზე ტყეშელაშვილის მომხრეებმა, საკრებულოს 60-მდე კანდიდატმა, ცსკ-ოსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტი შეიმუშავეს, სადაც ისინი არჩევნების ჩამშლელთა პასუხისგებაში მიცემას და ერთ კვირაში არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ. ტყეშელაშვილი მომიტინგეებთან გამოვიდა და არჩევნების ჩამშლელად მამალაძე გამოაცხადა: **"რუსთავი არასოდეს იქნება ვიღაც ერთი-ორი კაცის. მაგათ რომ არჩევნების გადატანა უნდოდათ, ეს ცნობილი იყო უშიშროებისთვის და შსს-სთვის. უნდათ ქალაქის მერი თავად დანიშნონ, თავისი კომისია დააკომპლექტონ და არჩევნები გააყალბონ."**

პარარელურად განცხადება გააკეთა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა რუსთავში, გია ხევიაშვილმა: **"ჩვენი მოთხოვნები ორ პუნქტად არის ჩამოყალიბებული - გაათავისუფლოს პრეზიდენტმა მამალაძე დაკავებული თანამდებობიდან და დანიშნოს არჩევნები ერთ კვირაში."**

12 საათისათვის მომატინგეთა რიცხვი გაიზარდა. ხალხი ტაშით ხვდებოდა გუბერნატორის ლანძღვას. მალე სპონტანურად დაწყებული მიტინგის სადავეები ნაციონალისტების ხელში გადავიდა. გამოჩნდა მათი დროშები და ლოზუნგი – "რუსთავი მამალაძის გარაშე!" გამომსვლელების ტექსტი სოციალურიდან პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა და პრეზიდენტის კრიტიკით დაგვირგვინდა. დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. ეგზალტირებული ხალხი თავიდან ცარიელ ქაღალდზე აწერდა ხელს, შემდეგ გაჩნდა ფურცლები მოთხოვნით: "გამოცხადდეს რუსთავი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად" და " მხარს ვუჭერთ მერაბ ტყეშელაშვილს".

14 საათისათვის ნაციონალისტებმა მიტინგი დატოვეს. ნახევარი საათის შემდეგ ტყეშელაშვილი ხალხთან გამოდის და პრეზიდენტის სახელით რუსთაველებს ჰპირდება, რომ არჩევნები უახლოეს დღეებში ხელმეორედ ჩატარდება.

16 საათისათვის მომიტინგეები ცსკ-ოში მიდიან, სადაც რუსთავის საკითხს განიხილავენ.

დღის მთავარი გმირი, ლევან მამალაძე ამასობაში ქვემო ქართლის რეგიონში იმყოფებოდა. ხალხის ნაწილი მის მოსვლას ელოდა და არ იშლებოდა. საღამოს ხუთის ნახევრისათვის ვრცელდება ინფორმაცია მერიის ფლიგელში ნაღმის არსებობის თაობაზე. მერიის აპარატი ამას არასერიოზულად აღიქვამს და შენობაში რჩება. ბომბზე საუბრით გართულმა მცირერიცხოვანმა მომიტინგეებმა ვერც კი შეამჩნიეს გუბერნატორის მანქანა და სანამ გონს მოვიდოდნენ, მამალაძე უკვე სამშვიდობოს იყო.

გუბერნატორმა გარეთ მიმდინარე პროცესებს "კლოუნადა და მასკარადი" უწოდა და მთავარ ბრალდებულად ნაციონალისტები, როგორც თავად უწოდებს, ნაცისტ-ფაშისტები დაასახელა:**" ეს არის მცდელობა, ფაშისტური იდეოლოგიის დანერგვისა, რაც დამღუპველია მრავალეროვანი რეგიონისათვის. ეს სიტუაცია მაგონებს 1995 წელს, როდესაც რუსთავი გაწამებული იყო იარაღიანი ხალხით და ბანდიტებით. ეს ინსცენირება კვლავ გრძელდება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოხდეს დაპირისპირება."**

"24 საათი": "ბატონო ლევან, თქვენი მოწინააღმდეგეები არჩევნების ჩამშლელად თქვენ გასახელებენ. იგივე შეგიძლიათ თუ არა თქვათ მათზე?"

ლევან მამალაძე: **"ნივთმტკიცება იმისა, რომ დღეს ხელი დავადო ტყეშელაშვილსა და მინდელს, არ არსებობს. როგორც ვერავინ იტყვის, რომ მე მიმიძღვის ბრალი ამაში. როგორ შეიძლება ყოფილიყო ჩემს ინტერესში, როცა ჩემი საწინააღმდეგო მიტინგი მოეწყო ამის საფუძველზე? მაგრამ არსებობს ფაქტი, რომ ტყეშელაშვილი და მინდელი ღამით იმ სტამბაში იმყოფებოდნენ, სადაც ბიულეტენები დაიბეჭდა. ცსკ-ში თქვეს, რომ მათ პასუხისმგებლობა აიღეს ბიულეტინების რუსთავში წამოღებაზე და ამის შემდეგ მოხდა დაყაჩაღება. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა მოხდა".**

ცსკ-ომ ხელახალი არჩევნები რუსთავში 9 ივნისისათვის დანიშნა. თბილისიდან რუსთავში დაბრუნებულმა მერაბ ტყეშელაშვილმა ხალხი მეორე დღისთვის დაიბარა, ნაციონალისტების ლიდერმა გია ხევიაშვილმა კი განაცხადა, რომ 3 ივნისიდან ქალაქში, მამალაძის გადადგომის მოთხოვნით, ხალხმრავალი საპროტესტო მანიფესტაციები დაიწყება.

## დამკვირვებლები უბნიდან გააძევეს

ნინო ბერზმავა

საღამოს 7 საათისთვის ტელეკომპანია "რიონის'' წინ აქცია მოაწყვეს ჟურნალისტებმა და მერობისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატებმა. ისინი ილაშქრებდნენ იმ დარღვევების წინააღმდეგ, რასაც დღის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქალაქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანში. მომიტინგეეთა აზრით, დარღვევებმა ხელი შეუყწყო არჩევნების გაყალბებას. 8 საათისთვის მათ შეუერთდა მერობის 2 კანდიდატი - კოტე ბარქაია და ნუგზარ ფალიანი, რომლებიც აქციის დაწყებისას იქ არ იმყოფებოდნენ. მათ თავიანთ გამოსვლაში აღნიშნეს, რომ არჩევნების გაყალბება შესაძლოა, პროვოცირებული იყოს ხელისუფლების მხრიდან. საღამოს 9 საათისთვის აქცია ჯერკიდევ მიმდინარეობდა და ამ მიზეზით გადაკეტილი იყო წერეთლის ქუჩა.

59-ე საარჩევნო ოლქში მიღებული ინფორმაციის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 43800-მა ამომრჩეველმა. საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ქუთაისში არჩევნები შედგა (სხვა საკითხია, როგორ). 59-ე საარჩევნო ოლქის თავმჯდომარის განცხადებით, დარღვევები თითქმის ყველა საარჩევნო უბანში დაფიქსირდა.

სამართლიანი არჩევნების კოორდინატორი დასავლეთ საქართველოში მერაბ მეშველიანი აცხადებს, რომ დარღვევები საარჩევნო უბნების მუშაობის დასრულების დროსაც ბლომად დაფიქსირდა. რამდენიმე უბნიდან უხეში ფორმით გააძევეს დამკვირვებლები. მერაბ მეშველიანი ხვალ დილის საათებში აპირებს სპეციალური პრესკონფერენციის მოწყობას, სადაც მასმედიის წარმომადგენლებს გააცნობს შეჯამებულ ინფორმაციას.

## დარღვევები მცხეთაში

მაკა ღამბაშიძე

*მცხეთაში 3 საარჩევნო უბანი იყო. განსაკუთრებული დაკვირვების საგნად იქცა პირველი უბანი, სადაც დამკვირვებელთა, ჟურნალისტთა და ხმის მიმცემთა დიდი რაოდენობა მოდიოდა. ამას მოსახლეობა და კომისიის წევრები ორი მიზეზით ხსნიდნენ: 1) ამ უბანში (კარიბჭის ქუჩა) ცხოვრობს საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კადიდატთა უმრავლესობა და 2) ეს იყო ყველაზე მრავალამომრჩევლიანი უბანი. მთლიანად მცხეთის ამომრჩეველი 5 000-მდეა. პირველ საარჩევნო უბანში მათი რაოდენობა 1995-ით განისაზღვრა .დამატებით სიებში კი შეყვანილი იყო 93 ადამიანი.*

აქ თითოეული დამკვირვებელი ცდილობდა, სასწრაფოდ მოეხდინა რეაგირება ნებისმიერ დარღვევაზე და პრესისა და ტელევიზიის მესვეურთა ყურადღება მიეპყრო. ამის ნიადაგზე კომისიიის წევრთა რეაქცია ძალზე მწვავე იყო და კამათიც დასაშვებ ზღვარს სცილდებოდა. მოკამათეთა შორის ყველაზე მკვეთრად კობა ბუჩუკურის მეეუღლე მარინე მოლოდინი აქტიურობდა. დარღვევები კი ამ საარჩევნო უბანში დილიდანვე დაფიქსირდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლეიბორისტი ამირან მინდიაშვილი არ მალავდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მოვიდა დაულუქავი ბეჭდები.

ხშირი იყო კომისიის ზოგიერთი წევრის მიერ ამომრჩეველთათვის იმის შეხსენება,

რომ თემური არ დავიწყებოდათ. როგორც გაირკვა, იგი "მრეწველების" პარტიიდან საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობდა. ხმას ამომრჩევლები საარჩევნო კაბინის გარეთ, ,კოლექტიურად" აძლევდნენ. ამას კი კაბინებთან დიდი რიგითა და დროის დეფიციტით ხსნიდნენ. დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირდა ერთი და იმავე პირის მიერ საარჩევნო ყუთში კონვერტის ორჯერ ჩაგდების მცდელობა. დამკვირვებელი მანანა რიზბერგი:" **დავინახე, ერთმა ბიჭმა ტანსაცმელი შეიცვალა და მორედ ჩადგა ბიულეტენის რიგში."** არაერთგვეროვანი იყო დამკვირვებელთა აზრი. ზოგიერთი დარღვევებს საერთოდ ვერ ხედავდა:

თამარ ქავთარაძე(სოციალისტური პარტია):" **სერიოზული დარღვევა არ შემიმჩნევია. ის კი, რაზეც აქ არეულობა მოეწყო, სერიოზულად და საფუძვლიანად არ მიმაჩნია."** ნინო კოზმანაშვილი (" მრეწველები"): **"პატარ-პატარა დარღვევები იყო , მაგრამ სერიოზული არაფერი."** ინეზა ლომთაძე (ქრისტიან-კონსერვატორული პარტია - ჟვანიას გუნდი): **"თქვენც ხომ ხედავთ, რამდენი დარღვევა დაფიქსიდა. ჩვენ უკვე შევიტანეთ 8 საჩივარი დარღვევებზე".**

ამომრჩევლებთან აგიტაციის ჩატარებაში დღეს ერთმანეთს ადანაშაულებდა ხატიძისა და ბუჩუკურის მომხრეები. ხატიძის საარჩევნო უბნის ხელმძღვანელმა შალვა ქემოკლიძემ ე.წ. "კარუსელის" არსებობაც დააფიქსირა. ამავეს აფიქსირებდა არასამთავრობო ორგანიზაცია "ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ცენტრის " ხელმძღვანელი ნინო რომაშვილიც: **"გვაქვს ეჭვი, რომ რეგისტრაცია სამივე უბანში ერთმა და იგივე პირებმა გაიარეს და, შესაბამისად, ხმებიც მისცეს, მაგრამ საბოლოო გადამოწმებამდე არ გვინდა რაიმე განცხადების გაკეთება. ეს ერთ-ერთი კანდიდატის ავტორიტეტზე ცუდად იმოქმედებს."** საბოლოოდ, N1 საარჩევნო უბანში ხმა 1 500-მდე ამომრჩეველმა მისცა.

## რიგები ფოთში

თეა აბსარიძე

2 ივნისს ფოთის საარჩევნო უბნები ამომრჩეველთა განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა. რაც შეეხება დარღვევებს, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთელი დღის მანძილზე საარჩევნო პროცესს ლაიტმოტივად გასდევდა. კენჭისყრის უბნებში, შესასვლელ კარებთან ხალხმრავალი რიგები იდგა, რამაც კარის დახურვის აუცილებლობა გამოიწვია. ეს კი, საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, იკრძალება. მოსახლეობის ნაწილი რიგში დგომას, არჩევნებში მონაწილეობის "არმიღებას" ამჯობინებდა და საარჩევნო უბანს ტოვებდა. ადგილი ჰქონდა ისეთ დარღვევებსაც, როგორიცაა ბიულეტენების ორორად ჩაყრა. ფოთის ბევრ უბანში დაირღვა საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს საარჩევნო უბნებთან და მისგან 100 მეტრის რადიუსით წინასაარჩევნო აგიტაციის აკრძალვას.

თვალშისაცემი იყო მაჟორიტარ კანდიდატთა სიმრავლე. რიგ უბნებში, ფარული კაბინების გარდა, ამომრჩევლებს ფანჯრის რაფებსა და კედლებზე უხდებოდათ ბიულეტენების შემოხაზვა.

16 საათიდან ამომრჩეველთა ნაკადმა იკლო. 70-ე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 20 საათზე ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა და დამთვლელები შეუდგნენ თავიანთ საქმეს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დარღვევებისა, სხვა ქალაქებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ფოთში არჩევნები მშვიდად ჩატარდა.

# დიდი გაყალბების კარუსელი

მაია ჭალაგანიძე

**თბილისი.** 10.00 საათი

**პავლე რობაქიძე** (სახალხო პარტია): ნაძალადევის რაიონში მეშვიდე და მერვე უბნებზე ერთი და იგივე კორპუსის ხალხის სიები იყო. ჩვენ, აგრეთვე "კარუსელიც" დავაფიქსირეთ, ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ გარკვეული ეჭვი მაქვს 2 პარტიაზე - "სოციალისტებზე" და "აღორძინებაზე"

**ამომრჩეველი**: ბიულეტენები მთელ ჩვენს კორპუსში არ მოუტანიათ, მივედი საარჩევნო უბანში და აღმოჩნდა, რომ მთელი კორპუსი სხვა უბანზე ვიყავით დაფიქსირებულნი.

### დარბევა, ახლა უკვე აღორძინების სახელით

**თბილისი.** 12.00 საათი

- *ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, თითქოს ვაშლიჯვრის ერთ-ერთ უბანზე დარბევის მცდელობა გქონდათ...*

**ჯონდი ბაღათურია** ("აღორძინება"): არავითარი დარბევა არ ყოფილა, იყო დარღვევა... 450 ლტოლვილიდან 420 არ იყო სიაში შეყვანილი, არამარტო დევნილების პრობლემა იყო. იქ მაცხოვრებელი მოსახლეობაც არ იყო სიაში, ხალხი მოდიოდა პირადობის მოწმობით და მათ უბნებზე არ უშვებდნენ, სიაში არ ხართო... მე მოვითხოვე და ალბათ, შედგება დამატებითი სიები და შეიყვანენ ამ ხალხს, თუ არადა, უბანი ჩაიშლება.

**ამომჩეველი:** ჩემი შვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს უკვე 2 წელია. არჩევნებამდე არავინ მოსულა და არ გაურკვევია, ვინ და რამდენი ამომრჩეველი ვართ ოჯახში, ოთხის მაგივრად ერთი ბარათი მოგვივიდა. საარჩევნო კომისიიდან გვიპასუხეს, ხმის მისაცემად რომ მივიდოდით, მაშინ გაირკვეოდა ყველაფერი...

### ზუგდიდში არჩევნები უკვე ჩაიშალა

12.30 საათი

**ვახტანგ ცხადაია** (მაჟორიტარი კანდიდატი): საშინელება ხდება აქ. ზარანდია, ქანდარია, არონია... შევარდნენ უბნებში, სადაც მათი შესვლა არ შეიძლებოდა და დაარბიეს... ზოგან ბეჭდები წაართვეს, ზოგან ყუთები დაამტვრიეს... ზუგდიდში ფაქტობრივად არჩევნები ჩაშლილია...

**ბადრი ზარანდია:** არჩევნები წინასწარ იყო გაყალბებული. ყველა ბეჭედი შეცვლილი იყო... გაყალბებაში მონაწილეობდა ზუგდიდის საარჩევნო კომისიის უფროსი ლევან გვათუა.

- *თქვენ ბრალს გდებენ საარჩევნო ყუთების დამტვრევასა და უბნების დარბევაში.*

- ბადრი ზარანდიას ყუთები არ დაუმტვრევია, მე უბრალოდ, ერთგან შევედი და კანონიერი ქმედებისკენ მოვუწოდე კომისიის წევრებს... სხვა რაიონებში მდგომარეობა ნორმალურია.

14.45 საათი

**ბადრი ზარანდია:** ჩაიშალა არჩევნები... თვითონ ჩაშალეს, თვითონ საარჩევნო კომისიამ. სხვას ვერაფერს ვიტყვი... ახლა მოქალაქეთა კავშირი რაღაც მიტინგს მართავს. არ მაინტერესებს მაგათი ამბავი...

**ვახტანგ ცხადაია:** ფაქტობრივად ზუგდიდში არჩევნები ჩაიშალა. თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა... არჩევნები ჩაიშალა იარაღითა და ძალადობით, რასაც ჩვენი ოპონენტები იყენებდნენ.

- *გავიგეთ, გამგეობასთან მიტინგი გამართულა*

- დიახ, გაიმართა... პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადადგა გუბერნატორის მოადგილე გია ბერულავა და გამგებლის მოადგილე პაატა დანელია...

**ამომრჩეველი:** გარდა იმისა, რომ ძირითად სიაში არ ვიყავი და დამატებითში ჩამსვეს, ჩემი მეზობელიც, რომლის ცოლიც იმავე საარჩევნო უბნის კომისიის წევრი იყო, ჩემთან ერთად დარბოდა დამატებით სიაში მოსახვედრად...

### ხაშურში ბიულეტენები გვიან ჩავიდა

**ილია გელაშვილი** (საარჩევნო კომისიის წევრი)**:** დილით 6.15 საათზე უკვე თბილისში ვიყავი, მაგრამ ბიულეტენები გვიან მომცეს. გარდა იმისა, რომ დაგვიანებით ჩამოვიტანეთ, ბიულეტენები უხარისხოდ დაბეჭდილი და უბნებზე არასწორად განაწილებული იყო. ზოგან ზედმეტი იყო გამოწერილი, ზოგანაც საკმარისი არ იყო. ამის გამო, თვითონ ხაშურში არჩევნები ჩაიშალა, თუმცა, სოფლებში, ჩემი ინფორმაციით, ყველაფერი ნორმალურად მიდის...

### ექსცესებს დაბა წყნეთიც ვერ გადაურჩა

15.15 საათი

**გია ასათიანი** (წყნეთის გამგებელი): იმ უბანზე, სადაც ძირითადად ლტოლვილები აძლევდნენ ხმას, საარჩევნო ყუთი გაიტაცეს... დანარჩენ უბნებზე ნორმალურად მიდის არჩევნები.

**ამომრჩეველი:** 11 წელია პეტრიწის 11-ში ვცხოვრობ და რეგისტრირებული ვარ. წინა არჩევნების დროს ძირითად სიებში ყოველთვის ვიყავი. ახლა კი, სიაში რომ არ ვეწერე, ეგ არაფერი. უბნის კომისიის ერთმა "ჭკვიანმა" წევრმა ჩემი პირადობის მოწმობის ნომრით ჩემივე მისამართის დადგენა გადაწყვიტა. ცსკ-ში ჩემი უკმაყოფილება იმით "გააქარწყლეს", რომ "მონაცემთა ბაზაში" მართლაც ვყოფილვარ და არ "ვიტყუები". თამამად ჩამწერეს დამატებით სიაში (?) და ბიულეტენიც მომცეს. მაგრამ... უბედურება ისაა, რომ ცსკ-ში მე ჩემი ქუჩის მე-12 კორპუსში "ვირიცხები". გამაგებინეთ, ვინ ვარ და სად ვცხოვრობ? მე ნამდვილად მე ვარ?

***

*იმ საყოველთაო, საშინელი უნდობლობის ფონზე, რაც მიწისძვრის შემდეგ მოსახლეობამ (და არამარტო დაზარებულმა მოსახლეობამ) არსებული ხელისუფლების მიმართ გამოიჩინა, ორი რამ არის გასაკვირი: 1. კანდიდატების ისტერიული სურვილი ხელისუფლებაში მოსვლისა, იმ ხელისუფლებაში, რომელსაც ასე არ ენდობა ხალხი, 2. მოსახლეობის გაურკვეველი ნაწილის დაუოკებელი ოპტიმიზმი. ისინი ამ არჩევნებზეც სხდებიან "მარშუტკებში" და მონაწილეობას იღებენ ე.წ. "კარუსელში", ამ არჩევნებზეც სარგებლობენ ხელისუფლების მიერ გაყალბებული ბიულეტენებით და რამდენჯერმე აძლევენ ხმას მათთვის სასურველ კანდიდატს. არავის ახსენდება ამ დროს, რომ ამ გზით ხელისუფლებაში მოსული ადამიანი არ გამოადგება თავის ხალხს, ამომრჩეველს, ქვეყანას და მუდამ იფიქრებს, რომ თუ ერთხელ ხელისუფლებაში მოვიდა, ის იქ მთელი ცხოვრება უნდა დარჩეს.*

*მგონი, მართლაც არაფერი იცვლება და ყველანი ერთ დიდ კარუსელზე ვტრიალებთ...*

*და ჩვენ ყველას თმას გვიწეწავს ქარი...*

გამომცემელი: "რუსთავი 2 პრინტი"

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი)
ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი)
ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი)

დამატებები:
დედაქალაქი-დავით მაღრაძე,
ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია,
სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი,
სამართალი-ნიკოლოზ რურუა,
სტილი-ბიძინა მაყაშვილი,
მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი.

ფოტო:
ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი),

დიზაინი:
გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე.

კომპიუტერული ცენტრი:
თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია.

სტილი:
ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.

რეკლამა
ზურაბ ჯაოშვილი.

იბეჭდება გამომცემლობა სამშობლოს სტამბაში.

# გუშინ ცესკო დამკვირვებლის სტატუსით შემოიფარგლა

თამარ მჭედლიშვილი

ერთიან საარჩევნო კარუსელში ჩაბმული თბილისი, დაბნეული და აბსოლუტურად პარალიზებული ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო პროცედურების არმცოდნე და არაკომპეტენტური საუბნო საარჩევნო კომისიები, თბილისის საარჩევნო რუქებიდან ერთბაშად გამქრალი ათობით საცხოვრებელი კორპუსი და კენჭისყრის შედეგებით ერთნაირად უკმაყოფილო პოლიტიკური სპექტრი – ასე შეხვდა დედაქალაქი საკრებულოს არჩევნებს.

წინასწარი მონაცემებით, თბილისის საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველთა დაახლოებით 45-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. თუმცა "ცესკოს" ხელმძღვანელობა გუშინ აცხადებდა, რომ რიცხვი საბოლოო არ არის. ზუსტი მონაცემები უკვე დღეს დასახელდება.

მთლიანობაში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ ვერ შეძლო თბილისში საარჩევნო პროცესების გაკონტროლება და პასიური დამკვირვებლის სტატუსით შემოიფარგლა. კომისიის წევრები მხოლოდ დარღვევებს აფიქსირებდნენ, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი სამგორის რაიონში გვიან გახსნილი უბნები და რუსთავში ჩაშლილი არჩევნები იყო.

თბილისში საარჩევნო კარუსელები დილიდანვე "ფუნქციონირებდნენ". უკვე 11 საათისთვის "სახალხოელებმა" რამდენიმე ასეთი ჯგუფი ჩუღურეთში აღმოაჩინეს. ზუსტად ამავე პერიოდში კარუსელები დატრიალდა მთაწმინდაზე, საბურთალოზე, ისანში, სამგორში... საგულისხმოა ისიც, რომ დილის 11 საათისთვის საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა მხოლოდ 0,3 პროცენტი იყო მისული. ორ საათში კი ეს რიცხვი 12 პროცენტამდე გაიზარდა, რაც, "ცესკოს" წევრთა მტკიცებით, სწორედ ამ კარუსელების "დამსახურება" იყო.

სულ ახლახან გადახალისებული საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ელემენტარული პროცედურებიც კი უცხო აღმოჩნდა. მთაწმინდის მე-12 საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ არ იცოდა, რა საბუთებით შეეძლო ამომრჩეველს ბიულეტენის მიღება; საბურთალოს რამდენიმე უბანში მოსახლეობას უკონვერტო და უბეჭდო ბიულეტენებს ურიგებდნენ; საარჩევნო პროცესს ვერ იწყებდნენ ვაკის 29-ე უბანში. თანაც ელემენტარული მიზეზის გამო – თავმჯდომარე ვერ არკვევდა, ვის უნდა ჩაეგდო ურნაში საკონტროლო პაკეტი – პირველ ამომრჩეველს თუ კომისიის წარმომადგენელს.

მთავრი პრობლემა კი საარჩევნო სიები აღმოჩნდა. **"არც ერთი წინა არჩევნების დროს არ ყოფილა ასე უწიგნურად და უაზროდ შედგენილი სიები. ადრე პრობლემა ამომრჩეველთა გაბერილი რიცხვი იყო, ახლა კი ამომრჩევლები საერთოდ არ არიან სიებში შეყვანილი. ერთბაშად გაქრა რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი. თანაც, რატომღაც, ამოღებულია ის სახლები, სადაც ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები ცხოვრობენ. გაქრა ელდარ შენგელაიას საცხოვრებელი კორპუსი; რუსთაველის 20 ნომერი სახლი, სადაც მიხეილ მაჭავარიანი ცხოვრობს, ქიქოძის ქუჩიდან ელენე თევდორაძის გამო გაუჩინარდა მესამე კორპუსი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად მოხდა, რათა ჟვანიას გუნდს ხმები დაჰკლებოდა. ამ ყველაფერს კი საუბნო კომისიები აკონტროლებენ. ვისია დღეს ეს კომისიები, ყველამ იცის. თანაც, ისინი იმდენად არაკომპეტენტურები არიან, რომ სულელურად აყალბებენ პროცესებს",** - ასეთი განცხადება გააკეთა "ცესკოს" წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა .



იური ლობოდინის ფოტო

**"ერთ რამეში ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები მართლები არიან – დღევანდელი საუბნო კომისიების კვალიფიკაცია დაბალია, მაგრამ რა იგულისხმება კვალიფიკაციაში, ეს ცალკე საუბრის თემაა. დღევანდელი საუბნო კომისიების წევრები შეიძლება, ნაკლებად პროფესიონალები, მაგრამ უფრო პატიოსნები არიან",** - ასე უპასუხა გოგორიშვილის ბრალდებას კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გია ზესაშვილმა, რომელსაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის საუბნო კომისიების დაკომპლექტებაში.

სიების შესახებ აღშფოთებას ვერ მალავდა "აღორძინების" პარტიული სიის პირველი ნომიერი გიორგი თარგამაძე. მისი მტკიცებით, ამოღებული იყო ის საცხოვრებელი კორპუსები, რომლის ბინადარნიც "აღორძინებას" უჭერდნენ მხარს. თარგამაძემ შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად დააკისრა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და განაცხადა: **"პარლამენტში "აღორძინება" ერთადერთი ძალა აღმოჩნადა, რომელმაც "ცესკოს" დაუყონებლივ დაშლას დაუჭირა მხარი. სხვებმა კი ამ პროცესის აგვისტომდე გადადება მოინდომეს. მათ თურმე სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო ამ არჩევნების ნორმალურად ჩატარება. უნდა ამოიბეჭდოს პარლამენტის კენჭისყრის შედეგები, რომლითაც "ცესკოს" უფლებამოსილება გაუგრძელდა. თუმცა 2 ივნისმა ერთგვარი დადებითი შედეგიც გამოიღო – ყელა მიხვდება, რომ საჭიროა დაუყონებლივ, სასწრაფოდ და რადიკალურად დაიწყოს საარჩევნო ადმინისტრაციების გარდაქმნა".**

**"ცესკოში" მოქმედებს უმრავლესობა, რომელიც მუშაობს ერთ-ორ პარტიაზე. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ტოტალურად გაეყალბებინათ არჩევნები. ძალიან მალე გამოჩნდება, რომელი პალიტიკური ძალა დგას ამ ყველაფრის უკან",** – ამტკიცებდა გუშინ ჟვანიას გუნდის წევრი ედვარდ სურმანიძე.

საგულისხმოა, რომ შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ჯუმბერ ლომინაძემაც აიღო და განაცხადა, რომ "ცესკოს" გარკვეული წვლილი მიუძღვის პროცესების ამგვარად განვითარებაში. მაგრამ იქვე დასძინა, რომ **"ამ ყველაფერს თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რაც პირველ რიგში, საარჩევნო ვადების დარღვევას უკავშირდება"**

უბნებიდან პირველი მონაცემები "ცესკოში" გვიან ღამით შევიდა. წინასწარ მონაცემებს კომისია, სავარაუდოდ, დღეს გამოაქვეყნებს.

# რატომ დაიკარგა ამომრჩევლის ძვირფასი ხმა

ზაზა ფაჩუაშვილი

**- აი ახლა მივარდები და მეორე სიასაც დავხევ!** – ყვიროდა განერვიულებული ქალბატონი საბურთალოს მესამე საარჩევნო ოლქის მეთორმეტე უბანში, სადაც, ერთი სიის დახევის შემდეგ, მასთან პოლიციელი გაჩნდა და "ძირგამომთხრელი საქმიანობის" გაგრძელების საშუალება აღარ მისცა. დაკავებულ ქალბატონს მხურვალედ გულშემატკივრობდნენ სხვა ამომრჩევლებიც, მაგრამ კომისიამ პოლიციას გამოუძახა და უბნის სახალხო გმირი "სამართალში მისცა".

მაინც რამ გაამწარა ასე ჩვენი ქალბატონი და რატომ მოიფხანეს მისი საქციელით გული ამომრჩევლებმა?

საქმე ისაა, რომ არჩევნების დღეს ამომრჩეველი ფეხებზე დაკიდებული აღმოჩნდა. მათთვის არავის მიუტანია საუწყებო ბარათი, რომელშიც მინიშნებული იყო საარჩევნო უბნის მისამართი, ხმის მიცემის დრო და პატარა ინსტრუქცია მათთვის, ვისაც არჩევნებზე მისვლა ფიზიკურად არ შეეძლო. ამის გამო, ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი იძულებული გახდნენ, თავისი უბნის ძიებაში საათობით ეხეტიალათ და ყველგან ერთი და იგივე განუკითხაობა ენახათ.

"ბახტრიონის" მაცხოვრებლები ხმას "გამსახურდიაზე" აძლევდნენ, მაშინ, როცა მათ ქუჩაზე ორი უბანი მოქმედებდა. "საბურთალოს" და "საირმის" ხალხი "ბახტრიონზე" უნდა მისულიყო და ა.შ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ წინა არჩევნების შემდეგ უბნების ადგილმდებარეობა შეცვალეს, რის შესახებაც ამომრჩეველთა მხოლოდ იმ მცირე ნაწილმა იცოდა, რომელსაც, ბედნიერი შეთხვევის გამო, საუწყებო ბარათები წინა დღით გვიან საღამოს 10-11 საათზე მიუტანეს (აქვე უნდა ითქვას, რომ ბარათები ფიზიკურად ნამდვილად არსებობდა. ჩვენ ამის დამადასტურებელი სურათი საბურთალოს ქუჩაზე ვნახეთ. იპოდრომთან ტროტუარზე და გაზონზე ამომრჩევლისთვის ნანატრი ბარათების მთელი დასტა ეყარა).

დანარჩენები ბედის ანაბარა დარჩნენ. მათი ხვედრი საარჩევნო უბნის კარებთან რიგებში ამაოდ დგომა ყოფილა, ვინაიდან უბნების სივიწროვის გამო შიგნით შესვლა და სიების ნახვა კარგა ხანს არ ხერხდებოდა. მრავალი ამომრჩეველი კი, მას შემდეგ რაც ერთი უბნის სიებში საკუთარ თავს ვერ ნახულობდა, ხელს იქნევდა და სახლში მიდიოდა.

**- უკვე მესამე უბანზე მოვედი, ვეღარ გავიგე, სადა ვარ სიაში!** – ჩიოდა მეთერთმეტე უბნის ამომრჩეველი, რომელმაც თავისი გვარის ძებნისას სიაში გარდაცვლილი მეზობელი აღმოაჩინა, - **ვახტანგ გველესიანი რვა წლის წინათ გარდაიცვალა, კაცო!**

თუმცა ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ მისი შეცხადება არავის გაკვირვებია.

ხალხს უფრო ის უკვირდა, თუ რა აზრი ჰქონდა არჩევნებს, რომლის დროსაც

ამომრჩეველს არჩევანის გაკეთების ყოველგვარი სურვილი ეკარგებოდა.



# კომისიის წევრებმა სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს

სოფიკო ბუკია

**"მე საარჩევნო ბარათი არ მიმიღია, 3 წლის წინათ გარდაცვლილ ჩემს დედამთილს კი სახლში მოუტანეს. აქ აღარ ცხოვრობს, ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე გაუტანეთ- მეთქი, დავაკვალიანე";**

**"ჩემი კორპუსი საერთოდ არაა რეგისტრირებული";**

**"50 წელია ამ მისამართზე ვცხოვრობ, რატომ მოვხვდი დამატებით სიაში?"**

**"მე ვწერივარ ძირითად სიაში, ჩემი ქმარი და შვილები - არა";**

**"რისთვის ჩაატარეს მოსახლეობის აღწერა, თუ საარჩევნო სიებს ისევ მკვდარი სულებით გაავსებდნენ?"** - ამგვარი პრეტენზიების მოგერიება საბურთალოს №22 საარჩევნო უბნის კომისიის წევრებს მთელი დღის განმავლობაში, თითქმის ყველა ამომრჩევლისგან უხდებოდათ.

საარჩევნო კომისიის წევრები საოლქოსკენ იშვერენ ხელს, შექმილ ქაოსს არასწორად შედგენილ სიებს აბრალებენ და დილიდანვე ირწმუნებიან, რომ ამ არჩევნებს ჩაშლის პირი უჩანს.

**"სიები ძალიან საეჭვოდაა შედგენილი. მათ არ უზით საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი. სიაში საერთოდ არაა რეგისტრირებული ცალკეული კორპუსები. მაგალითად, ამ სიების მიხედვით არ არსებობს ბუდაპეშტის ქუჩის 2, 4, 6, 8, 10 კორპუსები, რომელთაგან უმრავლესობა რვასართულიანი და სამსადარბაზოიანია,"**- აცხადებს საბურთალოს №22 საარჩევნო უბნის კომისიის წევრი. გასაკვირია, მაგრამ ამ საარჩევნო უბანზე სწორედ ამ "არარსებული" კორპუსების ამომრჩეველი აქტიურობდა. რომელთაგან ბევრი ისე დაბრუნდა სახლში, რომ კომისიის წევრებთან "საქმის გარჩევა" დაეზარა და არჩევანი არ გაუკეთებია.

ძირითად სიებში საღსალამათი ამომრჩევლების ადგილი დიდი წარმატებით დაიკავეს 5-6 წლის წინათ გარდაცვლილებმა. **"საცოდავი მალხაზი კარგი ბიჭი იყო, ექვსი წელია, რაც გარდაიცვალა,"** - თვალცრემლიანი იგონებდა ერთი ამომრჩეველი თავის მეზობელს, რომლის გვარიც ძირითად სიაში ამოიკითხა. კომისიის წევრები აცხადებენ, რომ მკვდარი სულების დეფიციტს სიები არ განიცდის, ბევრი ამომრჩეველი პოულობს სიაში გარდაცვლილ ახლობლებსო.

საინტერესოა ისეთი შემთხვევებიც, როცა ამომრჩევლის გვარი შეცდომით წერია ძირითად სიაში, მაგალითად, ხიდაშელის მაგივრად - ხიდეშილი. ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს დამატებით სიაში გატარებას სთავაზობენ, რაც, ფაქტობრივად ერთი და იმავე ამომრჩევლის ორ სიაში არსებობას ნიშნავს. ძირითად სიებში ამომრჩეველი რამდენიმე წლის წინათ საცხოვრებლად სხვა უბანში გადასული მეზობლების გვარებსაც პოულობს.

**"ასეთი უმსგავსობა არც ერთ არჩევნებზე არ ყოფილა. სიაში რვა წლის წინ რუსეთში საცხოვრებლად გადასული მეზობლის გვარი რომ ვნახე, გამოვბრუნდი. არ გავაკეთებ არჩევანს. მოგვბეზრდა ხალხს თავის გასულელება, რაც უნდათ, ის უქნიათ, მათია ეს ქვეყანა,"**- ასეთია ერთ-ერთი ამომრჩევლის პოზიცია.

დილის თორმეტი საათისთვის, როცა საბურთალოს №22 საარჩევნო უბანში საკუთარი პოზიცია 147 ამომრჩეველს უკვე დააფიქსირებული ჰქონდა, კიდევ ერთი საინტერესო ინციდენტი მოხდა. აღმოჩნდა, რომ კომისის წევრები არასწორად გასცემდნენ ბიულეტენებს. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენზეც და სპეციალურ კონვერტზეც ხელი უნდა მოაწეროს კომისიის ორმა წევრმა. აღნიშნული უბნის კომისიის წევრები მხოლოდ ბიულეტენებს აწერდნენ ხელს, კონვერტები კი ხელმოწერის გარეშე დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დილის თორმეტ საათამდე ამ უბანში მისულმა ამომრჩეველმა თავი ტყუილად შეიწუხა და მათი ბიულეტენები ბათილად იქნება ცნობილი.

საარჩევნო კოდექსის ელემენტარულ უცოდინრობას კომისიის წევრები ასევე ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს აბრალებენ. **"საუბნო კომისიები ნაჩქარევად შეადგინეს. მე პირადად სამი დღის წინ მითხრეს, რომ აქ ვიქნებოდი, ამ დროში რა უნდა მომესწრო? მდივანმა ამ დილით გაიგო, რომ მდივანია. ასეთ პირობებში როგორ უნდა ვიმუშაოთ?"**- აცხადებს საბურთალოს №22 საარჩევნო უბნის კომისიის წევრი თემურ ძნელაძე. რა ბედი ეწევა 147 სადაო ბიულეტენს, უცნობია. ამ საარჩევნო უბნის თავმჯდომარე გივი ქობულაძე ირწმუნება, რომ უკვე შეატყობინა ამ ინცინდენტის შესახებ ცესკოს, სადაც უპასუხეს, რომ ამ ბიულეტენებს ბათილად არ ცნობენ.

# არმიამ ჭრელი არჩევანი გააკეთა

ზაზა წულაძე

*წინასწარი მონაცემებით, თბილისში ხმის უფლების მქონე 14300 სამხედრო მოსამსახურიდან, თითქმის ნახევარი საარჩევნო ურნასთან მივიდა. ჯარისკაცთა ხმები რამდენიმე პარტიამ გადაინაწილა.*

ყველაზე კარგად ჯარისკაცებთან და მათ მეთაურებთან, "ლეიბორისტებს", "აღორძინებას" და"ერთობას", შედარებით უარესად, "ახლებს", "ნაციონალურ მოძრაობასა" და "მოქალაქეთა კავშირს" უმუშავიათ.

**"შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად თავდაცვის სამინისტროს ერთიანი მითითება, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ჯარისკაცებს ხმა, როგორც ეს წინა არჩენებში ხდებოდა, არ ყოფილა. ამის გამო არჩევნების ბედი სამხედრო ნაწილებში სხვადასხვა რანგის მეთაურებმა გადაწყვიტეს. საუკეთესო შედეგი ჰქონდათ იმ პარტიებს, რომლებმაც კარგად იმუშავეს კონკრეტულ მეთაურებთან,"** – გვითხრა ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენელმა დავით კიკალიშვილმა. ამ ორგანიზაციამ თბილისში სამხედრო ნაწილებში გახსნილ 19 ღია და 22 დახურული საარჩევნო უბნიდან, სამ უბანზე მიავლინა დამკვირვებლები.

გვიან ღამით, "24 საათმა" შეძლო რამდენიმე სამხედრო ნაწილში არჩევნების წინასწარი შედეგების გარკვევა. ამ შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო მოსამსახურეთა არჩევანი მოსალოდნელზე ჭრელი გამოვიდა. მაგალითისთვის, სამგორის მეექვსე საარჩევნო ოლქის 55-ე უბანზე 400 ჯარისკაციდან 128-მ ხმა "ახლებს" მისცა, 98-მა "ლეიბორისტებს", 69-მ "მოქალქეთა კავშირს" და 41-მა "ნაციონალურ მოძრაობას". 51-ე უბანზე, 121 ამომრჩევლიდან, 51-მა ჯარისკაცმა მისცა ხმა და აქედან 25-მა "ლეიბორისტებს" დაუჭირა მხარი. დანარჩენი ხმები კი 13-მა(!) პარტიამ გადაინაწინა, ასეთივე მგომარეობა იყო 54-ე უბანზე, აქ 171 მოსამსახურიდან, ურნასთან 102 მივიდა და 70-მა "ერთობას" დაუჭირა მხარი, დანარჩენი ხმები 10-მა პარტიამ გაინაწილა. 50-ე უბანზე კი 60 ხმით პირველ ადგილზე უკვე "აღორძინება" გავიდა.

ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" დირექტორის ირაკლი სესიაშვილის თქმით, სამხედრო ნაწილებში ყველაზე გავრცელებული დარღვევა საარჩევნო პროცესის არაორგანიზებულობა და პირდაპირ ურნებთან მეთაურების მხრიდან აგიტაცია-პროპაგანდა იყო: **"დილიდან არ დარიგებულა ბიულეტენები და არ იყო გამოკრული სიები. იყო შემთხვევები, როცა ჯარისკაცებს ხელზე ეწერათ იმ პარტიის ნომერი, რომლისთვისაც ხმა უნდა მიეცათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მეთაურები და ოფიცრები ეუბნებოდნენ ჯარისკაცებს, რომელი პარტიისთვის მიეცათ ხმა, "** – გვითხრა სესიაშვილმა.

კიკალიშვილის თქმით, აშკარა წინასწარი შეკვეთის ფაქტი დაფიქსირდა სამგორის ოლქში, პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში. **"აქ 54-ე უბანზე 12 ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი, დაშვებული იყო ერთი და იგივე შეცდომა. შემოხაზული იყო 4-იანიც და 9-იანიც. ვიღაცას გაფრთხილებული ჰყავდა ჯარისკაცები, რომ შემოეხაზათ 49, მათ ეს შეკვეთა ასე თავისებურად შეასრულეს".**

თავდაცვის სამინისტროში ადასტურებენ, რომ არანაირი შიდა საიდუმლო ბრძანება ან მითითება, თუ ვისთვის უნდა მიეცა ხმა არმიის პირად შემადგენლობას, არ გაცემულა. **"ასეთი ბრძანება არ არსებობდა, რასაც სამხედრო ნაწილებში არჩევნების შედეგებიც დაადასტურებს,"** – განაცხადა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის უფროსის მოადგილემ თემურ ლორიამ.

# ვის შეემატება ავადმყოფების ხმები

თამარ მაისურაძე

ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოში საღამოს 7 საათზე საარჩევნო ყუთები კიდევ არ ჰქონდათ მიტანილი. კვირა დღეს საავადმყოფოს ადმინისტრაციულ განყოფილებაში არავინ იყო. საარჩევნო ყუთებთან დაკავშირებით, საავადმყოფოს პასუხისმგებელ მორიგეს როსტომ ცხვედიანს მივმართეთ. **"საარჩევნო უბნებიდან არავინ მოსულა, არც საავადმყოფოს ადმინისტრაციას გავუფრთხილებივარ. ამდენად, ვერაფერს გეტყვით. ისე, წინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, ჩვენს საავადმყოფოში საარჩევნო ყუთები იდგა."** — გვითხრა როსტომ ცხვედიანმა.

# არჩევნები ქართულად:

## გააკეთეთ რაც გინდათ, ოღონდ ისე გააკეთეთ, როგორც მე მინდა!

პირველი გვერდიდან

ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში არჩევნები ასევე ექსცესების გარეშე ტარდება, რადგან კანონის უზენაესობის პრინციპი მოქმედებს და ხელისუფლების ცვლა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც საფეხბურთო ჩემპიონატში ლიდერების მონაცვლეობა. ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, საზოგადოება და სახელმწიფო კი რჩება. ამიტომაც, იქ არც "კარუსელების" დატრიალება და არც ყუთების გატაცება არავის აზრად არ მოსდის. როდესაც ოთხი წლის წინ, ერთი ჩვენებური პარტიის ლიდერები დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდნენ და ნახეს, თუ როგორ არხეინად სხედან კომისიის წევრები საარჩევნო უბნებში, ალალად აღმოხდათ: აქ ჩვენ რომ მიგვიშვან, მმართველი პარტია გავხდებითო.

ის, რაც საქართველოში ამ არჩევნების დროს ხდებოდა, რამდენადაც აღმაშფოთებელია, იმდენად ბუნებრივიც არის.

ბუნებრივია, რადგან საქართველოს ხელისუფლებისთვის დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპები არაფერს ნიშნავს. რეალურად არსებობს ხელისუფლების მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური ნება: უნდა გაიმარჯვოს იმან, ვისაც მე ჩავთვლი საჭიროდ და ამისთვის ყველაფერი დაშვებულია. მეორე მხრივ, ჩვენთან არ არის ისეთი ძლიერი ავტორიტარული მმართველობა, რომ "კომპეტენტური ორგანოები" ხელისუფლებისთვის ხმების ოთხმოცდაათ მთელ და ოთხმოცდაათ მეასედს უზრუნველყოფდნენ. შედეგი: სიების მოუწესრიგებლობა, ამომრჩეველთა აღურიცხაობა, მრავალპარტიული "კარუსელები", იარაღის ჟღარუნი, მუშტი-კრივი, ყუთთა მტვრევა და ბიულეტენთა გატაცება.

თუმცა, ეს კიდევ არ არის საბოლოო შედეგი. გაცილებით საგანგაშოა ის, რომ ამგვარი არჩევნები საზოგადოებაში კიდევ უფრო აღრმავებს ისედაც არსებულ ნიჰილიზმს. არჩევნების პროცედურა იგივდება აყალმაყალთან, არეულობასთან და არავითარ შემთხვევაში არ ასოცირდება ხალხის ნების გამოხატვასთან. რწმენა იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ იქნება ბევრი ყაყანი და მაინც არაფერი შეიცვლება - ამისთანა არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდება.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ასე რომ, თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ არის ფიდელ კასტროს მსგავსი დიქტატორული რეჟიმი (სურვილი შეიძლება აქვს კიდეც), დიდი ვერაფერი ნუგეშია. ნიჰილისტური დამოკიდებულება არჩევნების მიმართ სწორედ ისაა, რაც ძალიანაც აძლევთ ხელს მათ, ვინც ძალაუფლებას ფლობს. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ამ ძალაუფლების მფლობელებში ვის მოვიაზრებთ: პრეზიდენტის "დიდ" ოჯახს, სახელისუფლო პოლიტიკურ ჯგუფებს, კორუმპირებულ კლანებს თუ კიდევ სხვა რამეს. მთავარია, რომ ეს ყველაფერი იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც მეტ-ნაკლებად მოწონს დღევანდელი სიტუაცია საქართველოში - საყოველთაო კორუფციაზე დაფუძნებული ბალანსირებული სტაბილურობა, მართვის სადავეებისთვის ბრძოლა მცირერიცხოვან და ყოვლისშემძლე ჯგუფებს შორის, ინტრიგანობა და ამორალური გარიგებები სახელმწიფოს და ხალხის ინტერესების ხარჯზე - ანუ ის, რაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუღებელია.

ისმის კითხვა: როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე და რა არის გამოსავალი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი გულუბრყვილობა, უფრო ზუსტად, სიბრიყვე ის იქნება, რომ "ვაცალოთ შევარდნაძეს მუშაობა" და მორჩილად ველოდოთ, როდის მოიღებს დემოკრატიულ მოწყალებას განამებული ქართველი ხალხის თავზე. პრეზიდენტი, თავისი მარად ცვალებადი შემადგენლობის და მარად უცვლელი შინაარსის გარემოცვით, რასაკვირველია, საკუთარი სურვილით არაფერს გააკეთებს, ან თუ გააკეთებს, მხოლოდ თავისთვის სასურველს.

ისიც სათქმელია, რომ შექმნილი სიტაუაციის გამო თავისი წილი პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტსაც ეკისრება. განსაკუთრებით მათ, ვინც ცოტა ხნის წინ უმრავლესობას ფლობდა. როდესაც გასულ წელს, დღის წესრიგში იდგა ახალი საარჩევნო კანონის მიღება, სწორედ მაშინ იყო უწესო თამაშის წესების შეცვლის რეალური შანსი.

ახალი კანონმდებლობით, საარჩევნო კომისიები აღარ უნდა დაკომპლექტებულიყო პარტიული წარმომადგენლობით. ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ირჩეოდა პარლამენტის წევრთა ორი მესამედით, მთლიანად უნდა შემდგარიყო შესაბამისი კვალიფიკაციისა და საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებით. ამის შემდეგ ახალი ცესკო მოახდენდა სათანადოდ აპრობირებული მეთოდიკით საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტებას მოსახლეობიდან. ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს გარანტირებული ჰქონდა საარჩევნო პროცესის მომზადებაში ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა. რაც მთავარია, არასამთავრობო სექტორი, საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნების მოტივაციის გამო, სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული სწორედ არჩევნების ობიექტურად ჩატარებით. შეიძლება თავიდანვე ყველაფერი მთლად დალაგებულად ვერ წარმართულიყო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნებოდა ძალიან მკაფიო განაცხადი იმისა, რომ თამაშის წესები იცვლება - რეალური ნაბიჯი მოსახლეობაში საარჩევნო ნიჰილიზმის აღმოსაფხვრელად.

მაშინ პარლამენტმა არ ისურვა პარტიულ პრინციპზე უარის თქმა, თუმცა, უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებიც შერჩეული იყვნენ და მაშინდელ უმრავლესობას სათანადო ნება-სურვილის შემთხვევაში ნამდვილად შეეძლო დადებითი გადაწყვეტილების უზრუნველყოფა. არ მოინდომეს. ახლა გვიანაა.

თუმცა, რაც იყო, იყო. ახლა სიტუაცია გაცილებით რთულია, რადგან, თუ უმოკლეს ვადაში არ მოხდება რეალური გარდატეხა, თუკი ყველა მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ძალა არ გაერთიანდება საერთო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე და არ აიძულებს ხელისუფლებას, შეცვალოს თამაშის წესები (და არა მარტო არჩევნების თამაშის წესები), მაშინ ამ არჩევნებში ყველაზე დიდი გამარჯვებული დიქტატურის ნოსტალგია იქნება. დაიწყება ლაპარაკი, რომ "ხალხი დაიღალა," "ამდენმა პარტიებმა დაღუპეს საქართველო" და ა. შ. სანიმუშოდ კუბაში წასვლაც არ დაგვჭირდება. აგერ, აჭარაში არჩევნების დროს არავინ ჩხუბობს, არავინ ისვრის, ყუთებს არ ამტვრევს და შედეგიც გარანტირებულია.

ჯერჯერობით კი, კვლავ ცოცხლობს შევარდნაძისეული დემოკრატია. პრინციპი მარტივია: აკეთეთ რაც გინდათ, ოღონდ ისე გააკეთეთ, როგორც მე მინდა!

# არჩევნები აღარ ასრულებს თავის ფუნქციას

გიორგი ასანიშვილი

*2 ივნისს საქართველოში საბოლოოდ დარწმუნდნენ: ამ ქვეყანაში არჩევნები უკვე დიდი ხანია აღარ ასრულებს თავის კლასიკურ ფუნქციას – გამოიხატოს მოსახლეობის პოლიტიკური ნება და ხელი შეეწყოს დემოკრატიული ღირებულებების შეუქცევადობას. დარღვევა და კანონის ნორმებიდან გადახვევა ყველგან შეიძლება მოხდეს, მათ შორის იმ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიის მაღალი დონით იწონებენ თავს, მაგრამ ზომა-წონა ხომ ყველაფერს აქვს – ამას, რაც გუშინ მოხდა საქართველოში, არჩევნები უკვე აღარ ჰქვია. ეს იყო არჩევნების მხოლოდ ბუტაფორია, პოლიტიკური აქტი, გაჯერებული ძალადობით, თავხედობით, მაქინაციებითა და უზნეობით.*

წინა არჩევნების დროს კანონდარღვევათა ფეიერვერკის მოწმენი, ძირითადად, დღის მეორე ნახევარში ვხდებოდით, ანუ იმ დროს, როდესაც საბოლოო შედეგების კონტურები იკვეთებოდა. გუშინ კი ამაზრზენი სანახაობა დილიდანვე დაიწყო.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "შენი არჩევანი – შენი მომავალი" პრეს-ცენტრში, სადაც ადგილობრივი არჩევნების პროცესში მომხდარი დარღვევების აღრიცხვასა და მობილური ჯგუფების საშუალებით, ამ დარღვევებზე რეაგირებას ახდენდნენ, ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდათ: შემაშფოთებელი ინფორმაციები თბილისის უამრავი საარჩევნო უბნიდან მოდიოდა. აქ შემოსული სატელეფონო ზარებისა თუ ადგილზე პირადად მოტანილი შეტყობინებების "ზაზაზე" დაყრდნობით, შესაძლებელია 2 ივნისის არჩევნების ტიპობრივ, ყველაზე გავრცელებულ დარღვევებზე ვილაპარაკოთ.

**თბილისის მრავალ საარჩევნო უბნანში და მის მიმდებარე ტერიტორიზე იმყოფებოდნენ პოლიციელები. არასამთავრობო** ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენლის ნათია ბურდულის თქმით**, მათ ეს მითითება არჩევნების წინა დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღეს;**

**მრავალ უბანზე იგნორირებული იყო კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც საუბნო კომისია ვალდებულია ხმის მიცემის დაწყებამდე 24 საათით ადრე, 100 მეტრის რადიუსში, სააგიტაციო მასალა ჩამოხსნას;**

**ძალიან ბევრი უბანი დაგვიანებით გაიხსნა და არ მოხდა კომისიის წევრებს შორის ფუნქციების კენჭისყრით გადანაწილება;**

**კომისიის წევრები "გამოირჩეოდნენ" საარჩევნო კანონის მოთხოვნების უცოდინრობით;**

**საარჩევნო სიების მხრივ იყო სრული ქაოსი: ბევრგან არ გამოაკრეს ძირითადი ან დამატებითი სიები. ამ უკანასკნელში, პირადობის დამადასტურებელი ყოველგვარი საბუთის წარდგენის გარეშე, შეჰყავდათ სხვადასხვა პირები;**

**ამომრჩევლები მასიურად იყვნენ გამორჩენილნი საარჩევნო სიებში;**

**დაფიქსირდა მკვდარი სულების დიდი რაოდენობა.**

ამ ზოგადი ჩამონათვლის მიხედვით მაინც გაჭირდება გუშინ ჩატარებული (?) არჩევნების შესახებ "ნათელი" წარმოდგენის შექმნა. ამიტომ, მეტი თვალსაჩინოებისთვის, უპრიანი იქნება, კოალიცია "შენი მომავალი – შენი არჩევანის" მიერ გამოვლენილი დარღვევები კონკრეტული ფაქტების სახითაც წარმოჩინდეს.

იგივე ნათია ბურდულის განცხადებით, საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე განთავსებულ №9 საარჩევნო უბანში დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირდა შეიარაღებულ პირთა შესვლის შემთხვევა, საბურთალოშივე, ოღონდ, №3 საარჩევნო უბანში კი კომისიის თავმჯდომარესთან უცნობ პირთა ჯგუფი მივიდა და რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის ამომრჩეველთა სიების მათთვის გადაცემა დაჟინებით მოითხოვა.

საბურთალოელებს არც ვაკელები და ისნელები "ჩამორჩნენ": ვაკის №3 უბანში გაცემულ მრავალ საარჩევნო ბიულეტენზე აღმოჩნდა "ხარვეზი" – ხაზგასმა ერთ-ერთი პარტიის დასახელების გვერდით, ხოლო ისნის რაიონის ორ სხვადასხვა უბანზე დამკვირვებლებმა 2 ყალბი ბეჭდის არსებობა დააფიქსირეს.

არჩევნების ქართულ სისტემაში უკვე დიდი ხანია, "ღირსეული" ადგილი დაიმკვიდრა ე.წ "კარუსელების" "ინსტიტუტმა". მისი გამოყენება არც გუშინ დავიწყებიათ. გაყალბების მოსურნეებმა ამჯერად "მძიმე ტექნიკის" – ავტობუსების გამოყენებაზე უარი თქვეს და უპირატესობა "მსუბუქ არტილერიას" – "მარშრუტკებს" მიანიჭეს. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენლები ასახელებენ იმ მიკროავტობუსების ნომრებს, რომლებსაც ამომრჩეველი ერთი საარჩევნო უბნიდან მეორეზე გადაყავდათ.

**ასეთი "ყველგანმავლებია":** მუქი ვერცხლისფერი **AEB 203** (მოძრაობდა ვაკე-საბურთალოში), **PPP 836** (მოძრაობდა სამგორის რაიონში), **AEV 363** (ფორდი), **AOA 181** (მერსედესი), **ADV 486** ("ვაზ" – 2108), **NIA 205** ("ბეემვე").

თუმცა, "კარუსელის" ორგანიზატორები ხშირად ზედმეტ ხარჯებს ერიდებიან და ამომრჩევლებს "თვითმომსახურებას" აიძულებენ. ასე მაგალითად, კოალიციის გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ბახტრიონის №13 კორპუსის მობინადრენი მიწერილნი იყვნენ ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე №13 საარჩევნო უბანზე, სადაც სიებშიც იყვნენ შეყვანილები, მაგრამ ბიულეტენები არ მისცეს და გაუშვეს ჯანდაცვის სამინისტროში (?!). აქ ისინი დამატებით სიებში შეიყვანეს და ასე მიაცემინეს ხმა.

"შენი არჩევანი – შენი მომავალის" გარდა, 2 ივნისის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებს მონიტორინგს უწევდა აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება". კოალიციისგან განსხვავებით, ამ ორგანიზაციამ აქცენტი რეგიონებზე გადაიტანა და თავისი წევრები, ძირითადად, პროვინციებში მიავლინა.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი დათო ყიფიანი რუსთავის, ზუგდიდის და ხაშურის ყბადაღებული პრეცედენტების გარდა, დარღვევების სხვა ფაქტებსაც ასახელებს.

**"ქალაქ ჭიათურაში თითქმის ყველა უბანზე კონვერტები დამოწმდა მხოლოდ ბეჭდით, კონვერტებს არა ჰქონდათ კომისიის 2 წევრის ხელმოწერა. კანონის თანახმად, ასეთი ბიულეტენები უნდა გაბათილდეს და ამდენად, არსებობს საშიშროება, რომ კანონის უცოდინრობის გამო, ამომრჩეველთა ხმები დაიკარგება."**

**"ახალციხეში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიიდან გამოყარეს სოციოლოგიური გამოკითხვის ჯგუფის წევრები და არ მისცეს მათ სამუშაოს ჩატარების საშუალება. ანალოგიური რამ ხდებოდა გურჯაანსა და ზუგდიდში".**

**"ხარაგაულის 1 საარჩევნო უბანში ყუთში ბიულეტენები ხელმოწერებისა და ბეჭდის გარაშე ჩაიყარა."**

**"ქუთაისში ჩაიტანეს დაულუქავი ბეჭდები, რამდენიმე საარჩევნო უბანს საჭიროზე ასობით ნაკლები ბიულეტენი გადაეცა".**

ასეთია 2 ივნისის არჩევნების ნეგატიური მხარის (რომლის ფონზეც ძალზე ძნელია იპოვო რაიმე პოზიტიური) ზოგიერთი შტრიხი – მისი მთლიანად გადმოცემა საგაზეთო პუბლიკაციის ფარგლებში შეუძლებელია.

და მაინც**: 2 ივნისს, ავად თუ კარგად (უფრო ავად), საქართველოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ "იმშობიარა" და პოლიტიკური ელიტის გადახალისების საშუალება შექმნა**. თუმცა, ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია დღევანდელი ცენტრალური ხელისუფლებისთვის, რომლის დისკრედიტაციასაც გუშინდელი გამარჯვებულები ამიერიდან გაათმაგებული ენერგიით აპირებენ.

# გუბერსკის ციხეში არჩევნები შედგა

ინგა ალავიძე

*საარჩევნო ტალღამ გუშინ გუბერსკის ციხესაც გადაუარა. სხვა, "თავისუფალი" უბნებისგან განსხვავებით, ხმის მიცემის პროცედურა მე-5 საგამოძიებო იზოლატორში განსაკუთრებით მშვიდ სიტუაციაში ჩატარდა და თანაც, უმოკლეს დროში. სულ რაღაც სამ-ოთხ* საათში საარჩევნო ურნა ბრალდებულ პატიმართა ბიულეტენების დასათვლელად მზად იყო.

ადმინისტრაციის მიერ 2 ივნისისთვის მომზადებული ორთაჭალის ციხის საკნები 12 საათზე გაიხსნა. ციხეში საარჩევნო ურნა კარგა ხნის დაგვიანებით მიიტანეს, მაგრამ სამი საათისთვის ციხის საარჩევნო უბანში ერთ პატიმარსაც ველარ ნახავდით.

ერთი სიტყვით, არჩევნები გუშინ გუბერსკის ციხეში შედგა, 1300-მა პატიმარმა თავისი არჩევანი გააკეთა. თუ ვის სასარგებლოდ, - ამ შეკითხვაზე პატიმრები პასუხს არ გვაძლევდნენ. "დუმილი ჩემი უფლებაა", - კანონების მცოდნე ბრალდებულები, მყარი არგუმენტით გვიშორებდნენ თავიდან.

თუმცა, ერთ-ერთი პატიმრის განცხადებით, ორთაჭალის ციხეში გუშინ ყოფილი იუსტიციის მინისტრი ლიდერობდა. პატიმართა უმრავლესობამ სწორედ მას მისცა ხმა. **"ბიჭების დიდმა ნაწილმა სააკაშვილს მისცა ხმა. მას სხვებზე მეტად ვიცნობდით, ზონისთვის მაგან მაინც გააკეთა რაღაც... "** – ასეთი იყო მისი განმარტება.

საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მეთვალყურეობით არჩევნები ჩატარდა ქუთაისის მე-2 საგამოძიებო იზოლატორშიც. საარჩევნო ბიულეტენი 245-მა პატიმარმა შეავსო. დამკვირვებელთა განცხადებით, ქუთაისის იზოლატორში დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

გარე პოლიტიკურ არეულობას ვერც ციხე გადაურჩა. კიდევ ერთ საგამოძიებო იზოლატორში – ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში - გუშინ არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა, საარჩევნო "მარათონიდან" ზუგდიდის გამოთიშვის გამო.

# არჩევანის უფლების სრული განადგურება

პირველი გვერდიდან

გუშინდელი არჩევნები ამ პროცესის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდა. ყველამ კიდევ ერთხელ ნათლად დაინახა და იგრძნო, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა უნდათ ადამიანებს, მთავარია, რა უნდათ იმათ, ვინც ხელისულებაშია, რა უნდათ იმ "ვიღაცეებს", რომელთა ხელშია ძირითადი ბერკეტები. ხდება არჩევანის უფლების, როგორც ღირებულების, სრული განადგურება, სრული დისკრედიტაცია. ამას ყველა ხედავს, ამას ყველა გრძნობს და რაც მთავარია, მოსახლეობის უმრავლესობა ამას უკვე ეგუება. ეს არის სწორედ ის, რისთვისაც ეს ყველაფერი ხდება - აღარავის გაუკვირდება, თუ რომელიმე პარტია ან პიროვნება რომელიმე არჩევნებში 98 ან 99 პროცენტს მიიღებს, ალბათ აღარც ის გამოიწვევს დიდ დებატებს, თუ არჩევნები საერთოდ აღარ ჩატარდება ან ისეთსავე ფორმალობად გადაიქცევა, როგორც ეს წლების წინ იყო. ამის სამწუხარო პრეცედენტები უკვე არის ზოგიერთ რეგიონში და პროცესი სულ უფრო გლობალურ სახეს იღებს, რითაც მოგებული, ბუნებრივია, ისევ ხელისუფლება რჩება. მათ არაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პროცესები ნორმალურად წარმართულიყო და თუნდაც ორმოც შეირაღებულ ადამიანს მთელი ქალაქისთვის განკუთვნილი ბიულეტენები არ გაეტაცა. როდესაც ცესკოს თავმჯდომარე არჩევნების წინ საჯაროდ აცხადებს რომ თუ მოსახლეობა არჩევნებზე არ მივა ,არჩევნები გაყალბდება, რაზე შეიძლება ამის მერე ვისაუბროთ? მაგრამ საქმეც ის არის, რომ, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლებას აწყობს არჩევნების ცნების დევალვაცია. წინ ორი დიდი არჩევნებია (მათ შორის საპრეზიდენტო) და რაც უფრო დაჩაჩანაკებული, დაბეჩავებული, რწმენადაკარგული იქნება მოსახლეობა, მით უფრო ადვილი გახდება მათთვის ტვინების გამორეცხვა, რომელიმე უსახო ჩინოვნიკის ერის მამად გამოცხადება და სახელისუფლო "ტახტზე დემოკრატიულად" კურთხევა. ის ყველაფერი, რაც ახლა ხდება, მხოლოდ მზადებაა ამ "დიადი მიზნის" მისაღწევად.

პოლიტიკურ ძალებს სწორედ ასეთ სიტუაციაში მართებდათ მეტი გონიერების გამოჩენა. მაგრამ ისინიც შეეგუენ იმას, რომ არჩევნები ყოველთვის შეიძლება გაყალბდეს და "პრაგმატული" პოზიცია დაიკავეს. ისინი უკვე იმას ცდილობდნენ, თვითონ ჩაეგდოთ სახელისუფლებო ბერკეტები ხელში და სხვისთვისაც ისევე გაეყალბებინათ არჩევნები, როგორც თავის დროზე მათ უყალბებდნენ. ამიტომაც სრულიად ლოგიკური იყო, რომ პოლიტიკური პარტიათა ნაწილმა იმ ცესკო-ს შენარჩუნება მოითხოვა რომელსაც მანამდე ათასგვარ ბრალდებებს უყენებდნენ. პარალელურად მიმდინარეობდა ცესკო-ს წევრების გადაბირების პროცესიც. ეს ყველაფერი კი იმ რიტორიკით შეინიღბა, რომ მთავარია, არჩევნები ჩატარდეს, არჩევნები არ გადაიდოს და ა.შ. პოლიტიკურმა ძალებმა ვერაფრით ვერ გაითვიცნობიერეს, რომ ამ ეტაპზე მათ ყველას ერთი ამოცანა უდგათ – ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური კლიმატის შექმნა, რომელიც მომავალში ყველას დაუტოვებს პოლიტიკურ თამაშში მონაწილეობისა და გამარჯვების შანსს. მთავარი ორინტირი სწორედ ეს უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ძალები სრულიად საპირისპიროს აკეთებენ და ხელისუფლების შექმნილ ჭაობში ცდილობენ თევზების დაჭერას. ჭაობში კი ცოცხალი თევზი ჯერ არავის დაუჭერია.

# საუკეთესო თავდაცვა შეტევაა

შოთა უტიაშვილი


«როიტერის» ფოტო

"საუკეთესო თავდაცვა შეტევაა" - ასეთია 1 ივნისს უესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში პრეზიდენტ ბუშის მიერ ჩამოყალიბებული აშშ-ს უსაფრთხოების ახალი პოლიტიკის დედააზრი.

ცივი ომის წლებში დიდი ქვეყნების უმრავლესობისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმს შეკავება და საპასუხო დარტყმის მუქარა წარმოადგენდა. "სანამ შენ ჩემს წინააღმდეგ ომს არ დაიწყებ, მე შენს საქმეებში არ ჩავრევი, მაგრამ თუ თავს დამესხი, საკადრის პასუხსაც მიიღებ", - ასე ფიქრობდნენ ცივი ომის დროს. ბუშმა თავის გუშინდელ გამოსვლაში ეს პარადიგმა შეცვალა. "თუ ჩვენს პოტენციურ მოწინააღმდეგეს დარტყმის მოყენებას დავაცდით, შესაძლოა უკვე ძალიან გვიან იყოს,"- განუცხადა პრეზიდენტმა დიპლომების გადაცემის ცერემონიალზე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული სამხედრო აკადემიის 204-ე გამოშვებას.

"თავისუფლებისათვის (ამერიკის უსაფრთხოებისათვის) ყველაზე დიდი საფრთხე რადიკალიზმისა და ტექნოლოგიის გადაკვეთაზე ძევს. ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის გავრცელება, ბალისტიკიური სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელებასთან ერთად, სუსტ სახელმწიფოებსა და ტერორისტულ დაჯგუფებებს აძლევს კატასტროფულ ძალას, რომელიც მათ შეიძლება დიდი ქვეყნების წინააღმდეგ გამოიყენონ," - განაცხადა ბუშმა. მისი თქმით, ტერორისტებსა და "გაუწონასწორებელ დიქტატორებს" ნაკლებად ადარდებთ ის კატასტროფული შედეგები, რომლებსაც მათ ქვეყნებს ამერიკასთან ომი მოუტანთ.

შეერთებული შტატების სამხედრო დოქტრინაში "არაპროპორციული ომი" შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელიც ამერიკელთა აზრით, ტრადიციულ ომს შეცვლის. ტერორისტების არსენელის გაფართოება და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება ძლიერი სახელმწიფოსთვის დიდი ზიანის მიყენების საშუალებას თვით სუსტ სახელმწიფოსა და ორაგანიზაციასაც კი აძლევს. ბუშის თქმით, 11 სექტემბრს ტერაქტის ორგანიზება ალქაიდას უფრო ნაკლები დაუჯდა, ვიდრე აშშ-ს არმიას ერთი ტანკის შეძენა დაუჯდებოდა. ანუ, ტრადიციული ომისაგან განსხვავებით, სადაც მოწინააღმდეგეს შენდენი ან შენზე მეტი რესურსები უნდა ჰქონოდა, შენთან ომი რომ დაეწყო, დღეს პრაქტიკულად ნებისმიერს შეუძლია უზარამაზარი ზარალი მოგაყენოს. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ერთად ეს საფრთხე კიდევ უფრო აქტუალური გახდება.

როგორ უნდა ებრძლო შენზე გაცილებით უფრო სუსტ მოწინააღმდეგეს?

თეთრი სახლის აზრით, სამი უმთავრესი მექანიზმი არსებობს: "მშვიდობის დაცვა ტერორისტებისა და ტირანებისაგან", "მშვიდობის შენარჩუნება დიდ სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნების მეშვეობით" და "მშვიდობის გავრცელება ყველა კონტინენტზე ღია და თავისუფალი საზოგადოებების მხარდაჭერით".

ამ საკმაოდ ფართოდ მოხაზულ სტრატეგიაში ერთ-ერთ ძირითად ადგილს პრევენტიული ანუ "დასწრებაზე" ომი იკავებს. აშშ-ს ადმინისტრაციის აზრით, მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 60 ქვეყანა, რომელიც შეერთებული შტატებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. ამერიკა მზად უნდა იყოს ნებისმერ მათგანში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისათვის, რადგან "მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეიძლება საფრთხის ნეიტრალიზება". ბუშმა განუცხადა ამერიკელ კადეტებს, რომ ამერიკა ომის მდგომარეობაში იმყოფება და მათი სამსახური ქვეყანას ნებისმიერ დროს შეიძლება დასჭირდეს.

ბუშის მოხსენებაში საუბარი იყო იმ ქვეყნებზეც, რომელთაც ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ს მხარდაჭერა სჭირდებათ. "ზოგიერთ სახელმწიფოს ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლისათვის არმიისა და შეიარაღების მოდერნიზაცია სჭირდება, – განაცხადა მან, – და ჩვენ მათ ამაში დავეხმარებით. სხვები ებრძვიან ტერორიზმს, მაგრამ არა იმ სიძულვილს, რომელიც მას იწვევს. ეს უნდა შეიცვალოს".

მოელიან, რომ აშშ-ის ახალი სტრატეგია მისი ევროპელი მოკავშირეებისა და რუსეთის გარკვეულ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ევროპელთა უმრავლესობა, მართალია, იწონებს და მხარს უჭერს ანტიტერორისტულ ოპერაციას ავღანეთში, მაგრამ საბრძოლო მოქმედებების სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის, ერაყში გადატანას ეწინააღმდეგება. ბუშის უკანასკნელ ტურს ევროპაში მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაციები და უკვე ტრადიციად ქცეული უნილატერალიზმში ბრალდებები ახლდა თან. თუ შეერთებულმა შტატებმა მართლაც დაიწყო აქტიური, მათ შორის, სამხედრო ჩარევა მესამე ქვეყნების საშინაო საქმეებში, ევროპელებისა და რუსების უკმაყოფილება, ისევე როგორც ყბადაღებული მითქმა-მოთქმა "ცივილიზაციათა შეჯახებისა" და "ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის" შესახებ კიდევ უფრო გაძლიერდება. ამ უთანხმოების არსებობას ამერიკელებიც აღიარებენ. "ზოგიერთს შეიძლება ჩვენი გამოსვლების ტონი არადიპლომატიური და არათავაზიანი ეჩვენოს... მაგრამ ბოროტ და უკანონო რეჟიმებთან ბრძოლით ჩვენ არ ვქმნით პრობლემას, ჩვენ ვააშკარავებთ მას და მასთან ბრძოლაში წინ მივუძღვით მსოფლიოს".

1 ივნისის გამოსვლაში ჩამოყალიბებული მიდგომები და პრინციპები საბოლოო სახეს ალბათ აშშ-ს ახალ საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინაში მიიღებს, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში უნდა გამოქვეყნდეს და რომელიც, როგორც ამბობენ, 5 ძირითად მიმართულებაზე ამახვილებს ყურადღებას:

**ტერორიზმის ნებისმერი ფორმასთან და გამოვლინებასთან ბრძოლა;**

**მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღკვეთა;**

**ენერგომატარებლების ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფა;**

**მსოფლიოს "მშვიდობის ზონად" გადაქცევა;**

**ჩინეთთან შესაძლო პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარება.**

ბუშის ეს გამოსვლა მოწმობს, რამდენად შეიცვალა საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურა 11 სექტემბრის შემდეგ. 2000 წელს, ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი ჯორჯ ბუში დაუღალავად აკრიტიკებდა ბილ კლინტონის პოლიტიკას, რომელიც, მისი აზრით, "მსოფლიო ჟანდარმად" ქცევას ისახავდა მიზნად და ამბობდა, რომ მინიმუმამდე შეამცირებდა აშშ-ს სამხედრო ინტერვენციებს საზღვარგარეთის ქვეყნებში, რომელთა სახელებიც მას, ალბათ, გაგონილიც არ ჰქონდა.

# მუშარაფი: ბირთვული ომი გამორიცხულია

3-5 ივნისს ყაზახეთის ქალაქ ალმა-ათაში გაიმართება სამხრეთ აზიაში ნდობის აღდგენის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც პაკისტანის პრეზიდენტი მუშარაფი და ინდოეთის პრემიერი ვაჯპაიც მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა, კონფერენციის დროს მათ შეხვედრაზე ინდოეთის მხარე კატეგორიულ უარს აცხადებს. დელის პოზიციის თანახმად, სამშვიდობო მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს, სანამ პაკისტანი ქაშმირში ტერორისტების გაგზავნას არ შეწყვეტს. და მაინც, საერთაშორისო ზეწოლამ, რომელსაც ორივე მხარე, უფრო მეტად კი პაკისტანი განიცდიდა, შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ზეწოლა კიდევ გაგრძელდება. სამიტის დასრულების შემდეგ სამხრეთ აზიაში აშშ-ს თავდაცვის მინისტრის, დონალდ რამსფელდისა და სახლმწიფო მდივნის მოადგილის რიჩარდ არმიტიჯის ვიზიტი იგეგმება.

ამასობაში პაკისტანის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ბირთვული ომის შესაძლებლობის შესახებ ხმები ძალიან გაზვიადებულია. "არა მგონია, რომელიმე მხარე ამდენად უპასუხისმგებლო იყოს. რაც არ უნდა დიდი იყოს ზეწოლა, ბირთვულ ომზე გონიერი კაცი არავითარ შემთხვევაში არ წავა". რაც შეეხება ინდოეთს, ამ ქვეყნის ბირთვული დოქტრინის მიხედვით, ატომური იარაღის პირველად გამოყენება დაუშვებელია.

მიმომხილველები აცხადებენ, რომ ომი თუ დაიწყო, მას ინდოეთი დაიწყებს, რომელსაც ჩვეულებრივი (არაბირთვული) შეიარაღებული ძალების მხრივ უდიდესი უპირატესობა გააჩნია. ექსპერტების აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინდოეთმა სამხედრო მოქმედებები (თუ ისინი საერთოდ დაიწყო) ქაშმირის გარეთაც გაავრცელოს.

პრეზიდენტი მუშარაფი ამჟამად ტაჯიკეთშია, სადაც რახმონოვთან ორდღიან მოლაპარაკებებს მართავს. ვითარებამ საკმაოდ უცნაური ხასიათი მიიღო. მთელი მსოფლიო შეძრულია იმით, რომ ორი ქვეყანა ბირთვული ომის ზღვარზე იმყოფება. დიდი რვიანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება, სადაც ისინი არსებული ვითარებით თავიანთ უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავენ. ამ დროს კი ინდოეთისა და პაკისტანის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლები ქვეყანას ხანგრძლივი დროით ტოვებენ. ინდოეთის თავდაცვის მინისტრი ფერნანდესი რამდენიმე დღით იმყოფებოდა სინგაპურში და იქიდან აკეთებდა აგრესიულ განცხადებებს.

ცივი ომის დროს ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაპირისპირებაში ბირთვული იარაღი შემაკავებელი ფაქტორი იყო, იგი ასეთად შეიძლება ინდოეთ-პაკისტანის დაპირისპირებაშიც იქცეს, მაგრამ ამას დრო და გარკვეული ტრადიციის ჩამოყალიბება ესაჭიროება.




# წინსვლა ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებში?

ლინა პანტელეევა

ბოლო კვირის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა – შედგა მაღალი რანგის უცხოელი დიპლომატების ვიზიტები და იასირ არაფატმა გააკეთა განცხადება რეფორმების დაწყების თაობაზე. დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის ჯარების განახლებული რეიდების მიუხედავად, უკვე არის საუბარი სამშვიდობო პროცესის შესაძლო განახლებაზე, რადგან ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი მოლაპარაკებების განახლების მთავარ პირობად სწორედ პალესტინის ადმინისტრაციის რეფორმირებას აყენებს.

ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესში გარკვეული წინსვლის მანიშნებლად აგრეთვე მიიჩნევენ დიდ ბრიტანეთში გამართულ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების საკითხისადმი მიძღვნილი ებრაელი და პალესტინელი პოლიტიკოსების საიდუმლო მოლაპარაკებებს, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და პარასკევს დასრულდა. ინფომაცია მოლაპარაკებების შესახებ ბრიტანულმა გაზეთმა "The Guardian"-მა გაავრცელა.

ისრაელის მხრიდან მოლაპარაკებებში მიიღეს მონაწილეობა ქნესეტის სპიკერმა აბრაჰამ ბერგმა, ვიცესპიკერმა ნაომი ჩაზანმა, ისრაელის ჯარის გენერალური შტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა ამნონ ლიფკინშაჰაკმა და იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა იოსსი ბილინმა, რომელიც ოსლოს 1993 წლის სამშვიდობო შეთანხმებების ერთ-ერთი ავტორია. პალესტინურ მხარეს კი წარმოადგენდნენ პალესტინის ეროვნული ავტონომიის უპორტფელო მინისტრი ნაბილ კასისი, პალესტინის კულტურის მინისტრი იასერ აბედ რაბო და ორი პოლიტიკოსი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში აქტიურად მონაწილეობს.

მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკოსებმა, რომლებმაც დაპირისპირებულ მხარეებს ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილება გაუზიარეს. "ათი წლის წინ რომ გეთქვათ, ჩრდილოეთ ირლანდიასა ან სამხრეთ აფრიკაში მშვიდობა დამყარდებოდა, ბევრი ამას სკეპტიკურად შეხვდებოდა... რატომ არ უნდა აირჩიოს ახლო აღმოსავლეთმა იგივე გზა", - განაცხადა ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ყოფილმა ლიდერმა, დღესდღეობით ჩრდილოეთ ირლანდიის განათლების მინისტრმა მარტინ მაკგინესმა.

მოლაპარაკებების დროს მხარეებმა ისრაელ-პალესტინის ე.წ. "ჩრდილოვანი" ადმინისტრაციის, როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის კოალიციური მთავრობის ალტერნატივის შექმნის საკითხზე ისაუბრეს. გარდა ამისა, მხარეები ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის ახალი გეგმის შემუშავებასაც შეეხნენ. განიხილეს ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესის მაგალითი და მისი ზოგიერთი ელემენტის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში გამოყენების შესაძლებლობა .

დიდ ბრიტანეთში გამართული საიდუმლო მოლაპარაკებების მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკებების დროს მხარეებს შორის ურთიერთგაგების უპრეცედენტო დონე აღინიშნა. თუმცა, იმ ფაქტმა, რომ ისრაელის დელეგაციის შემადგენლობაში შარონის მმართველი პარტიის - ლიქუდის წევრები არ იყვნენ წარმოდგენილნი, სამშვიდობო პროცესზე, რეალურად, შესაძლოა, არც ისე დიდი გავლენა მოახდინოს. გარდა ამისა, ბოლო დროს ხშირად არის საუბარი იმაზე, რომ მარტში, არაბული სამყაროს ქვეყნების სამიტზე, საუდის არაბეთის მიერ წამოყენებული სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების გეგმა, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში არ განხორციელდება.


«როიტერის» ფოტო

## კავკასიის სვეტი

# აზერბაიჯანის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება

აზერბაიჯანის ბიუჯეტი ყოველწლიურად დაახლოებით 15%-ით იზრდება, - განაცხადა ამ ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა. წლევანდელი ბიუჯეტი 5 ტრილიონ აზერბაიჯანულ მანათს შეადგენს (ამჟამინდელი გაცვლითი კურსით 1 დოლარი 4858 მანათს უდრის). მინისტრის პროგნოზით, მომავალი წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 450-500 მილიონი მანათით უფრო მეტი იქნება. მინისტრის ცნობით, ქვეყნის მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტში პროფიციტი დაფიქსირდა.

# „გრანტების კანონი" აზერბაიჯანულად

აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა მიიღო შესწორებები კანონში გრანტების შესახებ. კანონის მიხედვით, ამიერიდან ყველა ხელშეკრულებამ დონორსა და რეციპიენტს შორის გრანტის გამოყოფის შესახებ სახელმწიფოს მხრიდან რეგისტრაცია უნდა გაიაროს. არარეგისტრირებული პროექტების განხორციელება იკრძალება. რეგისტრაციის გამცემი ორგანო მოვალეა, შეისწავლოს, რამდენად შეესაბამება "თითოეული გრანტის გამოყოფა აზერბაიჯანის სახელმწიფო ინტერესებს". თავად არასამთავრობო ორგანიზაციები ამ კანონის მიღებას 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებენ და ფიქრობენ, რომ არჩევნების წინ ხელისუფლებამ არასამთავრობოების მოხრჩობა გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნის მთავრობას უკვე მოგვარებული აქვს "ოპოზიციური პარტიებისა და მასმედიის პრობლემა". მასმედიას "ოჯახის" წევრები აკონტროლებენ, ოპოზიციური პარტიები კი იატაკქვეშეთში არიან ჩარეკილი. არასამთავრობოებს იმედი აქვთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ამ კანონის აშკარა წინააღმდეგობა აიძულებს პრეზიდენტს, მისი ხელმოწერისაგან თავი შეიკავოს. აზერბიჯანული არასამთავრობოების ცნობით, ამ შესწორებების მიღების იდეა მილი მეჯლისს ლუკაშენკოს მთავრობის მიერ მიღებულმა ანალოგიურმა კანონმა შთააგონა.

# პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დასმა კანონიერია

სომხეთის პარლამენტის სახელმწიფო-სამართლებრივ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ვიქტორ დალაქიანის განცხადებით, დეპუტატთა ერთი ნაწილის ინიციატივა, დააყენონ პრეზიდენტ კოჩარიანის იმპიჩმენტის საკითხი, სავსებით არ არღვევს სომხეთის კანონებსა და პარლამენტის რეგლამენტს. 1999 წლის 27 ოქტომბრის ტრაგედიის შემსწავლელმა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ ქვეყნის უშიშროების სამსახურებს შეეძლოთ მომხდარი ტერაქტის თავიდან აცილება, "საჭირო დონეზე" რომ ემუშავათ. რაკი პრეზიდენტი ქვეყნის უშიშრების გარანტია, - აცხადებს დალაქიანი, - მაშასადამე, მომხდარში გარკვეული ბრალი მასაც მიუძღვნის. სწორედ დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით შეიტანეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, რომელიც პარლამენტის რეგალმენტის თანახმად, სამი დღის ვადაში უნდა განიხლონ (არმინფო).

# „შესანიშნავმა„ ექვსეულმა რეფორმა იხსნა

## პარლამენტის "ინტერფრაქციული კომისია" მთავრობას კარტ-ბლანშს აძლევს

გიორგი კალანდაძე

*დეპუტატთა ჯგუფი პარლამენტის დადგენილების შეცვლის წინადადებით გამოდის, რომლითაც მთავრობას ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე პარლამენტის ინტერფრაქციული კომისიის თანხმობა სჭირდება. ამ ჯგუფის მხარდაჭერის შედეგად მთავრობამ შეძლო, ხელი მოეწერა კონტრაქტისთვის ირლანდიური სახელმწიფო კომპანია ESBI-სთან ელექტროგადაცემა-დისპეჩერიზაციის ხუთწლიანი მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. ამით საქართველოს მთავრობამ შეასრულა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულება ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისა და ელექტროგადაცემა-დისპეჩერიზაციის უცხოური კომპანიებისთვის ხუთწლიანი მართვის უფლებით გადაცემის შესახებ. საბითუმო ბაზარს 2001 წლის ბოლოდან უკვე ესპანური ენერგოკომპანია "იბედროლა" მართავს.*

**"საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები გაღიზიანებას გამოხატავენ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობას არ შესწევს უნარი, შეამციროს კორუფციის მასშტაბები ენერგეტიკის სექტორში და გააუმჯობესოს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ენერგოკომპანიების მუშაობა, რაც, საბოლოო ანგარიშში, მნიშვნელოვნად ამცირებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაწეული დახმარების ეფექტურობას"**, - ეს მკაცრი შეფასება მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა თებერვალში გააკეთეს. ერთი თვის შემდეგ ბანკის რეგიონული დირექტორი ჯუდი ო`კონორი საქართველოს პარლამენტში აგზავნის წერილს, რომელშიც წერს, რომ აუცილებელია სადისტრიბუციო კომპანიების გაერთიანება, მათი პრივატიზება ან მართვის კერძო კონტრაქტებზე გადასვლა, ენერგოსექტორის მსხვილი ვალების რესტრუქტურიზაცია და საბითუმო ბაზრისთვის გადაცემისა და დისპეჩერიზაციისთვის მართვის კონტრაქტორების დაქირავება.

ეს სამი რეკომენდაცია გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პროგრამაში, რომელიც ენერგოსექტორის კრიზისიდან გამოყვანას შეეხება. მსოფლიო ბანკმა და სხვა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა პროგრამის დასაფინანსებლად 55,7 მლნ. დოლარი გამოყვეს. აქედან მსოფლიო ბანკის მიერ 27,4 მლნ. დოლარის ოდენობით გამოყოფილ პირველ კრედიტს საქართველოს პარლამენტმა უკვე გაუკეთა რატიფიკაცია, ოღონდ 9 თვის დაგვიანებითა და სპეციალური დადგენილების თანდართვით, რომელიც უკვე იქცა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მკაცრი შენიშვნების საფუძველი.

საკრედიტო ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესის გაჭიანურებამ და დადგენილების მიღებამ მსოფლიო ბანკში აფიქრებინათ, რომ საქართველოში მთავრობასა და პარლამენტს ერთმანეთთან პრობლემები გააჩნიათ. ამ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ტევფიკ იაპრაკი აცხადებს: "**აშკარაა, რომ პარლამენტი მხარს არ უჭერს იმას, რასაც მთავრობა აკეთებს. ჩვენი აზრით, პარლამენტის გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ პროექტი არ განხორციელდა. თუ პარლამენტი დაადასტურებს დადგენილების ჩვენეული ინტერპრეტაციის სისწორეს, მაშინ, ვფიქრობ, რომ ეს პროექტი ვერ მიაღწევს იმ დასახულ მიზანს, რაც მასშია ჩადებული**".

ტევფიკ იაპრაკი შეშფოთებულია პარლამენტის დადგენილების მეორე მუხლის გამო, რომლის მიხედვითაც, საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი ყველა თანხის ასათვისებლად საქართველოს მხრიდან ნებისმიერი კონტრაქტისა და ხელშეკრულების ხელმოწერა პარლამენტის ინტერფრაქციულ კომისიასთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს, თანაც ეს შეთანხმება კონსენსუსის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს რევაზ არველაძეს პარლამენტის დადგენილებისთვის ხმა არ მიუცია. "**დადგენილებაში ასეთი პუნქტის შეტანის წინააღმდეგი ვიყავი. მიმაჩნია, რომ ეს არ არის პარლამენტის საქმე და ხელშეკრულებაზე სრული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს აღმასრულებელ ხელისუფლებას**", - აცხადებს არველაძე. მისი თქმით, მთავრობამ დამოუკიდებლად უნდა გააფორმოს როგორც საკრედიტო ხელშეკრულებები, ასევე მართვის კონტრაქტები, მაგრამ "**პარლამენტს უნდა ჰქონდეს საშუალება, გააკონტროლოს, რამდენად სწორად ხდება კრედიტების ათვისება და იმ პირობების შესრულება, რომლებიც მენეჯმენტ-კონტრაქტებითაა გათვალისწინებული**". ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარისთვის ასევე უცნობია, შეიქმნა თუ არა ინტერფრაქციული კომისია და ვინ არიან ამ ჯგუფის წევრები.

დონორების კრიტიკამ იმდენად იმოქმედა საქართველოს პარლამენტზე, რომ საკანონმდებლო ორგანოს ბიურომ ვალდებულება აიღო დადგენილების შეცვლის თაობაზე, რაც 27 მაისს წერილობით ეცნობა კიდეც მსოფლიო ბანკს. ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერის მიხედვით, 23 მაისს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ უწყების ხელმძღვანელის, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრისა და პარლამენტის "ინტერფრაქციული კომისიის წევრებს" შორის ჩატარებულ შეხვედრაზე დეპუტატებმა მთავრობას ირლანდიელებთან მართვის კონტრაქტზე ხელმოწერის უფლება მისცეს. კონტრაქტზე ხელმოწერა იმავე დღესვე მოხდა. შეხვედრაზე "ინტერფრაქციული კომისია" 6 პარლამენტარით იყო წარმოდგენილი. ქონების მართვის სამინისტროს ინფორმაცით, შეხვედრას ესწრებოდნენ: ვაჟა ლილუაშვილი (ფრაქცია "ალიანსი"), ვალერი ქაჩლიშვილი ("სოციალისტი"), რევაზ ნოდარიშვილი ("მაჟორიტარი"), აკაკი გასვიანი ("აფხაზეთი"), ალეკო შალამბერიძე ("ტრადიციონალისტი") და ვახტანგ შამილაძე ("თანადგომა").

საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება (ელექტროენერგეტიკული ბაზრის მხარდამჭერი პროექტი) 40-წლიანია - წლიური 0,75%-ით. მსოფლიო ბანკის გარდა, საქართველოს ენერგოსისტემის დაკრედიტებას განახორციელებენ რეკონსტრუქციის გერმანული ბანკი KFW (12,4 მლნ. დოლარის ოდენობით) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი EBRD (1 მლნ. ევრო). პროგრამის დარჩენილ ნაწილს საქართველოს მხარე დააფინანსებს. პროგრამა 2005 წლამდე უნდა განხორციელდეს. მისი ცალკეული კომპონენტები საქართველოს მთავრობამ უკვე შეასრულა.




მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

# გარიგება და ლობიზმი

## ვისგან ელით ქართველ ჩინოვნიკებს მოქრთამვის ცდუნება

გვანცა კვინიკაძე

*საერთაშორისო ანტიკორუფციულმა ორგანიზაცია "ტრანსპარენსი ინტერნეიშენელმა" (ტი) გამოაქვეყნა ქრთამის მიმცემთა 2002 წლის რეიტინგი, რომლის თანახმად რუსული, ჩინური, ტაივანური და სამხრეთ კორეული კომპანიები ყველაზე მეტად არიან განწყობილნი განვითარებად ქვეყნებში ქრთამის გადახდისკენ. მათ ბევრი ისეთი განვიარებული ქვეყანა მოსდევს, სადაც უცხო ქვეყნის ჩინოვნიკისთვის ქრთამის მიცემა კანონით დანაშაულად არის აღიარებული. ტი-ს მმართველობის თავმჯდომარის პეტერ აიგენის განცხადებით, წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები "საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავენ", როცა თავისი ტრანსნაციონალური ფირმების კორუფციულ საქმიანობას იგნორირებას უკეთებენ და ყურადღებას განვითარებად ქვეყნებში არსებული კორუფციის მაღალ დონეზე ამახვილებენ.*

ტი-ის გამოკვლევის შედეგები საქართველოში არ გაკვირვებიათ, რადგან ის ფაქტი, რომ მსხვილი კომპანიები სასურველი კონტრაქტების მოსაპოვებლად ნებისმიერ საშუალებას მიმართავენ, სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. გარდა ამისა, უახლესი ისტორიის გადახედვაც საკმარისია იმის აღმოსაჩენად, რომ ცალკეული მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზებისას თუ სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს მიერ კონტრაქტორი კომპანიების გამოვლენის პროცესში გარიგებების კვალი აშკარად თუ არა, ფარულად მაინც იგძნობა.

საქართველოში მოქმედების რაიმე განსაკუთრებული წესი უცხოურ კომპანიებს არ გააჩნიათ. გაეროს განვითარების პროექტის (UNDP) ექსპერტის, **სანდრო თვალჭრელიძის** განცხადებით, დიდი კომპანიები აქ დამკვიდრებისთვის ადგილობრივ ძლიერ პარტნიორს პოულობენ, რომლის ფუნქცია ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა და კონტრაქტის მოპოვების უზრუნველყოფაა. როგორც წესი, ამ მისიის წარმატებით შესრულების სანაცვლოდ, ქართული მხარე საქართველოში დაფუძნებული კომპანიის აქციათა პაკეტის ნაწილს ან კომპანიაში მაღალ თანამდებობას იღებს. ლობირების ფაქტში უკანონო შესაძლოა არც არაფერია. ამისთვის უცხოურ კომპანიებს თავის ხარჯებში ლობისტებისთვის განკუთვნილი ე.წ. "Success fee"-ც (გადასახადი წარმატებისთვის) კი აქვთ გათვალისწინებული. "ყველა უცხოურ კომპანიას, რომელიც საქართველოში მუშაობს, ლობირება წარმატებით გაუწიეს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, გარიგებასაც ჰქონოდა ადგილი," - მიაჩნია თვალჭრელიძეს.

ბოლო პერიოდში საქართველოში ყველაზე სკანდალური შემთხვევა, რომელიც უცხოურ კომპანიასთან ხელისუფლების შესაძლო გარიგების ფაქტს ეხებოდა, ქართულ საბაჟოზე წინასაიმპორტო ინსპექტირების განმახორციელებელი კომპანიის შერჩევის ტენდერისას მოხდა. მაშინ ბრიტანული ITS-ის გამარჯვება ბევრს მოულოდნელად ეჩვენა. მეორე პრეტენდენტმა, შვეიცარიულმა SGS-მა კი, რომელიც ამ ტენდერში თავისი სოლიდურობის გამო ფავორიტად მიიჩნეოდა, სატენდერო კომისია ქრთამის აღებაში დაადანაშაულა. ქრთამის ოდენობად საკმაოდ სოლიდური თანხა - 2 მილიონი დოლარი დასახელდა.

ტი-ს რეიტინგმა აჩვენა, რომ კორუფციის დონე განსაკუთრებით მაღალი სწორედ სახელმწიფო პროექტებში და სამხედრო-თავდაცვით მრეწველობაშია, რაც ისევ და ისევ უცხოური კომპანიებიდან მომდინარეობს. ბრიტანული ტი-ს გამოკვლევის თანახმად, სამხედრო კონტრაქტების სფეროში მექრთამეობის მასშტაბები რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს უტოლდება.

კორუფცია და გარიგებები სამხედრო სფეროში, როგორც ჩანს, არც საქართველოსთვის არის "უცხო ხილი". წლების განმავლობაში რამდენჯერმე გააქტიურებული ბრძოლა ჩეხური და რუსული იარაღის ლობისტებს შორის ჯერჯერობით ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა, რისი ბოლო გამოვლინებაც, ექსპერტთა აზრით, გურამ თევზაძის მკვლელობა იყო.

რაც შეეხება სხვა დარგებს, ტი-ს მაღალკორუმპირებული სექტორების ჩამონათვალში ასევე ლიდერობს ნავთობისა და გაზის, უძრავი ქონების, ტელეკომუნიკაციების, ენერგეტიკის, სამთო მრეწველობის, ტრანსპოტის, ფარმაცევტიკა-სამედიცინო მომსახურების, მძიმე მრეწველობის, ბანკებისა და ფინანსების, სამოქალაქო ავიაციის, მეტყევეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, თევზჭერის, მსუბუქი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგები. ამ სფეროებში საქართველოში თითო შემთხვევის დასახელება მაინც შეიძლება, რომელიც უცხოური კომპანიებისთვის ადგილობრივი ძალების ლობირების გარდა, ხელისუფლებასთან გარიგებებზე წასვლის სერიოზულ ეჭვს ბადებს. კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სამთო მრეწველობის და სხვა მაღალშემოსავლიან, უცხოელთათვის საინტერესო დარგებში წარმატებისთვის "შემთხვევით" კომპანიებს პრაქტიკულად არ მიუღწევიათ.

სასურველი კონტრაქტის დადების გამო ჩინოვნიკების მოქრთამვის ფაქტები განვითარებულ ქვეყნებშიც ხდება, თუმცა, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებად. თვალჭრელიძის აზრით, საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის ამ მხრივაც დიდი განსხვავებაა, რადგან იქ გამარჯვებული კომპანია გარიგებით მოპოვებული კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოს გამჭვირვალედ ასრულებს. საქართველოში კი ბევრი საშუალო დონის უცხოური ფირმა ქართულ შვილობილ კომპანიას ჩრდილოვანი ბიზნესის საწარმოებლადაც იყენებს.

# ქართული წყალი ირანში გაიყიდება

სოფო კვინტრაძე

ირანის რესპუბლიკის ახალი მთავრობა საგარეო ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში რეფორმატორულ ნაბიჯებს დგამს. საქართველო კი ირანისთვის ევროპაში სატრანზიტო დერეფნის როლს შეასრულებს. ირანის რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი მოჰამედ შარიათმადარი საქართველოში ვიზიტის დროს ირან-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის გამყარების ინიციატივით გამოდის.

ამჟამად ირან-საქართველოს შორის წლიური სავაჭრო ბრუნვა 10 მილიონ დოლარს შეადგენს. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ვაჟა კაპანაძის განცხადებით, ეს ბრუნვა მინიმალურია. "**ირანი არის სახელმწიფო, რომელსაც უდიდესი სავაჭრო პოტენციალი გააჩნია, გარდა ამისა, ეს არის 70 მილიონიანი ქვეყანა, რომელიც მთელი რიგი ქართული პროდუქციისათვის საკმაოდ ხელსაყრელ ბაზარს წარმოადგენს**", - განაცხადა ვაჟა კაპანაძემ.

ეს პროდუქცია კი სასმელი წყალია, რომლის დეფიციტსაც ირანი განიცდის. ირანული მხარის განცხადებით, ქართული წყლები ირანის საგამოფენო დარბაზებში უფასოდ გამოიფინება, რაც წყლის ექსპორტის დასაწყებად პირველი ნაბიჯი გახდება.

ირანული მხარის ინიციატივა საქართველოში ირანული ბანკის გახსნასაც შეეხო. როგორც ცნობილია, დღეისათვის ქართულ ბანკებს ირანში პარტნიორები არ ჰყავთ, რაც ირან-საქართველოს შორის საბანკო ოპერაციებს ართულებს. "**ირანელებს განზრახული აქვთ საქართველოში ინვესტორების შემოყვანა, რაც თავისთავად წარმოშობს ჩვენთან ირანული ბანკის გახსნის საკითხს. სხვათა შორის, მათ შემოგვთავაზეს ირანში ქართული ბანკის გახსნის იდეაც,**" – განაცხადა ვაჟა კაპანაძემ.

ირანი აქტიურადაა ჩართული ავღანეთის რეაბილიტაციის პროცესში. შარიათმადარის წინადადებით, ქართულ სამშენებლო კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესებში.

რაც შეეხება ირანული გაზის ექსპორტს ევროპაში, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც ირანის მთავრობის წინაშე დგას. ქართულ-ირანულ შეხვედრებზე გაცხადდა ინიციატივა სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს და ირანიდან ევროპაში გაზის ექსპორტი განახორციელოს.

# ეროვნული ბანკი საბანკო სისტემას ანტიკრიმინალურ ღობეს ავლებს

## 21-ე საუკუნის საქართველოში მიხვდნენ, რომ ბანკებს პროფესიონალი ბანკირები უნდა მართავდნენ

გიორგი კალანდაძე

*ეროვნული ბანკი უმაღლესი საბანკო მენეჯმენტის წარმომადგენლებისა და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერთათვის სპეციალური კრიტერიუმების შემოღებას აპირებს. კანონმდებლობის გამკაცრებისკენ ეროვნულ ბანკს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულმა ვითარებამ და საერთაშორისო ორგანიზაციათა რჩევებმა უბიძგა. 1995-2000 წლებში ქართული კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზის მიხედვით, ბანკების ადმინისტრატორებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების მიერ საქმისადმი არაპროფესიონალურმა და არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ ხშირად ბანკის გადახდისუუნარობა და გაკოტრება გამოიწვია.*

ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ შესაბამისობის კრიტერიუმების შემოღება, პირველ რიგში, საქართველოს საბანკო სისტემისთვისაა აუცილებელი. დღე-დღეზე გამოვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, რომელიც შესაფერისობის კრიტერიუმებს ბანკების დირექტორებისთვის განსაზღვრავს. ირაკლი მანაგაძის უწყების მეორე ნაბიჯია, დადგინდეს ასეთი კრიტერიუმები მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერთათვის, ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების წევრებისათვის. ამას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთი რეკომენდაციაც ითვალისწინებს, ეროვნული ბანკი კი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის რჩევათა კარგი შემსრულებელია. შედეგად, ეროვნულ ბანკში "კომერციული ბანკების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი მომზადდა, რომლის პირველი განხილვაც უკვე შედგა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და ადგილობრივ ბანკირთა გაერთიანება "საქართველოს ბანკების ასოციაციაში".

ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მურთაზ კიკორიას განცხადებით, საქართველოს საბანკო სისტემა დაცული უნდა იყოს კრიმინალისაგან. "ბანკების მაკონტროლებელი პირების არაკეთილსინდისიერებამ და არაპროფესიონალიზმმა ბევრი ბანკი გააკოტრა. შესაბამისად, შეირყა ნდობა საბანკო სისტემის მიმართ. ამისათვის აუცილებელია სისტემის დაცვა. თანაც, ასეთი მოთხოვნების არარსებობას ქვეყანა ფინანსურ სექტორში იზოლაციისკენ მიჰყავს", - აღნიშნა მურთაზ კიკორიამ. ეროვნული ბანკი მყარად მოითხოვს: ბანკის არც ერთი მაკონტროლებელი და მსხვილი აქციონერი არ უნდა იყოს წარსულში კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი, რომლის საქმიანობისა ან ზეგავლენით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ეს საკრედიტო დაწესებულება გადახდისუუნარო გახდა.

ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსს თავისი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საფინანსო ღონისძიებათა სპეციალური კომისიის (FATF) ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც "კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლებიც არეგულირებენ და აწარმოებენ საფინანსო ინსტიტუტებზე ზედამხედველობას, უნდა მიიღონ საჭირო სამართლებრივი და მარეგულირებელი ზომები, რათა არ დაუშვან კრიმინალური პირების მიერ საფინანსო ინსტიტუტების კონტროლი ან მათი ამ სახის ინსტიტუტებში მნიშვნელოვანი მონაწილეობა".

ეროვნული ბანკი ასევე განმარტავს "მნიშვნელოვანი წილის" დეფინიციას. ესაა კომერციული ბანკის გაცხადებული თუ განაღდებული საწესდებო კაპიტალის 5 ან მეტი პროცენტი.

ეროვნული ბანკის ამერიკელი მრჩეველი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საბანკო ზედამხედველობის პროგრამის პროექტის ხელმძღვანელი ტერი სტროუდი დარწმუნებულია, რომ საქართველოს კომერციული ბანკების უდიდესი ნაწილისთვის ეროვნული ბანკის გამკაცრებული მოთხოვნების შესრულება სირთულეს არ წარმოადგენს. "თავად ამ ბანკების ინტერესში შედის, რომ იქ კეთილსინდისიერი და პატიოსანი ადამიანები მუშაობდნენ. საქართველოში ჩემი მუშაობიდან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ ბანკირებს სურთ დააკმაყოფილონ ის მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია ეროვნული ბანკის დებულებაში", - აღნიშნა ტერი სტროუდმა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძეს კი მიაჩნია, რომ შესაბამისობის კრიტერიუმების შემოღება მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერთათვის დისკრიმინაციული არ უნდა იყოს. "ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს ფული და სურვილი, გახდეს ბანკის დამფუძნებელი ან აქციონერი, ამის უფლება უნდა გააჩნდეს. თუ საუბარია "შავ ფულსა" და კრიმინალზე, ამის გარკვევა უკვე სამართალდამცავთა საქმეა", - აღნიშნა ზაზა სიორიძემ.

ჯერჯერობით, ღიად რჩება კრიტერიუმების გამკაცრებამდე დანიშნული დირექტორებისა და ბანკების სხვა მაღალი ჩინების თანამდებობებზე დარჩენის საკითხი. "ამის თაობაზე ჩვენ ვმუშაობთ - პარლამენტშიც და ბანკირებთანაც. ამ საკითხზე ჯერ ვერ შევთანხმდით. თუმცა მერწმუნეთ, რომ ყველა იმ დირექტორმა, რომლებიც მუშაობენ ბანკებში, აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ მოთხოვნები, რომელიც ეხება მათ პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას. ვცდილობთ, ისე შევცვალოთ ამ მუხლის ფორმულირება, რომ ის მისაღები გახდეს ყველა მხარისათვის", - აღნიშნა ტერი სტროუდმა.

### თბსბ-ს ვაჭრობის შედეგების საფუძველზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2002 წლის 3 ივნისიდან დაადგინა უცხოური ვალუტების მიმართ ლარის შემდეგი გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0775 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2479 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4189 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2155 | ლარი |
| თურქული ლირა | 1000000 | 1.5504 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1788 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.4558 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3805 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1578 | ლარი |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 28 მაისის – 3 ივნისის მდგომარეობით




### მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6876 | 0.6421 | 0.0055 |
| US$ | 1.4542 | | 0.9339 | 0.0081 |
| Euro | 1.5573 | 1.0708 | | 0.0086 |
| ¥en | 181.00 | 124.13 | 115.93 | |

# საკნებში მხოლოდ ვირთხებს არ აწამებენ



ბესო გულაშვილის ფოტო

ხათუნა ჭანჭირაშვილი

*არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები –ადამიანის უფლებებისთვის" შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გადამოწმებას ითხოვს. ამის მიზეზი ორგანიზაციის წინასწარი გამოძიების საკნებში ვიზიტი გახდა.*

არასამთავრობო ორგანიზაციამ 9 ქალაქის წინასწარი დაკავების საკნების რევიზია ჩაატარა და მათგან მხოლოდ ორში - ქუთაისისა და მარნეულის საკნებში დახვდა ეჭვმიტანილები. საკნების დაცარიელება ადმინისტრაციამ დანაშაულის სიმცირით ახსნა.

**"საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ წინასწარი დაკავების საკნები ადამიანთა საწამებლადაა. დარღვეულია ყველა საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმებიც კი. ნესტიან სარდაფებში განთავსებულ საკნებში შექმნილი პირობები გამომძიებელს საშუალებას აძლევს, ცემა-წამების გარდა, ეჭვმიტანილზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმაც გამოიყენოს. საკნებში არ არის ტუალეტი, საწოლის მაგივრად ცემენტის იატაკზე დაგებულია უთხელესი ნარები, რომელზეც დაკავებულმა ღამე უნდა გაათიოს. ზეწარს, საბანს და ბალიშს იმიტომ არ ვაძლევთ, რომ თავი არ ჩამოიხრჩონო, - ასეთი პასუხი გაგვცა ადმინისტრაციამ, რომელიც საკნებში ჭიქის, თეფშისა და სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების საჭიროებასაც ვერ ხედავს, თუმცა თავი იმით გაიმართლა – ჭურჭელი რისთვის უნდა ეჭვმიტანილს, როცა ბიუჯეტში კვების თანხები გათვალისწინებული არ არისო. ანუ, ყველა სიკეთესთან ერთად, საჭმელსაც არ აჭმევენ დაკავებულს. როცა იქ არსებულ პირობებს უარყოფით შეფასებას ვაძლევდით, პოლიციის თანამშრომლები გაკვირვებულები გვპასუხობდნენ, ნაცემი ხომ არ არის არავინ, მეტი რა გინდათო. რატომღაც ჰგონიათ, წამება მხოლოდ ცემა და ელექტროშოკია. ადამიანს ერთი თვე ბანაობის საშუალება რომ არ ექნება, ეს წამება არ არის? ქუთაისის პოლიციის უფროსმა ასეთი პასუხი გაგვცა: დაბანის კი არა, ჭყუმპალაობის საშუალებას მივცემ ახლავე, არ უნდათო? ერთი სიტყვით, წინასწარი დაკავების საკნებში უმძიმესი მდგომარეობაა და რაც მთავარია, ეჭვმიტანილთა წამებას სახელმწიფო უწყობს ხელს, სახელმწიფო პოლიტიკაა ასეთი,"** - ამბობს ნანახით გაკვირვებული ნანა კაკაბაძე. მისივე თქმით, ერთადერთი, რისი სიმრავლითაც გამორჩეულია წინასწარი დაკავების საკნები, ესაა განებივრებული ვირთხები, რომლებიც თავისუფლად დასეირნობენ საკნებში და რომლებსაც ვერავინ უბედავს უხეშად მოპყრობას.

შეგახსენებთ, რომ წინასწარი დაკავების საკნებში შესვლის უფლება აქამდე მხოლოდ სახალხო დამცველსა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ჰქონდათ. შსს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანებით, არასამთავრობო ორგანიზაციას "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის," პოლიციელებისთვის სემინარების ჩატარების გარდა, უფლება მიეცა, ნებისმიერ დროს შეამოწმოს წინასწარი დაკავების საკნები და ეჭვმიტანილთა უფლებების დარღვევის შემთხვევები ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეატყობინოს.

მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ როგორც ნანა კაკაბაძე აცხადებს, თუ არ შეიცვალა სახელმწიფო მიდგომა, შემოწმებაც და მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციებიც ფუჭი შრომა იქნება.

# „პროკურატურა კანონის ნაცვლად უკანონობას იცავს"

ხათუნა ჭანჭირაშვილი

*გია გულუას, გია ჭანტურიასა და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით გასამართლებული თემურ ქურდიანის საქმე ხელახალი გამოძიებისთვის უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატამ სამი თვის წინ გენერალურ პროკურატურას უკვე მეორედ გადასცა.*

თუმცა, გენერალურ პროკურატურაში საქმის ხელახალი ძიება ჯერაც არ დაწყებულა. პროკურატურამ კანონით გათვალისწინებული ყველა ვადა დაარღვია, რასაც ქურდიანის ადვოკატი და თავად მსჯავრდებულიც შეგნებულ, გათვლილ დანაშაულად თვლიან.

ხუთი წლის განმავლობაში დაწერილი 300 საჩივარი თემურ ქურდიანის ადვოკატმა ვალოდია ქირიამ გენერალური პროკურატურიდან უზენაეს სასამართლოში, უზენაესიდან კი პროკურატურაში უშედეგოდ ატარა, რის გამოც თავს დაზარალებულად მიიჩნევს და სამას მეერთე საჩელით სახელმწიფო ბრალდების მთავარი სამმართველოს უფროსის თემურ მონიავას პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

"თუ გიჟი ვარ და შეურაცხადი, მაშინ მიიღონ ზომები. მე გაჩერებას არ ვაპირებ, სანამ უკანონო პატიმრობაში მყოფ თემურ ქურდიანს არ გაათავისუფლებენ,"- ამბობს ვალოდია ქირია და გენერალურ ინსპექციაში შეტანილი სარჩელით იმ პირების დანაშაულში მხილებას აპირებს, რომლებმაც, მისივე თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქმეც გააყალბეს და ადვოკატის უფლებებიც შელახეს.

შვიდთვიანი სასამართლო პროცესის მსვლელობისას პროკურორებმა ვერ შეძლეს ქურდიანის ბრალეულობის გამამყარებელი მტკიცებულებების შეგროვება და მისი მამხილებელი მოწმეების მოყვანა. თავად მსჯავრდებული თავს უკანონო პატიმრად და რეპრესირებულად მიიჩნევს და მისი ადვოკატის მსგავსად ამტკიცებს, რომ გენერალური პროკურატურა შეგნებულად აჭიანურებს საქმის ხელახალი გამოძიების შესახებ დადგენილების მიღებას, რადგან სწორედ პროკურატურამ "შეკერა" მისი საქმე: **"ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, პროკურატურა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს. საქმე ისაა, რომ თავიანთი გამოძიებული საქმე უნდა დაშალონ, საკუთარი თავი ამხილონ დანაშაულში. წარმოიდგინეთ, რამხელა ბარიერის წინაშე დგანან. ჩემი საქმის გამოძიებას მოყვება მთლიანი საქმის გდახედვა, ეს კი გენერალური პროკურატურის ინტერესში არ შედის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ციხეში ჩვენს ადგილს უკვე ისინი დაიკავებენ. აი, სინამდვილეში რა ხდება,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას თემურ ქურდიანმა, რომელიც ახლა ავჭალის კოლონიაში იხდის სასჯელს.

ტერორისტი ტუსაღის ადვოკატის მტკიცებით, თავდაპირველმა გამომძიებელმა გულბაათ ბესიაშვილმა ხელოვნურად შექმნილი გაყალბებული მასალების მისაჩქმალად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ჯემალ ლეონიძეს ქრთამიც მისცა – 10 ათასი აშშ დოლარი. ამ უკანასკნელმა შეასრულა პირობა და გაყალბებული საქმის მასალებზე დაყრდნობით განსასჯელს 12 წელი მიუსაჯა.

**"მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გამომძიებლისა და მოსამართლის გარდა, პოლიტიკური შეკვეთა შეასრულა ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა. გამომძიებელი გულბაათ ბესიაშვილი, რომელმაც უკანონობის რეკორდი დაამყარა, ან გინესის წიგნშია შესაყვანი, ან დასაჭერია. ქვეყნის მთავარმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემაც იცის თავისი ქვეშევრდომების ნამოქმედარის შესახებ, მაგრამ დუმს. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც გენერალური პროკურატურა კანონის ნაცვლად უკანონობას იცავს,"** – აცხადებს ადვოკატი და დაკითხვას ითხოვს, რადგან იმედი აქვს, დაამტკიცებს, რომ ქურდიანის საქმე გაყალბებული მასალებით არის შეკერილი.

კულუარული ინფორმაციით, გენერალური პროკურატურა ქურდიანის საქმეზე ხელახალი გამოძიების დადგენილებას არ მიიღებს, რადგან ტუსაღის გამართლების შემთხვევაში, ქურდიანთან ერთად გასამართლებულებსაც მოეხსნებათ ტერორისტობის ბრალდება, ანუ, 29 აგვისტოს ტერაქტის საქმე თავდაყირა დადგება. იმავე ინფორმაციით, საქმის ხელახალი გამოძიება არც ქვეყნის პრეზიდენტის ინტერესში შედის, რადგან თემურ ქურდიანის საქმეს ავტომატურად მოყვება თემურ ხაჩიშვილისა და გიგა გელაშვილის საქმეების ხელახალი გამოძიება. ეს ორი პატიმარი კი პრეზიდენტ შევარდნაძისთვის მეტად ძვირადღირებულია.

## უცხოეთი

# ლოს-ანჟელესის შერიფი უფულობას უჩივის

*კიდევ კარგი, ქართველ სამართალდამცველებს ამერიკელი კოლეგებისგან განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. ზოგ შემთხვევაში დადებით მომენტად ისიც კი შეიძლება მოგეჩვენოს, რომ, ამერიკელთაგან განსხვავებით, ისინი საკუთარ პრობლემებს თავადვე აგვარებენ.*

აი, ლოს-ანჟელესის საგრაფოს შერიფმა ლი ბაკამ კი პრობლემების მოსაგვარებლად თითქმის შანტაჟს მიმართა. მან განაცხადა, რომ ციხიდან გამოუშვებს 400 პატიმარს, თუ საგრაფოს ხელმძღვანელობა არ მიიღებს გადაწყვეტილებას იმ 100 მილიონის აღდგენის შესახებ, რომელიც მისი დეპარტამენტის ბიუჯეტს ჩამოაჭრეს. შერიფმა მისი მოთხოვნის შესრულების საბოლოო ვადად 1 ივლისი დაასახელა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აცხადებს, რომ მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი უწყების ნორმალური ფუნქციონირების გარანტიას ვერ იძლევა.

ისე, ლოს-ანჟელესის შერიფის ხელთ არსებული თანხების ბევრს შეშურდება. ის 2 - მილიონიანი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და 19 ათასი პატიმრის შენახვის უზრუნველსაყოფად წლიურ 1 მილიარდ 600 მილიონ დოლარს განაგებს.

რაც მთავარია, საგრაფოს ხელმძღვანელობა სულაც არ ფიქრობს, რომ შერიფის "სამწყსოს" ფინანსები აკლია.

# მექსიკაში უცნობმა პირებმა 26 ადამიანი დახვრიტეს

ტრაგედია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ოახაკას შტატის მთებში მოხდა. სამალავში მყოფმა დამნაშავეებმა გააჩერეს სოფელ სანტიაგო-ქსოჩილტეპეკისკენ მიმავალი სატვირთო მანქანა და დახვრიტეს მის საბარგულში მყოფი 26 ადამიანი, სატვირთო მანქანის მძღოლი კი დაჭრეს. სწორედ მძღოლმა აცნობა პოლიციას მომხდარის შესახებ.

სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ მექსიკის ეს რაიონი ცნობილია მიწის განაწილების გამო არსებული კონფლიქტებით. ამ კონფლიქტებმა იქ უკვე არა ერთი გლეხი იმსხვერპლა. ამასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლება თვლის,რომ მომხდარი ინციდენტი პირად ანგარიშსწორებას უნდა მიეწეროს.

ტრაგედიის ადგილზე 100-ზე მეტი პოლიციის აგენტი და გამომძიებელი გაემგზავრა.

# ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი

დაახლოებით ამ შინაარსის წერილებს ღებულობენ ბოლო ხანებში ჰოლანდიელი პოლიტიკოსები.

ჰოლანდიური გაზეთის Die Presse-ს ცნობით, ჰოლანდიელი პოლიტიკოსის პიმ ფორტეინის მკვლელობის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა. ოდესღაც მშვიდობიან და მშვიდ ჰოლანდიაში მკვლელობის მუქარამ პოლიტიკოსებისთვის რეალური საფრთხის ელფერი შეიძინა.

ფრაქცია Liste Pim Fortuyn (LPF)-ის თავმჯდომარემ მატ ჰერბენმა წერილი მიიღო. კონვერტში, წერილის გარდა, ორი ტყვიაც იდო. წერილის შინაარსი კი შემდეგი გახლდათ: "მოგკლავთ, თუკი ყველა არალეგალური ემიგრანტის ოფიციალურ შეწყალებას დათანხმდები". ჰერბენს კეთილშობილური ჟესტის გაკეთება და ყველა ემიგრანტისთვის ლეგალურად ქვეყანაში ცხოვრების უფლების მინიჭება სურდა.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (PvDA) ფრაქციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ედ მელკერტმა ამანათი მიიღო, რომელშიც დატენილი პისტოლეტი და შემდეგი შინაარსის ბარათი იდო: ჯობს, თავად მოიკლა თავი, შენი მოკვლა სხვებს რომ არ დაჭირდეთო.

მუქარით სავსე წერილებს ტყვიებთან ერთად ადგილობრივი ტელევიზიაც იღებს. ამ შემთხვევაში მუქარის წერილებს ახალარჩეული დეპუტატების სიები ცვლის, სადაც თითოეული გვარის გასწვრივ წერია: "მკვდარია".

LPF-ის ერთ-ერთი წარმომადგენელი - პოლიტიკოსი ქალბატონი მსგავსმა მუქარებმა იმდენად დააშინა, რომ ოჯახთან ერთად იატაკქვეშეთში გადასახლდა და მას დღედაღამ გაძლიერებული დაცვა იცავს.

# ვის სჭირდება საქართველოში პოლიციის რეფორმა

სოფიკო ჩხაიძე

*თუ რეფორმის გატარების კი არა, მასზე ჯერ მხოლოდ მსჯელობის პროცესის გაჭიანურებას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ რეფორმირებული პოლიცია ჭირდება ყველას, იმის გარდა, ვისაც უშუალოდ ევალება ამ რეფორმის მომზადება და გატარება. მოკლედ, პოლიციის რეფორმა ჭირდება მთელ საქართველოს, საქართველოს ხელისუფლების გარდა.*

არადა, შს სტრუქტურებში ძირეული რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ თავდაპირველად სწორედ ხელისუფლება ალაპარაკდა, ოღონდ საერთაშორისო სტრუქტურების დაჟინებული მოთხოვნით. მეტიც, როგორც შევიტყვეთ, რეორგანიზაციის პირველი ვარიანტი საქართველოში ჩამოსულ პირველ "ცეერუშნიკს" ფრედ ვუდროფს ეკუთვნოდა. დაინტერესებული ამერიკელი ჯერ კიდევ 1993 წელს გვთავაზობდა საქართველოს სხვადასხვა უწყებებში გაფანტული საგამოძიებო ორგანოების გაერთიანებასა და ამერიკული ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მსგავსი სამსახურის ჩამოყალიბებას.

ვუდროფის საიდუმლოებით მოცული მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისი პროექტი ყოფილმა უშიშროების მინისტრმა ჯემალ გახოკიძემ და ყოფილმა გენპროკურორმა გია მეფარიშვილმა გაიხსენეს – ორივე მათგანი მაშინ ჯერ მხოლოდ კვალიფიციური იურისტის სტატუსს ატარებდა. მათ მიერ დახვეწილ გეგმას კანონპროექტის სახე მიეცა, აპრობაცია გაიარა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე და პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომისიაშიც იქნა აზრთა გაზიარების დონეზე განიხილეს. ამის შემდეგ კანონპროექტი, ერთი შეხედვით, დავიწყებას მიეცა. თუმცა საჭირო მომენტში მისი არსებობა გაიხსენეს.

1999 წლის ბოლოს ახალარჩეული მესამე მოწვევის პარლამენტის მიერ მინისტრების დამტკიცებისას კახა თარგამაძე, რომელიც მანამდე რეფორმების აუცილებლობის შესახებ მოწოდებებს მოსალოდნელი ტერაქტებისა და დესტაბილიზაციის გამო მოუცლელობას უპირისპირებდა, ყველასთვის მოულოდნელად, კანონმდებლების წინაშე რეფორმის პროექტით წარსდგა. თარგამაძე ამერიკის ფსბ-ს ტიპის სამსახურის ჩამოყალიბებაზე ალაპარაკდა, რაც საგამოძიებო სტრუქტურების გაერთიანებას გულისხმობდა. მისი გარეფორმატორობა პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მოიწონა და მინისტრის პორტფელი დაუტოვა.

ამჟამად მნიშვნელობა ეკარგება იმ გზების ძიებას, რომლითაც ვუდროფ-გახოკიძე-მეფარიშვილის ხელში გამოვლილი რეფორმის ვარიანტი თარგამაძემდე მივიდა. მით უმეტეს, რომ მინისტრის სავარძლის გარანტირების შემდეგ თარგამაძეს რეფორმა აღარც გახსენებია – თავის სამართლებლად უფულობის არგუმენტიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. რაც მართალია, მართალი – უშიშროების, პროკურატურის და შს სამინისტროსთვის საგამოძიებო უფლებების ჩამორთმევას, გამოძიების ერთ ცალკე ორგანოში გაერთიანებას, ყოველმხრივ მის უზრუნველყოფას მართლაც უზარმაზარი თანხები სჭირდება. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ამ რამდენიმე თვის წინ ანტიკორუფციულმა საბჭომ აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროექტი მოამზადა და კვლავ წამოაყენა საგამოძიებო სტრუქტურების გაერთიანების გეგმა, მისი ინიციატივა კვლავაც იდეის დონეზე მოიწონეს. რეალურად კი რეფორმების გატარების საქმეში წინსვლა არ ჩანს, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტმა, ჩვეულებისამებრ, კიდევ ერთი კომისია შექმნა – უწყებათშორისი რეფორმების. უკვე მეოთხე თვეა, კომისია მსჯელობს. მართალია, მას ქვეყნის პირველი პირისთვის რეფორმების კონცეფცია ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ კეთილმა ამერიკელებმა კომისიას დაფინანსება სექტემბრამდე გაუგრძელეს. გაგრძელდა მსჯელობის საშუალებაც.

ამჟამად საგამოძიებო სტრუქტურების მოწყობის ორ ძირითად ვარიანტს განიხილავენ. ერთი ისევ ძველ პროექტს იმეორებს. მეორის თანახმად კი, მხოლოდ პროკურატურა ინარჩუნებს დამოუკიდებლად გამოძიების წარმოების უფლებას, სამაგიეროდ, ერთიანდება ოპერატიული, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ფუნქციები. ძნელი სათქმელია, როდის გააკეთებენ არჩევანს, მით უმეტეს, რომ ძირითადი ვარიანტების გარდა, პარალელურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებსაც ეცნობიან, თანაც გამოცდილების ადგილზე გაზიარებით.

რეფორმირების პროცესის გაჭიანურებამ არასამთავრობოები გააღიზიანა. თავისუფლების ინსტიტუტის აზრით, ეს შეგნებულად ხდება. **"პრეზიდენტს არ ჭირდება რეფორმირებული პოლიცია. იმიტომაც ქმნის კომისიებს, რომ იცის, ამ კომისიის შემადგენლობა ერთ კონკრეტულ ვარიანტზე ვერასოდეს შეთანხმდება. მათ მსჯელობაში კი არჩევნების დროც მოვიდა, რომელიც ისევ ძველებურად ჩატარდება—პოლიციის ზეწოლით ანუ ისე, როგორც შევარდნაძეს სურს,"**—ამბობს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი.

რეფორმაზე მუშაობის პროცესს გაჭიანურებულად სრულიადაც არ თვლის უწყებათშორისი კომისიის წევრი ჯემალ გახოკიძე. **"ეს არ არის უბრალო საქმე და სიჩქარეს ვერ აიტანს. კონცეფცია საფუძვლიანად უნდა მომზადდეს, რომ შემდგომში უკვე რეფორმების გატარების მყარ საყრდენად იქცეს",**- - გვარწმუნებს ყოფილი უშიშროების მინისტრი.

# რამაზან აბდულატიპოვი: "გვეყოს ხალხის მღვიმეებში შერეკვა"

რუსუდან ნიკურაძე

*მოსკოვი*
*(საკუთარი კორესპონდენტი)*

წარმოშობით დაღესტნელი რუსი სენატორი, რუსეთის ფედერაციათა საბჭოს წევრი რამაზან აბდულატიპოვი "24 საათისათვის " მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ "დღეს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ზოგიერთ რსპუბლიკაში ფეოდალური წძობილებაა. ეს, პირველ რიგში, ეხებათ საქართველოსა და აზერბაიჯანს, სადაც ოჯახურმა კლანებმა და ნათესაურმა კარტელებმა ეს რესპუბლიკები მღვიმეებში შეაბრუნეს".

- სამწუხაროდ, რუსეთის მთელი უბედურება ის არის, რომ სსრკ დანგრევის შემდეგ იმპერიულ აზროვნებას ვერ შეველიეთ და სუვერენულ რესპუბლიკებს ისე ვექცევით, როგორც საკუთარ ბოსტანს. მას შემდეგ, რაც კრემლში ახალი ფორმაციის პოლიტიკოსები მოვიდნენ, თანამედროვე რუსეთი საქართველოს, როგორც საკუთრებას, ისე უყურებს. მესმის ჩვენი სტრატეგიული ინტერესების დიდი მასშტაბები, მაგრამ რაც უფრო მალე გავთავისუფლდებით ჩვენივე დამღუპველი აზროვნებისაგან, მით უკეთესი იქნება რუსეთისათვის, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის წევრი ხდება.

მოძმე რესპუბლიკების პატივისცემას მაშინ ვიწყებთ, როცა ისინი რუსეთის გავლენის სფეროებიდან გადიან და იქ გადამთიელები მკვიდრდებიან. ცუდია ისიც, რომ ასეთ დროს ამ რესპუბლიკებში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისა და თანამემამულეების უფლებებს ვივიწყებთ. საინტერესოა, კიდევ რამდენი წელი დაგვჭირდება კავკასიაში გასატარებელი პოლიტიკის მოსაძებნად? არადა, პოლიტიკა ისე უნდა წაგვეყვანა, რომ ქართველებს დღეს ამერიკელების დახმარება არ დასჭირვებოდათ. ჩვენ ხომ თითი თითზე არ დავაკარეთ საქართველოს შესანარჩუნებლად.

**- ბუშისა და პუტინის სამიტის შემდეგ, რუსეთისათვის ხომ გახდა ანგარიშგასაწევი ამერიკის სტრატეგიული დაინტერესება სამხრეთ კავკასიის რეგიონით?**

-საქართველო დღეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში იმყოფება, რაც უახლოეს მომავალში არ მისცემს საშუალებას, ამერიკის პოლიტიკაში სერიოზული განხილვის საგანი გახდეს.

იგი ამერიკისა და რუსეთის ინტერესებში შედის, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის პოლიგონი და მთელი მუშაობა აქეთკენაა მიმართული. საქართველოს სასიკეთოდ საქმე მაშინ გადაწყდება, როცა იგი სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს თავს დააღწევს.

**- ხომ არ ცდილობთ, გააუბრალოოთ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაზე ორი პრეზიდენტის მიერ მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობაზეა საუბარი და სადაც არც ისე ხელწამოსაკრავად გამოიყურება საქართველო?**

-ეს დოკუმენტი დღეს შექმნილი ობიექტური პირობებითაა ნაკარნახევი. მოვლენათა ლოგიკამ მოიტანა, რომ დღეს რუსეთი ამ ბრძოლაში ამერიკის პარტნიორია. საქართველოს გაცილებით ადრე მიეცა შანსი, ჩეჩნეთის მიმართ პრინციპული პოზიცია გამოემუშავებია და საქმე რუსეთის გაღიზიანებამდე არ მიეყვანა. ყველაფერი სავიზო რეჟიმითა და დიპლომატიური გაუცხოებით დასრულდა. შევარდნაძეს მასხადოვთან კონტაქტებით საშუამავლო როლის შესრულებაც შეეძლო, რაც კავკასიის ხალხთა შერიგებაზე სასიკეთოდ იმოქმედებდა. დღეს კი ამ შერიგებაზე ლაპარაკიც არ ღირს, კავკასია აფეთქების პირასაა მისული.

**- შევარდნაძეს ჰქონდა შუამავლობის სურვილი, მაგრამ ეს რუსეთმა არ გაიზიარა...**

-ერთია სურვილი და მეორეა რეალური საქმე. ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არაფერი იღონა ვითარების დასარეგულირებლად, არადა, მის კავკასიურ სიბრძნეს ბევრი რამ შეეძლო.

თანამედროვე პირობებში იშვიათად თუ შეხვდები ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეს, როელიც საკუთარ სიბრძნეს პოლიტიკური ასპარეზიდან დროული წასვლით ამტკიცებს. რა გენიალურიც უნდა იყოს ლიდერი, მისი გენიალობა საკუთარი ხალხის კეთილდღეობაში ჩანს, საქართველოს კი კეთილდღეობამდე ბევრი უკლია. ადრე მეგონა, რომ ალიევი და შევარდნაძე ელცინზე გონიერები იყვნენ, ისტორიამ კი აჩვენა, რომ ელცინი ორივეზე ჭკვიანი ყოფილა - მან დროზე წასვლა მოახერხა და ქვეყანა გადაარჩინა. ისეთი ადამიანების წყალობით, როგორიც ალიევი, შევარდნაძე, ხუბიევია, ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა დაკარგეს საკუთარი რესპუბლიკების პოლტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის საშუალება. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს შევარდნაძე, მაგრამ, მგონი, რომ დრო მოვიდა, მან ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმოს. ამის ობიექტური პირობები საქართველოში უკვე მომწიფდა.

**- იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ შეიძლება, საქართველოშიც განმეორდეს პრეზიდენტის შეცვლის რუსული მოდელი?**

-ამის მტკიცება მე არ შემიძლია, მაგრამ ერთ რამეს ვიტყოდი: რუსეთში დღეს პუტინის მაღალი რეიტინგი პრეზიდენტის რეიტინგი კი არა, ჩვენი იმედის რეიტინგია. ჩემი აზრით, დღეს ქართველების იმედის რეიტინგი უნდა ამაღლდეს. რუსეთში, საქართველოში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში ნათესაური, ოჯახური კლანები ქმნიდნენ და ქმნიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ ელექტორატს. ფეოდალური წყობილება ისტორიას ჩაბარდა და ნუღარ დავაბრუნებთ. გვეყოს ხალხის მღვიმეებში შერეკვა! რუსეთში ახლაც ფეოდალური პრინციპით ხდება კადრების შერჩევა.



მსოფლიო ჩემპიონატის გახმაურებული სკანდალები B3

ქართველი ბავშვები შიდსს ეთამაშებიან B5

კროსვორდი, TV პროგრამები B8

www.24hours.ge 24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 3 ივნისი, 2002 წელი. №1

# ბატისტუტამ ანგარიში გახსნა, ნიგერიელებს კი შიმშილობამ არ უშველა



როიტერის ფოტო

დიმიტრი ობოლაძე

არგენტინის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო. ნიგერიელ გულშემატკივართა ფანატიზმმა არ გაჭრა (თავიანთი გუნდის მხარდასაჭერად შიმშილობაც კი დაიწყეს). მათ სწამდათ და, ალბათ, ახლაც სჯერათ, რომ ნაკრები მერვედფინალში გავა. ბიელსას გუნდმა შავი კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები დაამარცხა და ოდნავ გაანელა ის აჟიოტაჟი, რომელიც თან სდევს აფრიკელთა გამოსვლებს. სამხრეთამერიკელებმა მაღალი კლასის, თანაბარი ძალის შემადგენლობის და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მოიგეს.

### არგენტინა - ნიგერია 1:0

**არგენტინა:** 12 კავალიერო, 3 სორინი, 4 პოჩეტინო, 6 სამუელი, 7 კლაუდიო ლოპესი (გონსალესი - 46), 8 ძანეტი, 9 ბატისტუტა, 10 ორტეგა, 11 ვერონი (აიმარი - 78), 13 პლასენტე, 14 სიმეონე.

**ნიგერია:** 1 შორუნმუ, 2 იობო, 3 ბაბაიარო, 4 კანუ (იკედია -48), 5 ოკორონკვო, 6 ვესტი, 9 ოგბეჩე, 10 ოკოჩა, 11 ლავალი, 16 სოჯე (კრისტოფერი -73), 17 აგაჰოვა.

**გოლი:** ბატისტუტა, 63-ე წუთი. 1:0.

**გაფრთხილებები:** სამუელი (51), სოჯე (73) სიმეონე (90) - ყვითელი ბარათები.

შეხვედრის ბედი ბატისტუტას აქტიურობამ და გოლმა გადაწყვიტა. მისი გამოჩენა ძირითად შემადგენლობაში ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ბიელსამ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი გადაწყვეტილება. "არავის ეგონოს, რომ გაბრიელი ბოლო მომენტში მოხვდა ძირითად შემადგენლობაში. ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებთ". ბიელსამ კრესპო სათადარიგოთა სკამზე დატოვა და არც შემცდარა. ბატისტუტა გამოცდილია და სწორედ ამ გამოცდილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი იმ ეპიზოდში, როდესაც არგენტინელმა გოლი გაიტანა.

არავინ იფიქროს, რომ არგენტინელებს პრობლემა არა აქვთ. დაცვა ნაკლებად საიმედოდ გამოიყურებოდა და რამდენიმე პოზიციური შეცდომაც დაუშვა.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაში ერთი გოლი გავიდა, ორივე გუნდმა შემტევი, სწრაფი ფეხბურთი ითამაშა. სამხრეთამერიკელებმა გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვერონისა და ორტეგას გააზრებული კომბინაციები. ოკოჩას აქტიურობის მიუხედავად, დამარცხებულთაგან საუკეთესო გამოდგა მეკარე შორუმნი, რომელმაც რამდენიმე უძნელესი დარტყმა მოიგერია. ერთადერთი გოლი 63-ე წუთზე ბატისტუტას თავური დარტყმის შემდეგ გავიდა. ბიელსას გუნდი ჩემპიონატის ფავორიტად რჩება.

სტატისტიკური მონაცემებიც არგენტინელთა სასარგებლოდ მეტყველებს. მათ 20-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარში. ნიგერიელებმა - მხოლოდ 7-ჯერ. სამხრეთამერიკელთა 11 კუთხურს აფრიკელებმა 7-ით უპასუხეს. არგენტინელებმა 16-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესი, ნიგერიელებმა კი - 20-ჯერ. ამას ორი არგენტინელის და ერთი აფრიკელის გაფრთხილებაც მოჰყვა.

შეხვედრა გამოცდილმა ჟილ ვესიემ იმსაჯა. ფრანგმა მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და გუშინაც არც ერთი სერიოზული შეცდომა არ მოსვლია.

# ესპანეთი გამარჯვებით იწყებს

### ესპანეთი - სლოვენია 3:1

**გოლები:** 1:0 რაული (44`), 2:0 ვალერონი (74`), 2:1 ციმიროტიჩი (82`), 3:1 იერო (87`)

**ესპანეთი:** კასილასი, ხუანფრანი (რომერო 82`), პიოლი, იერო, ნადალი, ბარახა, დე პედრო, ვალერონი, ლუის ენრიკე (ელგერა 74`), რაული, ტრისტანი (მორიენტესი 67`)

**სლოვენია:** სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, კნავსი, ნოვაკ (გაიზერი 77`), ჩეხი, ზახოვიჩი (აჩიმოვიჩი 63`), პავლინი, კარიჩი, ოსტერც (ციმიროტიჩ 57`), რუდონია

**მსაჯი:** მოჰამედ გეზაზი (მაროკო)

**გაფრთხილება:** ვალერონი 36`, კარიჩი 45`, ციმიროტიჩი 65`

გუშინდელი დღე ესპანელთათვის ისტორიული აღმოჩნდა: მათ პირველად მოიგეს თავისი პირველი შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატზე. აქამდე ისინი პირველ მატჩებში წარმატებას ვერ აღწევდნენ

შეხვედრა საკმაოდ უფერულად დაიწყო. სლოვენიელებს სულაც არ ეტყობოდათ, რომ მუნდიალის დებიუტანტები არიან და დაცვაში მათი კარგი თამაშის გამო ესპანელებს დიდი პრობლემები ჰქონდათ. პირველი მომენტი მხოლოდ მე-17 წუთზე შეიქმნა სლოვენიელთა კართან, როდესაც დე პედროს მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა მცირე მანძილით ასცდა კარს. შანსები ჰქონდათ სლოვენიელებსაც, თუმცა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ესპანელთა კართან არ შექმნილა.

სლოვენიის ნაკრები დაცვაში კარგად თამაშობდა და ამის გამო, მეტოქემ, 43-ე წუთამდე გოლი ვერ გაუტანა. რაულის მიერ მეტოქის კარის აღებას ესპანელების გააქტიურება მოჰყვა და "დეპორტივოელმა" ვალერონმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

სლოვენიამ შესძლო ერთი გოლის გაქვითვა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების იმედი მსაჯის მიერ დანიშნულმა თერთმეტმეტრიანმა დარტყმამ გადაუწურა, რომელიც ესპანელთა კაპიტანმა ფერნანდო იერომ გაიტანა მეკარე სიმეუნოვიჩის კარში.

B3 ფეხბურთი B4 ტოტალიზატორი B5 საზოგადოება B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

## "აფრიკელი ფეხბურთელები მთელ მსოფლიოს მოედნენ"

დერეკ ფოლი

*იაპონია-კორეიდან სპეციალურად "24 საათისთვის"*

ვერავინ იფიქრებდა, რომ ირლანდია მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებოდა. თუმცა, ვერც იმას იფიქრებდა ვინმე, რომ გუნდს ამდენი ვნებათაღელვის გადატანა მოუხდებოდა. სანამ ირლანდია კამერუნს ეთამაშებოდა, აფრიკის კონტინენტის ამბიციები ჩემპიონატზე სენეგალის ნაკრებმა დააფიქსირა. შემდეგ იყო კამერუნთან ჩატარებული მატჩის ულიმღამო პირველი ნახევარი. მას უკვე ირლანდიელების მიერ კარგად ჩატარებული მეორე 45 წუთი მოჰყვა, თუმცა, ყველაფერი გერმანიამ "დააგვირგვინა" – საუდის არაბეთის განადგურებით გაუმაძღარი, ბოროტი გმირის როლი ითამაშა.

ერთი სიტყვით, ირლანდიელთა ემოციების ტრაექტორია შეიძლება ასე განისაზღვროს: თავიდან წუხილი - გავალთ თუ არა ჯგუფიდან, შემდეგ - სიხარული, რომ ჯგუფში ვრჩებით და ბოლოს, გერმანიის ფანტასტიკური თამაშით მიღებული შოკი!

რეალურად თუ ვიმსჯელებთ, კამერუნთან შეხვედრაში ირლანდიამ მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი პერსპექტივა გადაარჩინა.

რაც შეეხება კამერუნის ნაკრებს: პატრიკ მბომაზე მის კლუბ "სანდერლენდში" მაინცადამაინც კარგი აზრისა არ არიან. თუმცა, ირლანდიასთან თამაშში მან თავი გამოიჩინა. საინტერესოა, ირლანდიის ნაკრები იმაზე უკეთ გამოიყურება, ვიდრე ჰგონიათ, თუ კამერუნს აკლდა თავდაჯერება? ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმემ აფრიკელების დაჩრდილვა მოახერხა – საფრანგეთ-სენეგალის თამაში ამის კარგი მაგალითია. დასკვნა უფრო ასეთია – პირველად თავის ისტორიაში აფრიკამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. სახალისო საცქერი იყო, თუ როგორ თავდაყირა დააყენა ყველაფერი წლევანდელი ჩემპიონატის პირველმა გოლმა – საუბარია გოლზე, რომელიც პაპა ბოუბა დიოპმა ფაბიენ ბარტეზის კარში გაიტანა. თუმცა, გაკვეთილი, რომელიც სენეგალმა აფრიკულ გუნდებს ჩაუტარა, კამერუნმა ვერ "ისწავლა".

სხვა სიტყვებით, შეიძლება ითქვას, რომ სენეგალმა აფრიკას შანსი და მოტივაცია მისცა, მაგრამ აფრიკელთა იმედები კამერუნმა ვერ გაამართლა – ირლანდია ვერ დაამარცხა.

არ არის გამორიცხული, ამ არშინით მალე საქართველოც გაზომონ. ევროპული საზოგადოება ხომ ელოდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არენაზე ბევრი კარგი გუნდი გამოვიდოდა. ჯერჯერობით, ევროპელთა პროგნოზს მხოლოდ რუსეთი და უკრაინა ამართლებს. ეს კი ექსპერტთა ნაწილს გულწრფელად აოცებს. მათი ვარაუდით, საქართველო, ბელარუსი და რამდენიმე სხვა ქვეყანა კონკურენტუნარიანი აქამდეც უნდა გამხდარიყო.

საქართველოს შემთხვევაში, ყველა იცნობდა თბილისის "დინამოსა" და დავით ყიფიანს. გიორგი ქინქლაძის "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშიც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად მზად უნდა ყოფილიყო. იმას, ვინც ცდილობს, ახსნას, თუ რატომ ვერ მიაღწიეს საქართველომ და ბელარუსმა მიზნებს, აფრიკის პრობლემების ახსნაც არ გაუჭირდება. სავარაუდოა, რომ საქართველოს პრობლემა რწმენის ნაკლებობაში და არაერთსულოვნებაშია.

აფრიკელი ფეხბურთელები მთელ მსოფლიოს მოედნენ. ანუ, მათ განსხვავებული საფეხბურთო ტექნიკა და მიდგომა უყალიბდებათ (ხომ არ გეცნობათ სიტუაცია შავიზღვისპირეთის ქვეყნებიდან?). და როცა ისინი ერთად თამაშობენ, ფეხბურთელებს გუნდად შეკვრა უჭირთ.

მაშინ როგორ ავხსნათ ის პრეცედენტი, რომლის ავტორიც სენეგალია? უკლებლივ ყველა სენეგალელი ფეხბურთელი საფრანგეთის ლიგაში თამაშობს. სწორედ ამ მიზეზით, როცა ჩემპიონატზე მათ მენტალური ზეწოლა იგრძნეს, არ დაიშალნენ და ერთი სცენარის მიხედვით იფიქრეს, იბრძოლეს და იმოქმედეს. ანუ, სენეგალმა მოიპოვა ერთ მთლიან გუნდად შეკრულის სტატუსი. კამერუნის ნაკრებში კი ყველა ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე თამაშობდა. ირლანდიის ნაკრებს გამარჯვების მოპოვებაში სწორედ ეს ფაქტორი დაეხმარა.

## ფრე, რომელიც არაფერს გვეუბნება



კახა ფაჩუაშვილი

**ინგლისი - შვედეთი 1:1**

**ინგლისი:** 1 სიმენი, 2 მილსი, 3 ე. კოული, 5 ფერდინანდი, 6 კემპბელი, 7 ბექჰემი (დაიერი-63), 8 სქოულზი, 18 ჰარგრეივზი, 10 ოუენი, 11 ჰესკი, 20 ვასელი (ჯ. კოული-74).

**შვედეთი:** 1 ჰედმანი, 2 მელბერგი, 4 მიალბიუ, 15 იაკობსენი, 16 ლუჩიჩი, 6 ლინდეროთი, 7 ალექსანდერსონი,9 იუნბერგი, 17 მ. სვენსონი (ა. სვენსონი-56), 10 ოლბაკი (ა. ანდერსონი-80), 11 ლარსონი.

**გოლები:** 1:0 – კემპბელი (12), 1:1 – ალექსანდერსონი (59).

**მსაჯი:** საიმონ კარლოსი (ბრაზილია).

**გაფრთხილება:** კემპბელი (12), ოლბაკი (45), იაკობსონი (73).

ეგრეთ წოდებულ "სიკვდილის ჯგუფში" ისეთმა გუნდებმა მოიყარეს თავი, რომ ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრებმა ნიგერიელები დაამარცხა, სვენ გორან ერიქსონისთვის ნათელი გახდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ინგლისელთა შანსი მკვეთრად გაიზრდებოდა, ამიტომ შვედმა თავს უფლება მისცა, თანამემამულეთა წინააღმდეგ სამი ფორვარდი გამოეყვანა.

ვერ გეტყვით, რამ განაპირობა ერიქსონის ავანტიურისტული გადაწყვეტილება, მაგრამ 1-4-3-3-ის სისტემამ პირველ ტაიმში აშკარად გაამართლა. ინგლისის ნაკრები ისე თამაშობდა, თითქოს ჩემპიონობის ბედი ამ მატჩზე იყო დამოკიდებული. ბექჰემის ხელმძღვანელობით აქტიურობდა ინგლისელთა შუახაზი, რამაც შვედებს სათამაშო სივრცე შეუზღუდა და გუნდი იძულებული გახდა, დაცვაზე გადასულიყო. ბრიტანელებმა უპირატესობა მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. გოლი სოლ კემპბელის ანგარიშზეა.

სვენ გორან ერიქსონმა არაფერი შეცვალა. მან გადაწყვიტა, მეორე ნახევარიც იმავე სისტემით ეთამაშა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს შეცდომა იყო. ინგლისელ ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ. მძიმე სეზონის შემდეგ ბევრმა ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო. ნახევარდაცვაში ინგლისის ნაკრებს აშკარად აკლდა სტივენ ჯერარდი. თავისი ქნა უბექჰემობამაც (იგი შეცვალეს) და ეს საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ალექსანდერსონს სიმენის კარში საპასუხო გოლი გაეტანა.

ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა შეცდომა აღიარა და დასძინა, რომ შედეგით უკმაყოფილოა.

"საწყენია, რომ უპირატესობა ქარს გავატანეთ. არადა, მოგების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გვიჩნდებოდა. ახლა კი დიდი ოფლის ღვრა მოგვიწევს. უკეთესი იქნებოდა, მეორე ტაიმში სხვა სქემით გვეთამაშა", – განაცხადა სვენ გორან ერიქსონმა.

## "აფრიკული გაკვეთილი" ჩეზარე მალდინისთვის



მიხეილ აბაიშვილი

არც სამხრეთ აფრიკა და არც პარაგვაი მსოფლიო ფეხბურთის გრანდები და, მით უმეტეს, ახლანდელი ჩემპიონატის ფავორიტები არ არიან. ამდენად, მათი დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამ ქვეყნების გულშემატკივრებში და ქვეჯგუფში დანარჩენი ორი გუნდის - ესპანეთისა და სლოვენიის ბანაკებში თუ იწვევდა ინტერესს. წინა მუნდიალზე ორივე გუნდს მომავალმა მსოფლიო ჩემპიონმა - საფრანგეთის ნაკრებმა გადაუღობა გზა. მაშინ სამხრეთ აფრიკა "სამფეროვნებთან" ერთად მოხვდა ქვეჯგუფში და ჯგუფურ ტურნირს ვერ გასცდა, პარაგვაის ეროვნულმა გუნდმა კი მერვედფინალში, დრამატულ ბრძოლაში, დამატებით ტაიმში გაუშვა გოლი და გამოეთიშა ასპარეზობას.

**პარაგვაი - ს. აფრიკა 2:2**

**პარაგვაი:** 22 ტავარელი, 4 გამარა, 21 კანიზა, 18 კასერესი, 5 აიალა, 2 არსე, 8 ალვერენგო (14 გავილანი-66), 6 სტრავეი (17 ფრანკო-86), 10 აკუნია, 9 სანტა კრუზი, 11 კამპოსი (16 მორინიგო-72).

**ს. აფრიკა:** 16 არენდსე, 19 რადებე, 3 კარნელი, 13 ისა (9 მუკანსი-27), 2 ნზამა, 4 ა. მოკოენა, 6 სიბაია, 7 ფორჩუნი, 15 ზუმა, 4 ტ.მოკოენა, 17 მაკკარტი (23 კომანტარაკისი-78).

**გოლები:** სანტა კრუზი 1:0 (38), არსე 2:0 (55)

**სტრავეი** 1:2 (ს.კ. 63), ფორჩუნი (პენ. 90)

**ყვითელი ბარათი:** ტავარელი, კანისა, კასერესი, რადებე, ისა, ა. მოკოენა, ზუმა.

პარაგვაის ეროვნული გუნდი და მისი ახალი მწვრთნელი, იტალიელი ჩეზარე მალდინი, ამაღლებული განწყობილებით შეხვდნენ მუნდიალის სასტარტო მატჩს. ეს გუნდი ერთადერთია სამხრეთ ამერიკაში, რომელსაც შესარჩევ ტურნირში არც ერთი თამაში არ წაუგია მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან - არგენტინასთან. მხოლოდ ერთი ნიუანსი უშლიდა ხელს მალდინის და კომპანიას - პარაგვაელთა კერპის და გუნდის კაპიტნის ხოსე ლუის ჩილავერტის დისკვალიფიკაცია. ჩილავერტი ფიფამ ბრაზილიელთა წინააღმდეგ შესარჩევი ტურნირის მატჩში რობერტო კარლოსის წინააღმდეგ ფეხბურთელისთვის შეუფერებელი საქციელისთვის დასაჯა.

რაც შეეხებათ სამხრეთაფრიკელებს, მათმა მთავარმა მწვრთნელმა იომო სონომ პრაქტიკულად ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი.

შეიძლება ითქვას, რომ მატჩი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ორ მონაკვეთად დაიყო. პირველი სამოცი წუთის განმავლობაში სამხრეთამერიკელებმა იძალეს. ეს დრო პარაგვაელთა ფორვარდის, მიუნხენის "ბაიერნში" მოასპარეზე როკე სანტა კრუზისა და აფრიკელთა ცენტრალური მცველის ლუკას რადებეს დუელში გაილია. აფრიკელთათვის სამწუხაროდ, ორთაბრძოლათა 90 პროცენტში სანტა კრუზი იმარჯვებდა, თუმცა, გერმანული გრანდის სათადარიგო თავდამსხმელმა ეს უპირატესობა მხოლოდ ერთხელ აქცია გოლად. საგულისხმოა, რომ იმ შეხვედრაში პარაგვაელებმა უღალატეს სამხრეთამერიკულ მანერას და როკე სანტა კრუზის სიმაღლის (190 სმ) და "მეორე სართულზე" ბრწყინვალე თამაშის იმედად კონტინენტურ, უფრო სწორად, ბრიტანულ სტილში წარმართეს მატჩი. ხან ერთი, ხან მეორე ფლანგიდან აფრიკელთა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთთან უფრო ხშირად პირველი სანტა კრუზი აღმოჩნდებოდა ხოლმე და თავური დარტყმებით ხიფათს უქმნიდა არენდსეს კარს. ერთ-ერთმა ასეთმა კომბინაციამ 38-ე წუთზე შედეგი გამოიღო და ანგარიშიც გაიხსნა.

ოციოდე წუთში პარაგვაელთა ნახევარმცველმა არსემ ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმის შემდეგ თავისი გუნდის უპირატესობა სოლიდური გახადა.

ამის შემდეგ მოედანზე ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ორიდან ერთი: ან სამხრეთამერიკელები დაიღალნენ, ან ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი. ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლო 30 წუთში გამოჩენილი პასიურობის გამო პარაგვაელები დაისაჯნენ. აფრიკელები სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ - მეტოქის კარზე ნახევარსაათიანი შტურმი მიიტანეს. ჯერ 63-ე წუთზე საჯარიმო მოედანთან ახლოს ზუმას დარტყმის შემდეგ ბურთი პარაგვაელ სტრავეის მოხვდა და რიკოშეტით შეგორდა ტავარელის კარში, ხოლო მატჩის მიწურულს, იგივე ზუმას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კარგად გამოიყენა ფორჩუნმა - თავის გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი შეუნარჩუნა. ჩეზარე მალდინიმ კი პრაქტიკულად მოგებულ მატჩში დაკარგული ორი ქულით კარგი "აფრიკული გაკვეთილი" მიიღო. იგი, ალბათ, თავისი იტალიური ტემპერამენტით შეეცდება, სამხრეთამერიკული ტემპერამენტის მქონე პარაგვაელებს შემდგომი მატჩებისთვის მაინც შეაგნებინოს, რომ მატჩი 90 წუთს გრძელდება.

## დანიამ ფრანგებს ჩიხში მიმწყვდეული ურუგვაი „აჩუქა"



დანიის ორგანიზებულმა, ფიზიკურად ძლიერმა ნაკრებმა ურუგვაელებს მოუგო...რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები. სენეგალთან წაგებული შეხვედრა თავისთავად დიდი სენსაციაა, მაგრამ ეს მატჩი, შეიძლება კიდევ უფრო დიდი სენსაციის, საფრანგეთის გუნდის ჯგუფში ჩარჩენის მიზეზი გახდეს. ურუგვაელები, რომლებმაც დანიასთან წააგეს, მობილიზებულნი ემზადებიან ფავორიტთან სათამაშოდ და ზიდანის არყოფნის იმედიც აქვთ. ალვარო რეკობა რეალურად აფასებს მომავალ შეხვედრაში საკუთარი გუნდის პერსპექტივას: "ჩვენ და ფრანგები ერთნაირ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ეს ჩვენთვის კარგია. თუმცა, ფრანგების დასამარცხებლად გაცილებით კარგი თამაშია საჭირო. შეიძლება ეს არასწორია, მაგრამ ძალიან მინდა, ზიდანმა მოედანზე გამოსვლა ვერ შეძლოს. სენეგალის თამაშის შემდეგ ყველა მიხვდა, ზიდანის გარეშე საფრანგეთის ნაკრები ჩვეულებრივი გუნდია და მეტი არაფერი." რეკობას სიტყვები არაეთიკურია. თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატი სხვა ტურნირებისგან განსხვავდება და აქ გამარჯვება ყველასთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ტურნირის მოგება. ურუგვაის ნაკრების ლიდერები მიიჩნევენ, რომ საფრანგეთთან მოსაგებად საჭიროა მომენტების გამოყენება.

დანიელთა გმირად კი იონ დალ ტომასონი იქცა. მან არა მარტო დუბლი შეასრულა, არამედ მაღალი კლასიც დაადასტურა. იგი აცხადებს: "ვამაყობ იმით, რაც გავაკეთე. მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი გოლის გატანაც საპატიოა, მე კი პირველ შეხვედრაში ორჯერ გავიტანე და ჩემი გუნდი ჩემპიონატის პირველი ეტაპის ფავორიტად იქცა." დანიური ფეხბურთის ყველაზე კოლორიტული ფიგურა, ლეგენდარული მცველი მორტენ ოლსენი რეალურად აფასებს სიტუაციას. მწვრთნელმა განაცხადა, რომ პირველ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყველაფერი მომდევნო შეხვედრაში გადაწყდება. ერთი რამ ცხადია, დანიის ნაკრები მაღალ დონეზე ორგანიზებული, ფიზიკურად კარგად მომზადებული და ამბიციური გუნდია, რომელიც გააზრებულ თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს.

# ბრაზილია ემერსონს კარგავს

ბრაზილია შოკშია: ნაკრების კაპიტანი ემერსონი ტრავმირებულია და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს. გუშინ, ვარჯიშისას, იტალიური "რომას" ნახევარმცველი შეეცადა, თავისი შესაძლებლობები მეკარის ამპლუაში წარმოეჩინა, რაც მარცხით დასრულდა. ემერსონი კარში დარტყმული ბურთის მოსაგერიებლად გადახტა და შედეგად მხარი ამოუვარდა. ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს ვეღარ შეძლებს. ნაკრების ექიმის, ხოსე ლუის რუნკოს თქმით, ემერსონის გამოჯანმრთელებას 4 კვირა დასჭირდება.

ბრაზილიელებმა თხოვნით მიმართეს ფიფას, რათა ფეხბურთელის შეცვლის უფლება მიეღოთ. თხოვნა დაკმაყოფილდა და სკოლარიმ ემერსონის ნაცვლად ნაკრებში "კორინტიანსელი" რიკარდინიო გამოიძახა. ბრაზილიის ნაკრებმა ემერსონის სახით დიდი დანაკლისი განიცადა და საკმაო რაოდენობით დაგროვილ პრობლემებს კიდევ ერთი დაემატა- 2 დღის წინ, ვარჯიშისას, ლუსიომ და დენილსონმა საკმაოდ მწვავედ იჩხუბეს.

თუმცა, რობერტო კარლოსის აზრით თურქების დამარცხება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, "მათ დასამარცხებლად ჩვენი რეალური შესაძლებლობების 40 პროცენტიც გვეყოფა," – განაცხადა მცველმა. ამ ნათქვამს თურქეთის ნაკრების მწვრთნელი სენოლ გიუნესი გამოეხმაურა და კარლოსის მისამართით განცხადება გააკეთა: "ბრაზილია ფრთხილად უნდა იყოს, გამარჯვებისათვის მხოლოდ ყვითელი მაისურა და დიდი ისტორია არ არის საკმარისი."

## სენეგალის დესანტი "ლივერპულში"

ერთი კვირის წინათ ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა "ლივერპულმა" სენეგალის ნაკრების ლიდერი ელ ჰაჯი დიუფი შეიძინა. ბრიტანელებმა საფრანგეთის "ლანსს" 21 წლის ფორვარდში 14 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ამ ტრანსფერმა მერსისაიდის გულშემატკივარები ძალიან გააკვირვა. დიუფს ინგლისში თითქმის არ იცნობდნენ. თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩის შემდეგ კლუბის თაყვანისმცემლები ცოტათი დაწყნარდნენ - დიუფი ძლიერი ფეხბურთელია და "ლივერპულს" დიდ სამსახურს გაუწევს. ამ ტრანსფერის შესახებ მხოლოდ ჩემპიონატის დაწყების წინ გახდა ცნობილი. მანამდე კი "ლივერპული" და სენეგალელი, ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე, ასაიდუმლოებდნენ ფორვარდის ინგლისში გადასვლას. კონტრაქტის მიხედვით, დიუფი "ლივერპულში" 5 წელიწადს ითამაშებს და ძირითად შემადგენლობაში ფრანგ ნიკოლა ანელკას შეცვლის. ცოტა ხნით ადრე "ლივერპულმა" კიდევ ერთი სენეგალელი - სალიფ დიაო შეიძინა.

## სატელევიზიო ციებ-ცხელება

იაპონია-კორეის მსოფლიოს ჩემპიონატი ძალას იკრებს. პირველმა შეხვედრამ დაამტკიცა, რომ პირველობა სიურპრიზებით იქნება სავსე. სენეგალისა და საფრანგეთის მატჩს მილიონობით გულშემატკივარმა ვერ უყურა. მაგალითად, გერმანიაში - თითქმის სამ მილიონზე მეტმა, რამაც დიდი სკანდალი გამოიწვია. ჩემპიონატის გახსნის ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მიუნხენში ჩაიშალა მოლაპარაკება მედიაკონცერნ "კირჰმედიასთან", რომლის ხელმძღვანელობა ამ შეხვედრის ჩაშლას გერმანიის ორი ძირითადი სამაუწყებლო კომპანიის - "აერდისა" და "ცედეეფის" ხელმძღვანელებს აბრალებს. ეს ორი კომპანია უფრო იღბლიანი გამოდგა და პარასკევს პირდაპირი რეპორტაჟიც გადასცეს. მოკლედ, ჩემპიონატის თამაში არ უნახავთ იმ გულშემატკივრებს, რომლებიც მხოლოდ თანამგზავრული ტელემიმღებით სარგებლობდნენ.

მსგავსი სიტუაცია იყო მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ბაქოს მოსახლეობის უმეტესობამ ვერ უყურა ფეხბურთს, ლიტველებიც ჯერჯერობით მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე რჩებიან.

რუსეთში მსოფლიოს ჩემპიონატი ყველა სხვა მოვლენაზე უფრო მნიშვნელოვანია. "ერტეერის" ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო - შეიცვალა სატელევიზიო ეთერის ბადე და ნახევარი საათით შემცირდა რეგიონული ტელევიზიების მაუწყებლობა. ამან გულშემატკივრებს ფეხბურთის მშვიდად და დიდი მოცულობით ნახვის საშუალება მისცა.

## სქოლარი სენეგალმა დააფრთხო

სენეგალის ნაკრების მიერ ფრანგების დამარცხებამ დანარჩენი ფავორიტები შეაკრთო. ბრაზილიელთა მწვრთნელი სქოლარი ყველაზე უფრო შეშფოთებულია. "ამ წაგებამ კარგი სამსახური გაგვიწია, - განაცხადა სქოლარიმ, - ჩემი ფეხბურთელები, რომელთაც უკანასკნელ დღეებში ზედმეტად თავდაჯერებული გამომეტყველება ჰქონდათ, უფრო მობილიზებული გავლენ მოედანზე. ყველა ფრთხილად უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგივე დაემართებათ, რაც ფრანგებს". სქოლარიმ განაცხადა, რომ ჯგუფში მხოლოდ თურქეთის თამაშს იცნობს. კოსტა-რიკა და ჩინეთი კი მისთვის საერთოდ უცნობი გუნდებია. პირველ შეხვედრას მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები სწორედ თურქეთის ნაკრებთან გამართავენ.

## როგორ ებრძვის იაპონია გულშემატკივრებს

ემოციური გულშემატკივრების შესაჩერებლად იაპონურმა რკინიგზის კომპანიამაც მიიღო ზომები. JR West-ის წარმომადგენლებმა რკინიგზაზე მიმოფანტულ ქვებსა და კენჭებს გადაასხეს სპეციალური სითხე, რითაც ისინი ერთ მკვრივ მასად აქციეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთის ფანები ქვებს იარაღად ვეღარ გამოიყენებენ. მსგავსი მეთოდი გამოიყენეს ოსაკაში, ნაგაის სტადიონზე, რომელზეც 12 ივნისს ინგლისი-ნიგერიის შეხვედრაა დანიშნული. საგანგებო ზომები მიიღო ტოკიოს პოლიციამაც. იქ სამართალდამცველები შეაიარაღეს ახლებური ტიპის შაშხანებით, რომლებიც, ტყვიის ნაცვლად, ნეილონის ბადეს ისვრიან – ქუჩის კრიმინალი ფანების დასაჭერად.

## მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან

### მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებულები

მხოლოდ 11-მა ქვეყანამ შესძლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფიზნალამდე მიღწევა, და მხოლოდ 7-მა მათგანმა შეძლო მისი მოგება.




| რიცხვი | გამარჯვებული | | | მასპინძელი |
|---|---|---|---|---|
| 1930 | ურუგვაი | 4-2 | არგენტინა | ურუგვაი |
| 1934 | იტალია | 2-1 | ჩეხოსლოვაკია | იტალია |
| 1938 | იტალია | 4-2 | უნგრეთი | საფრანგეთი |
| 1950 | ურუგვაი | 2-1 | ბრაზილია | ბრაზილია |
| 1954 | დ. გერმანია | 3-2 | უნგრეთი | შვეიცარია |
| 1958 | ბრაზილია | 5-2 | შვედეთი | შვედეთი |
| 1962 | ბრაზილია | 3-1 | ჩეხოსლოვაკია | ჩილე |
| 1966 | ინგლისი | 4-2 | დ. გერმანია | ინგლისი |
| 1970 | ბრაზილია | 4-1 | იტალია | მექსიკა |
| 1974 | დ.გერმანია | 2-1 | ჰოლანდია | გერმანია |
| 1978 | არგენტინა | 3-1 | ჰოლანდია | არგენტინა |
| 1982 | იტალია | 3-1 | დ. გერმანია | ესპანეთი |
| 1986 | არგენტინა | 3-2 | დ. გერმანია | მექსიკა |
| 1990 | დ. გერმანია | 1-0 | არგენტინა | იტალია |
| 1994 | ბრაზილია<br>პენალტების სერია | 0-0<br>3-2 | იტალია | ა.შ.შ. |
| 1998 | საფრანგეთი | 3-0 | ბრაზილია | საფრანგეთი |

© GRAPHIC NEWS

## გახმაურებული სკანდალები

**1930 წელი.**
**არგენტინა - მექსიკა 6:3**

შეხვედრის არბიტრმა, ბოლივიელმა საუსედომ 5 პენალტი დანიშნა. აქედან 4 მექსიკელთა კარში. თავლაფდასხმული მექსიკელი გულშემატკივარი გაბოროტებულ ხარს დაემსგავსა და შურისძიება გადაწყვიტა. მატჩის უკანასკნელ წუთებზე განრისხებული მექსიკელები მინდორზე გამოცვივდნენ, რათა საუსედოსთვის ჭკუა ესწავლებინათ. მსაჯმა უკანმოუხედავად მოკურცხლა და გაქცეულმა მისცა საფინალო სასტვენი.

**1934 წელი.**
**იტალია - ჩეხოსლოვაკია 2:1**

იტალიელთა გამარჯვებას მეტწილად ბენიტო მუსოლინის მარიფათს მიაწერენ. მატჩის დაწყების წინ 28 წლის შვედი არბიტრი ივან ეკლუნდი (ყველაზე ახალგაზრდა მსაჯი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის განსჯის პატივი ერგო), ბენიტო მუსოლინის თხოვნით, დიქტატორის ლოჟას ეწვია. "დუჩემ" სტუმარი დიდი პატივით მიიღო. მატჩის დროს შვედი არბიტრი აშკარად კეთილგანწყობილი ჩანდა იტალიის ნაკრების მიმართ. ასეთი საქციელის გამო შვედებმა თანამემამულეს "რომაელი გრაფი" შეარქვეს.

**1938 წელი.**
**შვეიცარია - გერმანია 4:2**

პირველივე ეტაპზე წაგების გამო გერმანიის ნაკრები ჩამპიონატს დაემშვიდობა. ამ ფაქტით შეურაცხყოფილმა გერმანიის სპორტულმა ფუნქციონერებმა დაადანაშაულეს ხუთი ავსტრიელი ფეხბურთელი, რომლებიც გერმანიის ნაკრების ღირსებას იცავდნენ (მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით გერმანიამ ავსტრიის ანექსია მოახდინა). ფეხბურთელებს განგებ გაყიდვაში დასდეს ბრალი.

**1954 წელი.**
**უნგრეთი - ბრაზილია 4:2**

ეს მატჩი ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე უხეში თამაში. საერთო ჯამში მსაჯმა მინდვრიდან ოთხი ფეხბურთელი გააძევა. 71-წუთზე ჩხუბის გამო წითელი ბარათი უჩვენეს ბოჟიკს და ნილტონ სანტოსს. თუმცა, კონფლიქტი ამით არ დამთავრებულა. მატჩის შემდეგ გუნდებმა გასახდელში გრანდიოზული სკანდალი მოაწყვეს.

# ატლანტიკ-სიტი და არა ლას-ვეგასი




მსოფლიოს კრივის მექა, ლას-ვეგასი, ნიუ-ჯერსიმ და ატლანტიკ-სიტიმ შეცვალა. "Kovention center"-ის რინგზე მსოფლიოს ორი ყოფილი ჩემპიონი გავიდა: მძიმეწონოსანი ევანდერ ჰოლიფილდი და ჰასიმ რაჰმანი.

**პირველი რაუნდი**

ჰოლიფილდმა აგრესიულად დაიწყო. რინგზე სწრაფი მოძრაობა და უამრავი დარტყმა. თუმცა, რაუნდის ბოლოს სიტუაცია შეიცვალა. უკანასკნელი 30 წამის განმავლობაში რაჰმანი გამოცოცხლდა და რამდენიმე დარტყმა მიაყენა მეტოქეს. თუ ჰოლიფილდი, ძირითადად, ფიზიკურ ძალას ეყრდნობოდა, რაჰმანი ტაქტიკურად სწორად მოქმედებდა და რაუნდი მინიმალური სხვაობით – 10:9 მოიგო.

**მეორე რაუნდი**

დასაწყისში ისევ ჰოლიფილდი აქტიურობდა. მარჯვენა ხელით ძლიერად დაარტყა რაჰმანს და გადამწყვეტი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა. მისი მეტოქე მხოლოდ თავდაცვით იყო დაკავებული, რის გამოც რაუნდი წააგო – 10:9 ჰოლიფილდის სასარგებლოდ.

**მესამე რაუნდი**

ჰოლიფილდი განაგრძობდა გააფთრებულ შეტევებს. რაჰმანი ბაგირს იყო მიჯაჭვული და მხოლოდ კონტრშეტევის დროს ურტყამდა. უკანსკნელ წამებზე ჰოლიფილდმა ორმაგი ჰუკი განახორციელა. რაჰმანი სერიოზულად არ დაშავებულა, მაგრამ გუნება აშკარად გაუფუჭდა. 10:9 ჰოლიფილდის სასარგებლოდ.

**მეოთხე რაუნდი**

დასაწყისში რაჰმანი უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. გაცილებით მეტს მოძრაობდა და ჰოლიფილდმა სერიოზული დარტყმები მიიღო. რაჰმანმა სწორი ტაქტიკური სქემა აირჩია და, გამარჯვებასთან ერთად (10:9), მთავარ მიზანს მიაღწია - ჰოლიფილდი დაიღალა.

**მეხუთე რაუნდი**

დასაწყისში რაჰმანი უფრო დაკავებული აღმოჩნდა - მეტოქის გააფთრებულ შეტევებს უშედეგოდ იგერიებდა. რაუნდის დასაწყისში ჰოლიფილდმა უმაღლესი დონის კრივი აჩვენა, მაგრამ მალე დაიღალა. ამით რაჰმანმა ისარგებლა და რაუნდი მოიგო – 10:9.

**მეექვსე რაუნდი**

ეს რაუნდი გადამწყვეტი აღმოჩნდა - არავინ იცის, რისი წყალობით, მაგრამ ჰოლიფილდი გარდაიქმნა და უდიდესი უპირატესობა მოიპოვა. რაჰმანმა უამრავი ძლიერი დარტყმა მიიღო. ერთ-ერთ ეპიზოდში მას მარცხენა წარბი გაუსკდა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. რაუნდის ბოლოს ჰოლიფილდმა კიდევ ერთხელ ძლიერად დაარტყა მეტოქეს და წარბი კიდევ უფრო დაუზიანა.

**მეშვიდე რაუნდი**

ჰოლიფილდი მეტოქის დაზიანებულ თვალს უმიზნებდა. რაჰმანი თავს იცავდა და მხოლოდ რაუნდის დასრულებას ელოდა, მაგრამ რამდენჯერმე კონცენტრაცია დაკარგა და თავის არეში უძლიერესი დარტყმები მიიღო. მეშვიდე რაუნდშიც ჰოლიფილდმა გაიმარჯვა.

**მერვე რაუნდი**

ყველაფერი რაუნდის დასაწყისშივე დასრულდა. ჰოლიფილდმა ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა მძიმე მდგომარეობაში მყოფ მეტოქეს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ორგანიზატორებმა ბრძოლა შეწყვიტეს და გამარჯვება ჰოლიფილდს მიაკუთვნეს. არადა, სპეციალისტთა უმრავლესობა ფავორიტად ახალგაზრდა რაჰმანს მიიჩნევდა.

**ბრძოლის შემდეგ**

რაჰმანი წაგებას შემთხვევითობას უწოდებს და თვლის, რომ მხოლოდ სულელური ტრავმის გამო დამარცხდა. "მე ცუდად არ მიჩხუბია, - განაცხადა რაჰმანმა. - ტრავმა რომ არა, ნამდვილად მოვიგებდი. მართალი გითხრათ, გაოცებული ვარ ჰოლიფილდის თავის სიმაგრით. მე მგონი, პლატინისა აქვს." ბოლოს რაჰმანი დაბრუნებით დაემუქრა მეტოქეს. ჰოლიფილდი შედარებით თავშეკავებული იყო და თავის გამარჯვებას, უბრალოდ, კანონზომიერი უწოდა.




## პავაროტის ბოლო საფეხბურთო კონცერტი

ფეხბურთელებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატისთვის წვრთნას გადის ოპერის ვარსკვლავი ლუჩანო პავაროტი. რეპეტიციებისთვის მან ივნისში, მანჩესტერში დაგეგმილი კონცერტიც გადადო. "ეს იმიტომ, რომ მთლიანად მსოფლიო ჩემპიონატზე კონცენტრირება შევძლო", - განმარტავს დიდი ტენორი.

პავაროტი მონაწილეობას მიიღებს ე.წ. სამი ტენორის კონცერტში, რომელიც იოკოჰამაში, 27 ივნისს არის დაგეგმილი. სტადიონზე ათი ათასი მაყურებელი ეტევა. ბილეთი კი 918 დოლარამდე ეღირება. ვარსკვლავ ტენორებთან ერთად აუდიტორია იაპონელ და სამხრეთკორეელ მომღერლებსაც მოუსმენს.

ხოსე კარერასის, პლაჩიდო დომინგოსა და ლუჩანო პავაროტის მონაწილეობით შესრულებული საოპერო "წუთშესვენება" ფეხბურთის სამყარომ პირველად 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემიონატზე "აილო". მას შემდეგ საოპერო-საფეხბურთო ტანდემი, წლევანდელის ჩათვლით, ოთხჯერ შედგა. თუმცა, როგორც ტენორები ამბობენ, 2002 წლის შემდეგ ფეხბურთის სამყაროსთვის სცენაზე გამოსვლას აღარ აპირებენ. პავაროტი ხომ საერთოდ კარიერის დასრულებაზე ფიქრობს...

## ტოტალიზატორი "კოპა"

მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 021 | 03-06-2002 | 11:30 | ხორვატია-მექსიკა | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.47 | 1.30 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 023 | 03-06-2002 | 14:00 | ბრაზილია-თურქეთი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.05 | 2.21 | 1.20 | 1.60 | 2.5 | 1.90 |
| 025 | 03-06-2002 | 16:30 | იტალია-ეკვადორი | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 2.19 | 1.22 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 027 | 04-06-2002 | 11:30 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 029 | 04-06-2002 | 14:00 | იაპონია-ბელგია | 2.50 | 2.90 | 2.60 | 1.34 | 1.37 | 1.27 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 031 | 04-06-2002 | 16:30 | კორეა-პოლონეთი | 2.60 | 2.90 | 2.50 | 1.37 | 1.34 | 1.27 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 033 | 05-06-2002 | 11:30 | რუსეთი-ტუნისი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.09 | 1.95 | 1.24 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 035 | 05-06-2002 | 14:00 | ა.შ.შ.-პორტუგალია | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.05 | 1.20 | 1.70 | 2.5 | 1.80 |

ვინ უფრო მეტ გოლს გაიტანს

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 820 | 02-06-2002 | 14:30 | კრესპო-ვიერი | 1.80 | 1.70 |
| 821 | 31-05-2002 | 16:30 | ტრეზეგე-ანრი | 1.70 | 1.80 |
| 822 | 02-06-2002 | 10:30 | ოუენი-რაული | 1.75 | 1.75 |
| 823 | 02-06-2002 | 14:30 | რონალდო-ბატისტუტა | 1.60 | 1.90 |
| 824 | 02-06-2002 | 16:30 | რივალდო-მორიენტესი | 1.70 | 1.80 |
| 825 | 02-06-2002 | 14:30 | კ. ლოპესი-დელ პიერო | 1.75 | 1.75 |
| 826 | 02-06-2002 | 16:30 | ტრისტანი-მონტელა | 1.75 | 1.75 |
| 827 | 03-06-2002 | 16:30 | ფ. ინძაგი-ნ. გომეში | 1.75 | 1.75 |
| 828 | 31-05-2002 | 16:30 | ზიდანი-ბალაკი | 1.75 | 1.75 |
| 829 | 01-06-2002 | 11:30 | ეტო-შუქური | 1.75 | 1.75 |
| 830 | 01-06-2002 | 16:30 | ბესტჩასტნიხი-ბირხოფი | 1.75 | 1.75 |
| 831 | 01-06-2002 | 14:00 | რეკობა-მოსტოვოი | 1.75 | 1.75 |
| 832 | 01-06-2002 | 11:30 | ბოკშიჩი-რობი კინი | 1.75 | 1.75 |
| 833 | 01-06-2002 | 16:30 | ზახოვიჩი-იანკერი | 1.75 | 1.75 |
| 834 | 01-06-2002 | 11:30 | ჰ. ლარსონი-დ. სილვა | 1.75 | 1.75 |
| 835 | 01-06-2002 | 11:30 | ოლისადებე-მბომა | 1.70 | 1,80 |

ვინ უფრო მეტ გოლს გაიტანს

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 800 | 31-05-2002 | 16:30 | საფრანგეთი-ბრაზილია | 1.75 | 1.75 |
| 801 | 02-06-2002 | 14:30 | არგენტინა-იტალია | 1.70 | 1.80 |
| 802 | 02-06-2002 | 16:30 | ესპანეთი-პორტუგალია | 1.75 | 1.75 |
| 803 | 01-06-2002 | 16:30 | გერმანია-ინგლისი | 1.70 | 1.80 |
| 804 | 04-06-2002 | 14:00 | რუსეთი-იაპონია | 1.75 | 1.75 |
| 805 | 03-06-2002 | 11:30 | ბელგია-ხორვატია | 1.80 | 1.70 |
| 806 | 03-06-2002 | 14:00 | პოლონეთი-თურქეთი | 1.75 | 1.75 |
| 807 | 01-06-2002 | 11:30 | კამერუნი-იტალია | 1.70 | 1.80 |
| 808 | 01-06-2002 | 14:00 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.75 | 1.75 |
| 809 | 01-06-2002 | 14:00 | დანია-კორეა | 1.75 | 1.75 |
| 810 | 02-06-2002 | 10:30 | სლოვენია-შვედეთი | 1.75 | 1.75 |
| 811 | 02-06-2002 | 14:30 | კოსტა რიკა-ნიგერია | 1.75 | 1.75 |
| 812 | 03-06-2002 | 11:30 | მექსიკა-ეკვადორი | 1.70 | 1.80 |
| 813 | 01-06-2002 | 16:30 | ს. აფრიკა-საუდ. არაბეთი | 1.75 | 1.75 |
| 814 | 04-06-2002 | 11:30 | ჩინეთი-ა.შ.შ. | 1.70 | 1.80 |
| 815 | 31-05-2002 | 16:30 | ტუნისი-სენეგალი | 1.80 | 1.70 |

ვინ უკეთ გამოვა ჩემპიონატში

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 850 | 31-05-2002 | 16:30 | საფრანგეთი-არგენტინა | 1.70 | 1.80 |
| 851 | 03-06-2002 | 14:00 | ბრაზილია-იტალია | 1.75 | 1.75 |
| 852 | 02-06-2002 | 10:30 | ინგლისი-ესპანეთი | 1.85 | 1.65 |
| 853 | 01-06-2002 | 16:30 | გერმანია-პორტუგალია | 1.70 | 1.80 |
| 854 | 01-06-2002 | 14:00 | კამერუნი-დანია | 1.65 | 1.85 |
| 855 | 03-06-2002 | 11:30 | პოლონეთი-ხორვატია | 1.75 | 1.75 |
| 856 | 02-06-2002 | 12:30 | პარაგვაი-რუსეთი | 1.85 | 1.65 |
| 857 | 03-06-2002 | 14:00 | იაპონია-თურქეთი | 1.60 | 1.90 |
| 858 | 01-06-2002 | 14:00 | ურუგვაი-ბელგია | 1.80 | 1.70 |
| 859 | 02-06-2002 | 14:30 | ნიგერია-მექსიკა | 1.70 | 1.80 |
| 860 | 01-06-2002 | 11:30 | ირლანდია-კორეა | 1.75 | 1.75 |
| 861 | 02-06-2002 | 10:30 | სლოვენია-შვედეთი | 1.75 | 1.75 |
| 862 | 03-06-2002 | 16:30 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1.75 | 1.75 |
| 863 | 04-06-2002 | 11:30 | ა.შ.შ.-ჩინეთი | 1.70 | 1.80 |
| 864 | 31-05-2002 | 16:30 | სენეგალი-საუდ. არაბეთი | 1.75 | 1.75 |
| 865 | 02-06-2002 | 12:30 | ტუნისი-ს. აფრიკა | 1.75 | 1.75 |

ვინ უკეთ ითამაშებს

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 200 | 31-05-2002 | 16:30 | საფრანგეთი-გერმანია | 1.75 | 1.75 |
| 201 | 01-06-2002 | 11:30 | კამერუნი-ურუგვაი | 1.75 | 1.75 |
| 202 | 02-06-2002 | 10:30 | არგენტინა-იტალია | 1.75 | 1.75 |
| 203 | 02-06-2002 | 16:30 | ბრაზილია-ესპანეთი | 1.75 | 1.75 |
| 204 | 02-06-2002 | 12:30 | პარაგვაი-ინგლისი | 1.75 | 1.75 |
| 205 | 03-06-2002 | 11:30 | ხორვატია-კოსტა რიკა | 1.75 | 1.75 |
| 206 | 04-06-2002 | 14:00 | იაპონია-პოლონეთი | 1.75 | 1.75 |
| 207 | 05-06-2002 | 11:30 | რუსეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.65 |

## ტოტალიზატორი ტოტო 2000

### პროგრამა 01-06 05-06

*მსოფლიო ჩემპიონატი. I ტური.*

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 | 2,5მეტ | 2,5ნაკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06/03 | 11:30 | 009 | ხორვატია - მექსიკა | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.48 | 1.85 | 1.65 |
| 06/03 | 14:00 | 010 | ბრაზილია - თურქეთი | 1.50 | 3.50 | 6.50 | | 1.20 | 2.26 | 1.50 | 2.00 |
| 06/03 | 16:30 | 011 | იტალია - ეკვადორი | 1.45 | 3.50 | 7.50 | | 1.20 | 2.37 | 1.75 | 1.75 |
| 06/04 | 11:30 | 012 | ჩინეთი - კოსტა რიკა | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.53 | 1.27 | 1.27 | 1.70 | 1.80 |
| 06/04 | 14:00 | 013 | იაპონია - ბელგია | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.36 | 1.65 | 1.85 |
| 06/04 | 16:30 | 014 | კორეა - პოლონეთი | 2.70 | 3.00 | 2.50 | 1.40 | 1.28 | 1.34 | 1.70 | 1.80 |
| 06/05 | 11:30 | 015 | რუსეთი - ტუნისი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.22 | 1.97 | 1.80 | 1.70 |
| 06/05 | 14:00 | 016 | აშშ - პორტუგალია | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.26 | 1.20 | | 1.65 | 1.85 |

*I ტაიმის შედეგი-საბოლოო შედეგი*

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06/03 | 11:30 | 039 | ხორვატია - მექსიკა | 3.50 | 12.00 | 23.00 | 4.60 | 4.40 | 5.40 | 20.00 | 11.00 | 5.00 |
| 06/03 | 14:00 | 040 | ბრაზილია - თურქეთი | 2.00 | 13.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 06/03 | 16:30 | 041 | იტალია - ეკვადორი | 2.00 | 13.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 23.00 | 12.00 | 13.00 |
| 06/04 | 11:30 | 042 | ჩინეთი - კოსტა რიკა | 5.00 | 12.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.40 | 23.00 | 11.00 | 3.40 |
| 06/04 | 14:00 | 043 | იაპონია - ბელგია | 4.20 | 12.00 | 20.00 | 5.00 | 3.80 | 5.00 | 20.00 | 11.00 | 4.00 |
| 06/04 | 16:30 | 044 | კორეა - პოლონეთი | 4.20 | 13.00 | 20.00 | 5.00 | 4.00 | 5.00 | 20.00 | 12.00 | 4.00 |
| 06/05 | 11:30 | 045 | რუსეთი - ტუნისი | 2.40 | 12.00 | 30.00 | 3.70 | 5.00 | 9.00 | 20.00 | 11.00 | 9.00 |
| 06/05 | 14:00 | 046 | აშშ - პორტუგალია | 11.00 | 14.00 | 20.00 | 11.00 | 5.30 | 3.50 | 35.00 | 12.00 | 2.00 |

**არ ეზმება არცერთ სხვა პოზიციას**

*ანგარიშის გამოცნობა*

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 0-0 | 1-1 | 2-2 | 1-1 | 0-1 | 1-2 | 0-2 | 1-2 | 2-1 | 1-3 | 0-3 | 1-3 | 3-1 | 2-3 | 3-2 | 1-4 | 0-4 | 1-4 | 4-1 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06/03 | 11:30 | 059 | ხორვატია - მექსიკა | 5.00 | 5.00 | 13.00 | 5.50 | 7.00 | 7.50 | 10.00 | 7.50 | 9.00 | 15.00 | 25.00 | 15.00 | 22.00 | 23.00 | 23.00 | 35.00 | 70.00 | 33.00 | 70.00 |
| 06/03 | 14:00 | 060 | ბრაზილია - თურქეთი | 5.50 | 5.50 | 14.00 | 5.50 | 11.00 | 5.00 | 22.00 | 7.00 | 19.00 | 8.50 | 90.00 | 9.50 | 60.00 | 23.00 | 50.00 | 16.00 | 70.00 | 16.00 | 70.00 |
| 06/03 | 16:30 | 061 | იტალია - ეკვადორი | 5.50 | 5.50 | 14.00 | 5.50 | 12.00 | 5.00 | 23.00 | 7.00 | 20.00 | 8.50 | 90.00 | 9.50 | 90.00 | 28.00 | 60.00 | 14.00 | 70.00 | 14.00 | 70.00 |
| 06/04 | 11:30 | 062 | ჩინეთი - კოსტა რიკა | 5.00 | 5.00 | 13.00 | 7.50 | 5.50 | 11.00 | 7.00 | 9.50 | 7.50 | 28.00 | 13.00 | 23.00 | 14.00 | 23.00 | 23.00 | 70.00 | 33.00 | 70.00 | 28.00 |
| 06/04 | 14:00 | 063 | იაპონია - ბელგია | 5.00 | 5.00 | 13.00 | 6.00 | 6.50 | 9.50 | 10.00 | 8.00 | 8.50 | 21.00 | 22.00 | 21.00 | 21.00 | 23.00 | 23.00 | 60.00 | 60.00 | 50.00 | 60.00 |
| 06/04 | 16:30 | 064 | კორეა - პოლონეთი | 5.00 | 5.00 | 13.00 | 7.00 | 5.50 | 10.00 | 8.00 | 9.00 | 8.00 | 20.00 | 14.00 | 18.00 | 14.00 | 23.00 | 23.00 | 60.00 | 40.00 | 60.00 | 35.00 |
| 06/05 | 11:30 | 065 | რუსეთი - ტუნისი | 5.50 | 5.50 | 13.00 | 5.00 | 9.50 | 5.50 | 18.00 | 6.50 | 16.00 | 9.50 | 60.00 | 10.00 | 40.00 | 23.00 | 33.00 | 22.00 | 70.00 | 19.00 | 70.00 |
| 06/05 | 14:00 | 066 | აშშ - პორტუგალია | 5.50 | 6.00 | 14.00 | 10.00 | 5.50 | 23.00 | 5.00 | 18.00 | 7.00 | 70.00 | 8.50 | 60.00 | 9.50 | 40.00 | 23.00 | 70.00 | 16.00 | 70.00 | 16.00 |

**არ ეზმება არცერთ სხვა პოზიციას**

## ტოტალიზატორი "ლამიგო"

| თარიღი | წყვილი | კოდი | 1 | X | 2 | კოდი | 1X | X2 | კოდი | 2.5> | 2.5< | კოდი | გოლი 1 | გოლი 2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მსოფლიო ჩემპიონატი | | | | | | | | | | | | 1 | 2 |
| AC ჯგუფი | | | | | | | | | | | | | | |
| 06/03/2002 14:00 | ბრაზილია თურქეთი | 005 | 1.5 | 3.4 | 5.7 | 1005 | 1.03 | 2.12 | 2005 | 1.6 | 1.9 | 3005 | 1.3 | 2.4 |
| 06/04/2002 11:30 | კოსტა რიკა ჩინეთი | 006 | 2.2 | 2.9 | 3.0 | 1006 | 1.25 | 1.45 | 2006 | 1.9 | 1.6 | 3006 | 1.7 | 1.9 |
| AD ჯგუფი | | | | | | | | | | | | | | |
| 06/04/2002 16:30 | კორეა პოლონეთი | 007 | 2.65 | 3.0 | 2.35 | 1007 | 1.4 | 1.3 | 2007 | 1.9 | 1.6 | 3007 | 1.8 | 1.8 |
| 06/05/2002 14:00 | პორტუგალია აშშ | 008 | 1.45 | 3.5 | 7.0 | 1008 | | 2.3 | 2008 | 1.6 | 1.9 | 3008 | 1.2 | 3.1 |
| AF ჯგუფი | | | | | | | | | | | | | | |
| 06/02/2002 10:30 | არგენტინა ნიგერია | 011 | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1011 | 1.07 | 2.0 | 2011 | 1.75 | 1.75 | 3011 | 1.35 | 2.5 |
| 06/02/2002 14:30 | ინგლისი შვედეთი | 012 | 1.75 | 3.0 | 4.0 | 1012 | 1.1 | 1.7 | 2012 | 1.7 | 1.8 | 3012 | 1.5 | 2.0 |
| AG ჯგუფი | | | | | | | | | | | | | | |
| 06/03/2002 11:30 | ხორვატია მექსიკა | 013 | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1013 | 1.26 | 1.46 | 2013 | 1.75 | 1.75 | 3013 | 1.7 | 1.9 |
| 06/03/2002 16:30 | იტალია ეკვადორი | 014 | 1.45 | 3.2 | 7.0 | 1014 | | 2.17 | 2014 | 1.6 | 1.9 | 3014 | 1.2 | 3.5 |
| AH ჯგუფი | | | | | | | | | | | | | | |
| 06/04/2002 14:00 | იაპონია ბელგია | 015 | 2.6 | 2.9 | 2.6 | 1015 | 1.37 | 1.37 | 2015 | 1.8 | 1.7 | 3015 | 1.8 | 1.8 |
| 06/05/2002 11:30 | რუსეთი ტუნისი | 016 | 1.6 | 3.2 | 6.0 | 1016 | 1.06 | 2.0 | 2016 | 1.8 | 1.7 | 3016 | 1.3 | 2.4 |

| თარიღი | წყვილი | კოდი | 1 |
|---|---|---|---|
| 2002წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოგება | | | |
| 06/05/2002 12:00 | საფრანგეთი | 600 | 4.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბრაზილია | 601 | 5.0 |
| 06/05/2002 12:00 | არგენტინა | 602 | 5.0 |
| 06/05/2002 12:00 | იტალია | 603 | 6.0 |
| 06/05/2002 12:00 | ინგლისი | 604 | 8.0 |
| 06/05/2002 12:00 | გერმანია | 605 | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | ესპანეთი | 606 | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | პორტუგალია | 607 | 14.0 |
| 06/05/2002 12:00 | ნიგერია | 608 | 50 |
| 06/05/2002 12:00 | კამერუნი | 609 | 50 |
| 06/05/2002 12:00 | პარაგვაი | 610 | 50 |
| 06/05/2002 12:00 | რუსეთი | 611 | 50 |
| 06/05/2002 12:00 | ხორვატია | 612 | 50 |
| 06/05/2002 12:00 | შვედეთი | 613 | 60 |
| 06/05/2002 12:00 | დანია | 614 | 60 |
| 06/05/2002 12:00 | პოლონეთი | 615 | 75 |
| 06/05/2002 12:00 | იაპონია | 616 | 75 |
| 06/05/2002 12:00 | ბელგია | 617 | 75 |
| 06/05/2002 12:00 | ირლანდია | 618 | 75 |
| 06/05/2002 12:00 | თურქეთი | 619 | 75 |
| 06/05/2002 12:00 | ურუგვაი | 620 | 100 |
| 06/05/2002 12:00 | ეკვადორი | 621 | 100 |
| 06/05/2002 12:00 | მექსიკა | 622 | 100 |
| 06/05/2002 12:00 | სლოვენია | 623 | 150 |
| 06/05/2002 12:00 | კორეა | 624 | 150 |
| 06/05/2002 12:00 | Aაშშ | 625 | 150 |
| 06/05/2002 12:00 | სამხრეთ აფრიკა | 626 | 160 |
| 06/05/2002 12:00 | ტუნისი | 627 | 200 |
| 06/05/2002 12:00 | კოსტა რიკა | 628 | 200 |
| 06/05/2002 12:00 | სენეგალი | 629 | 300 |
| 06/05/2002 12:00 | ჩინეთი | 630 | 300 |
| 06/05/2002 12:00 | საუდის არაბეთი | 631 | 300 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ვინ გახდება ბომბარდირი | | | |
| 06/05/2002 12:00 | ვიერი | 400 | 9.0 |
| 06/05/2002 12:00 | ანრი | 401 | 9.0 |
| 06/05/2002 12:00 | ოუენი | 402 | 9.0 |
| 06/05/2002 12:00 | რაული | 403 | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | კრესპო | 404 | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | ტრეზეგე | 405 | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | რონალდო | 406 | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | რივალდო | 407 | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბატისტუტა | 408 | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | ლოპესი | 409 | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | მორიენტესი | 410 | 15.0 |
| 06/05/2002 12:00 | დელპიერო | 411 | 18.0 |
| 06/05/2002 12:00 | ინძაგი | 412 | 18.0 |
| 06/05/2002 12:00 | მონტელა | 413 | 20.0 |
| 06/05/2002 12:00 | ტრისტანი | 415 | 20.0 |
| 06/05/2002 12:00 | რონალდინიო | 416 | 25.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბექჰემი | 417 | 25.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბალაკი | 418 | 25.0 |
| 06/05/2002 12:00 | ტოტი | 419 | 28.0 |
| 06/05/2002 12:00 | ფიგუ | 420 | 30.0 |
| 06/05/2002 12:00 | ზიდანი | 421 | 30.0 |
| 06/05/2002 12:00 | ნოივილი | 422 | 35.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბირჰოფი | 423 | 40.0 |
| 06/05/2002 12:00 | შუქური | 424 | 45.0 |
| 06/05/2002 12:00 | რეკობა | 425 | 50.0 |
| 06/05/2002 12:00 | ჰესკი | 426 | 50.0 |
| 06/05/2002 12:00 | ნაკატა | 427 | 60.0 |
| 06/05/2002 12:00 | მოსტოვოი | 428 | 70.0 |
| რომელი კონტინენტის წარმომადგენელი გახდება მს. ჩემპიონი | | | |
| 06/05/2002 12:00 | ევროპა | 430 | 1.5 |
| 06/05/2002 12:00 | ამერიკა | 431 | 2.0 |
| 06/05/2002 12:00 | აფრიკა | 432 | 15.0 |
| 06/05/2002 12:00 | აზია | 433 | 50.0 |

| თარიღი | წყვილი | კოდი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | | | არ გასვლა |
| | AC ჯგუფი | | | |
| 06/03/2002 13:55 | ბრაზილია | 708 | 1.01 | 8.0 |
| 06/03/2002 13:55 | თურქეთი | 709 | 1.35 | 2.35 |
| 06/03/2002 13:55 | კოსტა რიკა | 710 | 3.0 | 1.2 |
| 06/03/2002 13:55 | ჩინეთი | 711 | 5.0 | 1.05 |
| | AD ჯგუფი | | | |
| 06/04/2002 16:25 | პორტუგალია | 712 | 1.05 | 6.0 |
| 06/04/2002 16:25 | პოლონეთი | 713 | 1.6 | 1.8 |
| 06/04/2002 16:25 | კორეა | 714 | 2.0 | 1.5 |
| 06/04/2002 16:25 | აშშ | 715 | 4.0 | 1.1 |
| | AG ჯგუფი | | | |
| 06/03/2002 11:25 | იტალია | 724 | 1.02 | 7.0 |
| 06/03/2002 11:25 | ხორვატია | 725 | 1.5 | 2.0 |
| 06/03/2002 11:25 | მექსიკა | 726 | 2.5 | 1.3 |
| 06/03/2002 11:25 | ეკვადორი | 727 | 3.0 | 1.2 |
| | AH ჯგუფი | | | |
| 06/04/2002 13:55 | რუსეთი | 728 | 1.4 | 2.1 |
| 06/04/2002 13:55 | ბელგია | 729 | 1.5 | 2.0 |
| 06/04/2002 13:55 | იაპონია | 730 | 1.5 | 2.0 |
| 06/04/2002 13:55 | ტუნისი | 731 | 3.0 | 1.2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მს. ჩემპიონატზე ჯგუფიში I ადგილი | | | |
| | AC ჯგუფი | | |
| 06/03/2002 13:55 | ბრაზილია | 808 | 1.25 |
| 06/03/2002 13:55 | თურქეთი | 809 | 3.5 |
| 06/03/2002 13:55 | კოსტა რიკა | 810 | 12.0 |
| 06/03/2002 13:55 | ჩინეთი | 811 | 20.0 |
| | AD ჯგუფი | | |
| 06/04/2002 16:25 | პორტუგალია | 812 | 1.4 |
| 06/04/2002 16:25 | პოლონეთი | 813 | 2.5 |
| 06/04/2002 16:25 | კორეა | 814 | 6.0 |
| 06/04/2002 16:25 | აშშ | 815 | 10.0 |
| | AE ჯგუფი | | |
| 06/01/2002 11:25 | გერმანია | 816 | 1.5 |
| 06/01/2002 11:25 | ირლანდია | 817 | 3.0 |
| 06/01/2002 11:25 | კამერუნი | 818 | 2.5 |
| 06/01/2002 11:25 | საუდის არაბეთი | 819 | 20.0 |
| | AF ჯგუფი | | |
| 06/02/2002 10:25 | არგენტინა | 820 | 1.6 |
| 06/02/2002 10:25 | ინგლისი | 821 | 1.9 |
| 06/02/2002 10:25 | ნიგერია | 822 | 5.0 |
| 06/02/2002 10:25 | შვედეთი | 823 | 7.0 |
| | AG ჯგუფი | | |
| 06/03/2002 11:25 | იტალია | 824 | 1.35 |
| 06/03/2002 11:25 | ხორვატია | 825 | 2.5 |
| 06/03/2002 11:25 | მექსიკა | 826 | 7.0 |
| 06/03/2002 11:25 | ეკვადორი | 827 | 10.0 |
| | AH ჯგუფი | | |
| 06/04/2002 13:55 | რუსეთი | 828 | 1.8 |
| 06/04/2002 13:55 | ბელგია | 829 | 2.0 |
| 06/04/2002 13:55 | იაპონია | 830 | 2.0 |
| 06/04/2002 13:55 | ტუნისი | 831 | 10.0 |

## გადასახადი თუ შემოწირულობა

### რატომ არის საბავშვო ბაღებში განსხვავებული საფასური

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისში ამჟამად 207 სახელმწიფო საბავშვო ბაღია. ქალაქის ბიუჯეტიდან ამ ბაღებისთვის ერთი ბავშვის კვებაზე 60 თეთრი გამოიყოფა. მშობელს კი, ოფიციალურად, მხოლოდ 5,40 ლარის გადახდა ევალება (დევნილები, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები გადასახადისგან თავისუფლდებიან). ეს თანხაც ბავშვთა კვებისთვის არის განკუთვნილი, მშობელს იგი ბანკში შეაქვს და ბაღის სპეცანგარიშზე ირიცხება. ამის მიუხედავად, თბილისის სხვადასხვა რაიონის საბავშვო ბაღში ბავშვის მიყვანა განსხვავებული თანხა ჯდება, ქალაქის პერიფერიებსა და არაპრესტიჟულ რაიონებში – 10-12 ლარი, პრესტიჟულ რაიონებში კი 15-დან 30 ლარამდე მერყეობს.*

წესით, ოფიციალური საფასურის, 5,40 ლარის ზემოთ მშობელი ფულს მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა იხდიდეს. ამას "შემოწირულობა" ეწოდება და იგი მხოლოდ ბავშვთა დამატებით კვებასა და სამეურნეო ხარჯებს უნდა მოხმარდეს. თუმცა, კარგა ხანია, ნებაყოფლობითი შემოწირულობა გადასახადად იქცა და ხშირად იგი პედაგოგთა ხელფასებსაც ხმარდება. თბილისის რამდენიმე საბავშვო ბაღს დავუკავშირდით და ნებაყოფლობითი შემოწირულობა მხოლოდ ერთი-ორმა თუ გვიხსენა, დანარჩენ ბაღებში კი კვების საფასურად 10 ლარზე ნაკლები არ დაუსახელებიათ. მაგალითად, 158-ე ბაღში 16 ლარს ახდევინებენ, 83-ე-ში – 20-ს, I-ში – 25-ს. თუ მშობელი ბაღის დირექტორს საკუთარი ოჯახის გასაჭირს მოუყვება და საფასურის დაკლებას სთხოვს, შეიძლება შეღავათი გაუწიონ. თუმცა, თხოვნა ყველა დირექტორზე არ ჭრის. მაგალითად, I საბავშვო ბაღში 25 ლარზე, ხოლო ბაგაში 40 ლარზე ნაკლებს არავის ახდევინებენ.

მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის ცნობით, ბავშვთა კვებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი და მშობლის მიერ შეტანილი თანხა დღეში 85 თეთრამდე გამოდის. ამ თანხით მხოლოდ საარსებოდ საჭირო პროდუქტების შეძენა ხერხდება. საინტერესოა, რომ იმ ბაღებში, სადაც კვების საფასურად 10-15 ლარს ახდევინებენ, ზუსტად იმავე სახისა და რაოდენობის პროდუქტებს ყიდულობენ, რისი შეძენა 6 ლარითაც (60 თეთრს+5,40 ლარი) ხერხდება. **"5,40 ლარი რომ ყველა მშობელმა გადაიხადოს, საარსებოდ აუცილებელი საკვების შეძენა მართლაც შეიძლება, მაგრამ ამ თანხას ყველა მშობელი ვერ იხდის. ამის გარდა, ფული სამეურნეო ხარჯებისთვისაც გვჭირდება"**, - განგვიმარტა 34-ე ბაღის დირექტორმა.

მერია ქალაქის საბავშვო ბაღებს მხოლოდ გათბობის ხარჯებს უხდის, სამეურნეო ხარჯებისთვის კი თანხას თვეში ერთი-ორ ბაღს ურიცხავს. თუმცა, მშობელთა შემოწირულობა, დამატებითი კვებისა და სამეურნეო ხარჯების გარდა, პედაგოგთა ხელფასებსაც ხმარდება. **"შემოწირული თანხით, უპირველესად, საკვებს ვყიდულობთ, რაც დაგვრჩება, პედაგოგებს ვაძლევთ. მათი ხელფასი 35 ლარს არ აღემატება, ასეთი ანაზღაურებით კი ვერავინ იმუშავებს"**, - გვითხრა 137-ე ბაღის დირექტორმა.

როგორც მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურში გვითხრეს, "შემოწირულობის", ანუ არაოფიციალური გადასახადების განმკარგავი უწყება მერიასა და განათლების სამინისტროში არ არსებობს. ასეთი თანხების კონტროლი საგადასახადო სამსახურს ევალება, აქამდე კი საქმე არ მიდის. გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობამ ბაღის ოფიციალური საფასურის რაოდენობა არც კი იცოდა, ხოლო ვინც იცოდა, საქმის მოგვარება ამჯობინა.

## ციტრამონი და ანალგინი - ნარკოტიკებში

ხათუნა ნადირაძე

**"დღეს საქართველოში არაკანონიერი გზით შემოსული ნარკოტიკებიდან არც ერთი არ არის სუფთა სახის"**, - აცხადებს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალური კვლევის ცენტრის უფროსი მაია ნიკოლეიშვილი. ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ლაბორატორიაში ექსპერტიზაზე შესული ნარკოტიკების უმეტესობის შემადგენლობაში ხშირად სჭარბობს ციტრამონი და ანალგინი. ლაბორატორიის გამგის, ლადო სარიშვილის განმარტებით, ეს წამლები ნარკოტიკებში იმდენად დიდი დოზითაა, რომ მას ორგანიზმის ძლიერი ინტოქსიკაციის გამოწვევა შეუძლია. **"ეს კიდევ ერთ პრობლემას ქმნის,"** - აცხადებს მაია ნიკოლეიშვილი, - **"ანალგინის არანაირი დოზით გამოყენება არ არის კრიმინალი. საქართველოში არ არსებობს სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა ხდებოდეს ნარკოტიკის თვისობრივი და რაოდენობრივი აღმოჩენა. ასეთი საკითხების მოგვარება ექსპერტიზის შესახებ კანონს შეუძლია. ასევე კანონი ხელს შეუწყობს საქართველოში მოქმედი უწყებრივი თუ დამოუკიდებელი ნარკოლოგიური სამსახურების ერთიანი პრინციპებით მუშაობას."**

იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი დეპარტამენტის უფროსის, გიორგი გოგიბერიძის განმარტებით, ექსპერტიზის შესახებ კანონპროექტი ექსპერტიზისა და სპეციალური კვლევის ცენტრთან ერთად მომზადდა. კანონპროექტის მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია და ამა თუ იმ პირს მხოლოდ მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში ექნება სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მონაწილეობის უფლება.

## ქართველი ბავშვები შიდსს ეთამაშებიან



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

მაკა ჭაიანი

სამედიცინო შპრიცი, თავის დროზე, იმისთვის გამოიგონეს, რომ მისი დახმარებით ადამიანები ავადმყოფობას გამკლავებოდნენ. დღეს იგი, ნაწილობრივ, კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში დაავადების - შიდსის საუკეთესო გამავრცელებელია - მედპერსონალის დაუდევრობისა და ინტრავენური ნარკომანების წყალობით, რომელთაც საერთო შპრიცის გამოყენება სჩვევიათ. მედპერსონალის დაუდევრობაზე ამჯერად არაფერს ვიტყვით, რაც შეეხება ნარკომანებს, როგორც ნარკოლოგები ამბობენ, მათ ერთი უცნაური წესი აქვთ - მომზადებული წამლის ვარგისიანობას სისხლის დაწვეთებით ამოწმებენ. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური შპრიცების გამოყენებითაც შეიძლება დაავადდეს ადამიანი. ამისთვის საკმარისია, ის, ვისი სისხლიც წამალს მოხვდა, შიდსით იყოს ინფიცირებული.

ახლა - უშუალოდ ბავშვების შესახებ. ნარკომანთა წეს-ჩვეულებებთან მათ კავშირი ნაკლებად აქვთ. პრობლემა ის არის, რომ ბაშვებს სადარბაზოებში, ეზოებსა და თბილისს ჯერ კიდევ შემორჩენილ სკვერებში უყვართ თამაში. იქაურობა კი, არცთუ იშვიათად, ნახმარი ერთჯერადი შპრიცებითაა სავსე. **"სამწუხაროდ, ეს, ძირითადად, ნარკომანების მიერ გამოყენებული შპრიცებია და დიდ საფრთხესაც შეიცავს. ჭუჭყიანი ნემსით დაჩხვლეტისას, ადამიანი ნებისმიერი ინფექციით, ცე ჰეპატიტითაც შეიძლება დაავადდეს, მაგრამ უფრო დიდი რისკიც არსებობს. თუკი ნემსი ინფიცირებულია, მისი საშუალებით შიდსით დაავადებაც ადვილად შეიძლება,"** - აცხადებს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გელა ლეჟავა.

ამასვე ამბობენ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. ცენტრის დირექტორი თენგიზ ცერცვაძე: **"ბუნებრივია, ასეთი საშიშროება არსებობს. დაავადებული ნარკომანის მიერ გამოყენებული შპრიცი არის და, ალბათ, დიდხანს იქნება შიდსის გავრცელების ერთ-ერთი საუკეთესო წყარო. ჩვენთან არაერთხელ მოუყვანიათ ეზოებში თამაშისას ნემსით დაჩხვლეტილი ბავშვი. საბედნიეროდ, შიდსი არც ერთ მათგანს არ დაუდგინდა, მაგრამ რა მოხდება მორიგი ასეთი შემთხვევისას, არავინ იცის."**

კარგა ხანია, სადარბაზოების დასუფთავება ბინების მეპატრონეთა ფუნქციებში შევიდა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანისთვის ჰიგიენა საკუთარი კარის ზღურბლთან იწყება და იქვე მთავრდება. რაც შეეხება ეზოებსა და სკვერებს, მათი დასუფთავება, ძველებურად, ქალაქის ხელმძღვანელთა საზრუნავია, თუმცა, რიგითი მოქალაქეებისა არ იყოს, ამ საქმეს არც ჩინოვნიკები აკლავენ თავს. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ექსპედიციის განყოფილების უფროსმა კარლო ჩოთირიძემ შპრიცების ამბავი გაიკვირვა: **"მსგავსი რამ პირველად მესმის. ჩვენ დასუფთავებაზე კონტროლს ვახორციელებთ და ასეთი პრეტენზია ჯერ არავის გამოუთქვამს. საერთოდ, რაც ჯანმრთელობას შეეხება, სანიტარიული სამსახურის მოსაგვარებელია."**

ქალაქის სანიტარიული სამსახური ამგვარ გადამისამართებას კატეგორიულად არ ეთანხმება. **"რა თქმა უნდა, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაფრთხილება ჩვენი საქმეა, მაგრამ დასუფთავებაში კეთილმოწყობის სამსახურს ნამდვილად ვერ შევეცილებით, ეს უშუალოდ მისი საზრუნავია. უბედურება ის არის, რომ ორგანიზებულად ქალაქში ქუჩების 35% თუ იგვება, დანარჩენს კი შემთხვევიდან შემთხვევამდე, ძირითადად, შაბათობებზე ასუფთავებენ. ამ 35%-ში შედის ცენტრალური ქუჩები, მეორე კატეგორიისა და განაპირა ქუჩები კი, ფაქტობრივად, მოუვლელია. ორ კვირაში ერთხელ ჩვენ სანიტარიულ შემოწმებას ვატარებთ და ქალაქის ხელისუფლებას წარვუდგენთ ინფორმაციას. ჩვენი ორგანიზაცია დამგველი ვერ იქნება,"** - აცხადებს სამსახურის უფროსი ჯუღული ახვლედიანი.

ასე თამაშობენ ჩვენში. დიდები - სიტყვებით, პატარები - ქუჩაში დაყრილი შპრიცებით. საქართველოში რეგისტრირებული შიდსით ინფიცირებული 305 ადამიანიდან კი 71% ინტრავენური ნარკომანია. შიდსით დაავადებული სამივე ბავშვის სამედიცინო ისტორიაში ინფიცირების მიზეზად დედაა დასახელებული. ჯერჯერობით.

## განათლების ყველაზე ეფექტური სისტემა ფინეთში

### გერმანია შეცდომებს ასწორებს, საქართველო კი კმაყოფილია

ნინო ცინცაძე

*ხვალ, 4 ივნისს, საქართველოს სკოლებში პირველი გამოსაშვები წერითი გამოცდა გაიმართება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთი წელზე მეტია განათლების სამინისტრო შეფასების ახალი სისტემის ძიებაშია, ეს გამოცდა კვლავ აქამდე არსებული წესით შეფასდება. რეფორმის გამო თითქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო საგამოცდო თემების სრულიად ახლებური შერჩევა, მაგრამ ასე არ მოხდება. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ 21-ე საუკუნის მე-11 კლასელები ისევ დაწერენ ან გადაიწერენ "ქალთა ტიპებს "ვეფხისტყაოსანში" ან "პატრიოტიზმი ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში". იმის იმედიც ნუ ექნება ვინმეს, რომ თავისუფალი თემა ახალ დროებას, გარემოსა და ყმაწვილთა თვალთახედვას ადეკვატურად უპასუხებს.*

*ვფიქრობთ, განათლების მესვეურთათვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ურიგო არ იქნება, გაეცნოს წარმატებული და განათლებული ქვეყნების მიდგომას სკოლის, გამოცდებისა და შეფასებისადმი.*

ახალი ათასწლეულის დამდეგს, მოქმედება დაიწყო PISA-ტესტის სახელით ცნობილმა მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამამ. იგი შემუშავდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში (OECD) შემავალი სახელმწიფოების: აშშ, გერმანია, კანადა, ფინეთი, იაპონია, კორეა და ა.შ. - სულ 28 სახელმწიფოს მოთხოვნით. პროგრამის მიზანია, გამოიკვლიოს, რამდენად ქმედითუნარიანია ამ ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოების განათლების სისტემები. ამ პროგრამის მესვეურთა მოსაზრებით, მათი ქვეყნების მომავალი ეკონომიკური განვითარების საწინდარი, სწორედ, განათლების სისტემის მუშაობის ეფექტურობაა.

2000 წელს პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი, ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების გარდა, კიდევ ოთხმა სახელმწიფომ - რუსეთის ფედერაციამ, ლატვიამ, ლიხტენშტეინმა და ბრაზილიამ გამოთქვა. 2001 წელს კი, პროგრამაში დამატებით თოთხმეტმა, OECD-ის არაწევრმა, ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის - ბულგარეთმა, ჩილემ, მაკედონიამ, პერუმ და რუმინეთმა. ჩატარდა დამატებითი გამოცდები, რომლის შედეგებიც მიმდინარე წელს გამოქვეყნდება. 2003 წელს ამ პროექტს კიდევ ორი სახელმწიფო - სლოვაკეთის რესპუბლიკა და თურქეთი შეუერთდება.

შემოწმებას გადიან სავალდებულო სწავლების ბოლო ეტაპზე მყოფი მოსწავლეები. გამოცდების მთავარი ამოცანაა დაადგინოს, რამდენად შეუძლია 15 წლის მოსწავლეს მიღებული ინფორმაციების გაგება, ურთიერთდაკავშირება და ინტერპრეტაცია. პროგრამის მიზნებსა თუ შედეგებს მრავალი ქვეყნის ექსპერტთა ჯგუფები ამოწმებენ, ამუშავებენ და ავითარებენ. მკვლევარებს, მოსწავლეთა ფაქტების უბრალო ცოდნაზე მეტად, ცოდნის პრაქტიკული გამოცდილება აინტერესებთ. მოზარდმა მომავალ ცხოვრებასა და მის მიერ არჩეულ პროფესიაში სკოლაში მიღებული ცოდნის ეფექტური გამოყენება უნდა შეძლოს.

პროგრამა სამ სფეროს მოიცავს: კითხვა/ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება. გამოცდები სამ ციკლადაა დაგეგმილი. თითოეულ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება სამი სფეროდან ერთ-ერთს ექცევა (ტესტის დროის ორი-მესამედი). დანარჩენ ორ მიმართულებაში კი მხოლოდ შემაჯამებელი შედეგები დგინდება. 2000 წლის მთავარი მიმართულება კითხვის კომპეტენცია გახლდათ. 2003 წელს ეს მათემატიკა იქნება, 2006 წელს კი - ბუნებისმეტყველება.

2000 წლის, ანუ ტესტის პირველი ეტაპის შედეგები ზოგიერთი ქვეყნისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: კითხვის კომპეტენტურობაში გერმანელმა მოზარდებმა საშუალოზე ბევრად დაბალი დონე აჩვენეს. კვლევის შედეგების მიხედვით, გერმანიის სკოლის ყოველ მეოთხე 15 წლის მოსწავლეს მხოლოდ მარტივი ანგარიში და უმარტივესი ტექსტების შინაარსის გაგება შეუძლია! გერმანია მხოლოდ ისეთი ქვეყნების წინ აღმოჩნდა, როგორებიცაა: ბრაზილია, რუსეთი და პორტუგალია. საშუალო მაჩვენებელზე მაღალის დაფიქსირება ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხერხდა.

განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებიდან საუკეთესო შედეგებს იაპონელმა ბავშვებმა მიაღწიეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათემატიკურ დისციპლინებში მათ პირველი ადგილი დაიკავეს. კითხვის კომპეტენციაში საუკეთესო შედეგები ფინელმა მოზარდებმა აჩვენეს. მათი უნარ-ჩვევები მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებშიც საშუალოზე ბევრად მაღალია. ფინეთთან მიმართებაში კიდევ ერთი რამ არის აღსანიშნავი: ამ ქვეყანაში მოსწავლეთა ქმედითუნარიანობა მათი ოჯახების სოციალურ წარმომავლობაზე დამოკიდებული არ არის. საშუალოზე დაბალი ფენის ოჯახების შვილები აუცილებლად სუსტი მოსწავლეები სულაც არ არიან. არადა, ეს პრობლემა ბევრ ქვეყანაში საკმაოდ მწვავედ დგას. ფინეთში ზღვარი ცუდ და კარგ მოსწავლეებს შორის საგრძნობლად შემცირებულია. ფინეთის ე.წ. სუსტი მოსწავლეებიც კი, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევენ. ასე რომ, სანტა-კლაუსის სამშობლო მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემისთვის მისაბაძი მაგალითი ხდება. მართლაც, საკუთარი შედეგებით შეძრწუნებული გერმანიის განათლების სამინისტროს 25-კაციანი დელეგაცია, 2 კვირის წინათ, სპეციალურად ჩავიდა ფინელ კოლეგებთან და იქ 1, 5 თვის განმავლობაში იმუშავებს.

პროგრამის პირველი ეტაპის შედეგები დღეს მრავალი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ თუ საგანმანათლებლო დარგებში მომუშავე ექსპერტთა კვლევის საგანია. ისინი ცდილობენ, გამოიკვლიონ და მინიმუმამდე დაიყვანონ ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება მათი ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისთვის შემაფერხებელი აღმოჩნდეს.

რა ხდება ამ დროს საქართველოში? დაინტერესებულია თუ არა საქართველოს მთავრობა პროგრამაში მონაწილეობის მიღებით?

საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ, რუსუდან გორგილაძემ, PISA-ტესტის შესახებ დასმულ შეკითხვაზე, ვრცლად გვიპასუხა ქართველი განათლების ექსპერტების საქართველოშივე აღზრდის სამინისტროსეულ ორიენტაციაზე. ხოლო კითხვაზე, აპირებს თუ არა საქართველო PISA-ტესტში მონაწილეობის მიღებას, თავად მან პასუხის გაცემა საჭიროდ არ მიიჩნია და განათლების სამინისტროსთან არსებულ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორთან, მაია მიმინოშვილთან გაგვაგზავნა. იქ კი მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ პროგრამაში მონაწილეობისთვის თითოეულმა ქვეყანამ 40 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს. რადგან საქართველოს დღეს ამ თანხის გადახდა გაუჭირდება, ინსტიტუტი ტესტირების შედეგებითა და მომავალი მიზნებით არ დაინტერესებულა. სამწუხაროდ, ამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ არც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის სხვა თანამშრომლებს.

თამაზ ტატიშვილმა, განათლების მინისტრის იმ მოადგილემ, რომელიც სკოლამდელ აღზრდასა და საშუალო განათლებას კურირებს, განაცხადა, რომ PISA-ტესტის შესახებ არაფერი სმენია! სკოლამდელი აღზრდის, საშუალო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავჯდომარემ მერაბ სანიკიძემ საშუალო განათლების პრობლემებზე საუბარი იმ მიზეზით არ ისურვა, რომ მის დაქვემდებარებაში,საშუალო განათლების დეპარტამენტის გარდა, კიდევ ორი სხვა უწყება შედის. მან სკოლების სამმართველოს უფროსს, კობა სუჯაშვილს, "გადაგვაბარა". მაგრამ, ამ "ავადსახსენებელი" პროგრამის შესახებ არც ბატონმა კობამ იცოდა რაიმე. მას შემდეგ, რაც მან ჩემგან მოისმინა ზოგადი ინფორმაცია PISA-ტესტის მიზნებისა და შედეგების შესახებ, განაცხადა, რომ ქართული სისტემაც უფრო უნარ-ჩვევებისადმი ორიენტირებული უნდა გახდეს, თუმცა, შემდეგ ისიც დაამატა, რომ თუ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული შეფასების წარმოება ადვილია, მაგალითად, ფიზიკასა და მათემატიკაში, მის გამოვლენას მშობლიურ ენასა და ისტორიაში მოზარდს ვერ მოვთხოვთ!

კიდევ ექნება თუ არა საქართველოს ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღების შანსი? რუსეთის ფედერაციაში ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელმა, განათლების რუსული აკადემიის თანამშრომელმა, გალინა კოვალიოვამ, სატელეფონო საუბარში გვითხრა, რომ რუსეთის მთავრობისა და, კერძოდ, განათლების სამინისტროს ამ პროგრამით დაინტერესება ძალიან დიდი იყო. ამიტომ ფინანსური დახმარებისთვის მათ მსოფლიო ბანკსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას მიმართეს. 2000 წელს PISA-ტესტში რუსეთის მონაწილეობის ხარჯები მსოფლიო ბანკმა და OECD-იმ დაფარა.

### მალხაზ ხარბედიას სვეტი



# სვირინგის აკადემია

## ანუ პოლიტიკური ცხოვრების საკუთარ კანზე გამოცდის ქართული ხელოვნება

"ქალაქი არავის ეკუთვნის და მასში კვალის დატოვება ნებისმიერს შეუძლია, ყოველ შემთხვევაში ნებისმიერს აქვს ამის უფლება", - თავის დროზე ასე ხსნიდნენ გრაფიტის, ქალაქური კედლის მხატვრობის (თუ ჯღაბნის) წარმოშობას და იმ ბავშვურ განურჩევლობასაც აღნიშნავდნენ, რომლითაც მისი "ავტორები" გამოირჩეოდნენ. აბა წარმოიდგინეთ, ბატარა ბიჭები თამაშ-თამაშ რალაცეებს აკაწრავენ მშობლიური უბნის კედლებს და თან ფეხებზე კიდიათ, ვინ რას იტყვის. მათ არ აინტერესებთ პუბლიკა და ვერ ამჩნევენ იმავე სივრცეში სხვა ადამიანთა არსებობას. ამ გოგო-ბიჭებს უბრალოდ თავიანთი კვალი "გამოჰყავთ", კვალზე მუშაობენ - სახელებსა და გვარებს, ცხვირისა და ყურის ფრაგმენტებს ტოვებენ კედლებზე.

თბილისში ხელოვნების ეს "დარგი" პერიოდულად ძალზე აქტუალური ხდება ხოლმე - უბრალოდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როდისაა არჩევნები დანიშნული - და უნდა ითქვას, რომ ეს აქტუალიზება პოლიტიკოსებში მიძინებულ უცნაურ პათოსებს აღვიძებს: მაგალითად, მაგიური ციფრებით გატაცებას, ან ამავე ციფრების სხვა, რელიგიური, საერო, თუ კლინიკურ-სამედიცინო მნიშვნელობებით დატვირთვის უნარს. შემდეგ კი ეს ყველაფერი ესთეტიზირდება და ხან კედლებზე გადადის, ხან ტანსაცმელზე და ხანაც ტანზე. ჰო, ნუ გიკვირთ, ისეთებიც არიან, ვისაც თავიანთი საყვარელი საარჩევნო ბლოკის ნომერი ბეჭზე არწივივით ახატია.

ერთი მეგობარი მყავს, გოგია. მხატვარია, კარგი ხელი აქვს, ჰოდა გუშინ მეუბნება, ბოლო ზარზე გოგოები მომადგნენ "საროჩკებით", სულ შემოხაზული ბლოკები და პოლიტიკოსების სიფათები მახატინესო. თუმცა რაღა გოგია, მეც ვნახე ეგეთები, ჩემი სკოლის წინ. ჭავჭავაძეზე ლამაზ-ლამაზი გოგო-ბიჭები გამოფენილიყვნენ და თავს იწონებდნენ, ზოგს პერანგზე კი არა, კისერსა და მკლავებზეც ეხატა ვარაყში ჩასმული ციფრები. დღეს სწორედ ამ ახალი ხელოვნების შესახებ უნდა მოგითხროთ, ქართულ პოლიტიკურ ტატუზე.

**ახლა კი მისმინეთ, ყურადღებით იყავით, გაუგონარ ამბავს გეუბნებით: თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, პოლიტიკური სვირინგის სახელოსნო გაიხსნა, ქართული ბოდი-არტი აყვავებას იწყებს.**

სამამულო ხელოვნებაში ახალი სახეები გამოჩნდნენ, მხატვრები, რომლებიც ნემსით ხელში სხედან და პატარა ამურებივით ხშირ-ხშირად ჩხვლეტენ ამომრჩევლებს, კვალს ტოვებენ მათ კიდურებზე, ზურგზე, მკერდსა და მუცელზე, უფრო ხშირად კი ქედზე, ანუ ჩვენებურად, კისერზე. "თუ არ მოხარე ქედი, კარგად არ გამოდის, – ამბობს ბეგლარა, ბოდი-არტისტი, – გადღაბნილად იხატება რა! რასპლივჩიტია! არადა ყველაფერი ნათელი უნდა იყოს, მსხვილი მაზოკებით."

დღეს, ქართულ პოლიტიკურ ხელოვნებაში ძირითადად მსხვილი "მაზოკები" ჭარბობს, ანუ ყველაფერი კარგადაა კონტურირებული და ხაზგასმული. ჩვენი დრო ვერ იტანს იმპრესიონისტებსა და ეგეთ ბუნდოვან ტიპებს. ყველაფერი ნათელი უნდა იყოს, მხოლოდ ციფრი და მორჩა...

ქართველი ბოდი-არტისტები ძირითადად სწორედ ამ ციფრების გამოყვანით არიან დაკავებული, ზოგს კელტური დეკორუმი მოსწონს, ზოგი მოდერნის სტილს ან პირიქით, ე.წ. დიგიტალურს ამჯობინებს, ზოგს კი ქართული, ბორჯღალებითა და ზღაპრული ფასკუნჯებით დამშვენებული ციფრები ურჩევნია. თუმცა არიან რევოლუციონერებიც, სრულიად ახალი სტილისტიკისა და განსხვავებული მანერის მხატვრები, რომელთაც ვერავის შეადრი. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ უახლოეს დღეებში სვირინგების დიდი გამოფენა გაიმართოს თბილისში და საერთოდაც, როდემდე უნდა იყვნენ ქართველი პოლიტიკური ტატუს ოსტატები თავშესაფრის გარეშე. შევქმნათ სვირინგის მხატვართა კავშირი, ავირჩიოთ თავმჯდომარე და დავითრიოთ გავლენის სფეროები თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში. კარგი იქნებოდა, აკადემიაც გაგვეხსნა. ნახეთ, როგორ ჟღერს: "ეროვნული პოლიტიკური სვირინგის აკადემია". ჰოდა ავირჩიოთ მერე აკადემიკოსები, ჩამოვაცვათ თავზე ჩაჩები და ვალაპარაკოთ გრძლად ეს პატივცემული გვამები.

აი, ასეთი პერსპექტივა აქვს ქართულ ტატუ-არტს, ანუ პოლიტიკური ცხოვრების საკუთარ კანზე გამოცდის ჩვენებურ ხელოვნებას და მოდით, ფართო გზა მივცეთ მას. რამდენიმე ათასი წლის წინ გაჩენილი ეს გასართობი დღეს განსაკუთრებულ აზრს იძენს და ესთეტიკურის გარდა, იგი მაგიურ-სოციალური მნიშვნელობითაც ივსება. ანუ მანახე შენი სვირინგი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.



ბესო გულაშვილის ფოტო

# „ბალ-მასკარადი„ ახალი სახელითა და ძველი კოსტიუმით

## გასტროლიორი გამგებელი მაესტრო კახიძის ხსოვნას მიაგებს პატივს

მადი სერებრიაკოვა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თავის დროზე, როდესაც 1989 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე "ბალ-მასკარადის" ერთ-ერთ საპრემიერო სპექტაკლზე ნუგზარ გამგებელის საოპერო დებიუტიც შედგა, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, თუ რა წარმატებები ელოდა ახალგაზრდა ტენორს და რაოდენ სანატრელი იქნებოდა მომავალში მისი რიკარდო თბილისის სცენაზე. დებიუტანტი რამდენიმე წელიწადში არაერთი საერთაშორისაო კონკურსის ლაურეატი და ალფრედო კრაუსის მოსწავლე გახდა. სადღეისოდ მას კარს საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, იტალიისა, თუ გერმანიის საოპერო თეატრები უღებენ. როგორც იტალიური, ისე გერმანული საოპერო რეპერტუარის ბრწყინვალე შემსრულებელი, ახალი სახელით (ევროპაში მას იცნობენ, როგორც ვალერიანო გამგებელს) და ახალი წარმატებებით ხელდამშვენებული ნუგზარ გამგებელი თბილისის ოპერას კვლავ "ბალ-მასკარადით" დაუბრუნდა.

ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელის ევროპული კარიერა არც ისე კარგადაა ცნობილი ქართველი მსმენელისათვის. სამწუხაროდ, უკვე ჩვეულ მოვლენად იქცა, როცა ქართველი მომღერლები დასავლეთში ვარსკვლავები ხდებიან, საქართველოში კი მათი სახელი კონსერვატორიის კორიდორებსა და ნათესავ-მეგობრების წრეს არ სცილდება. თბილისში ჭორის დონეზე თუ აღწევს ლადო ათანელის, იანო ალიბეგაშვილის (სხვათა შორის, სწორედ ათანელი და ალიბეგაშვილი უწევდნენ ნუგზარ გამგებელს 80-იანი წლების "ბალ-მასკარადში" პარტნიორობას), ბადრი მაისურაძისა და სხვათა წარმატებები. მსმენელთა ფართო წრისთვის შეიძლება ისიც არ არის ცნობილი, რომ 1990 წელს ფრანცისკო ვინიასის კონკურსის გრან-პრის მფლობელსა და ხულიო გაიარეს სახელობის კონკურსის ლაურეატ ნუგზარ გამგებელს ხოსე კარერასმა სპეციალური პრემია გადასცა, როგორც საუკეთესო ტენორს. მომავალში კი გერმანული რეპერტუარის საუკეთესო შესრულებისათვის ბარსელონაში კრიტიკამ მისი სიმღერა "მუსიკალური ინტერპრეტაციის დიდ მიღწევად" მონათლა.

რიკარდოს პარტია ნუგზარ გამგებელისთვის ერთ-ერთი პირველი საოპერო როლია. ქართულ საოპერო სცენაზე ზურაბ სოტკილავასთან ერთად, იგი ამ პარტიის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. ქართველი ტენორის - ამჯერად უკვე საგასტროლო - სპექტაკლებისთვის დიდი ხანია ემზადებოდნენ თბილისის საოპერო თეატრში. გამძაფრებული პასუხისმგებლობა ემჩნეოდა ძირითადად დებიუტანტებით დაკომპლექტებულ სპექტაკლის შემადგენლობასაც. მოულოდნელად შეკრული და კეთილხმოვანი გამოდგა ორკესტრიც – თამაზ ჯაფარიძის დირიჟორობით. მოკლედ ყველაფერი იმ ძველი, კეთილი ტრადიციების დაცვით ხორციელდებოდა, რომელისაც დღესაც სიამაყითა და სევდით იხსენებენ ჩვენს საოპერო წრეებში.

ტრადიაცია კი "ბალ-მასკარადის" ქართულ განხორციელებას მართლაც დიდი აქვს. რად ღირს ის ფაქტიც, რომ თბილისში პირველად იგი რომაული პრემიერის შემდეგ სულ რაღაც 3 წელიწადში დაიდგა ანტონიო ტორეძელის იტალიური დასის მიერ. ქართული სპექტაკლი კი 1988 წელს განხორციელდა ჯანსულ კახიძისა და მიხეილ თუმანიშვილის მიერ. გასაკვირი არ არის, რომ ამჯერად 30 მაისისა და 2 ივნისის სპექტაკლები ნუგზარ გამგებელმა სწორედ "დიდი მაესტროს" ხსოვნას მიუძღვნა.

თქმა რად უნდა, მაყურებელთა ყურადღების ცენტრში პირველ რიგში ნუგზარ გამგებელი იყო. ოპერაში სრული შემადგენლობით გამოცხადებული მუსიკალური ელიტა გულისფანცქალით ელოდა გასტროლიორის ყოველ მაღალ ნოტს. ეს უკანასკნელი კი გამგებელს აშკარად არ დაეწუნება. მის დიდებულ "მეცო-ვოჩესა" და ბრწყინვალე "მაღლებს" წინ ვერ დაუდგა ვერც გუნდი და ორკესტრი და ვერც დასი მთელი შემადგენლობით. ქართული ტემპერამენტითა და ევროპული დახვეწილობით გამოირჩეოდა მისი არია, დუეტი ამელიასთან და სიკვდილის სცენა.

მიუხედავად ამისა, გამოჩენილმა პარტნიორმა ვერ დაჩრდილა ამელიას პარტიის შემსრულებელი დებიუტანტი პარტნიორები მიშელინა ქობალიანი (30 მაისს) და ირმა ბერძენიშვილი (2 ივნისი). ახალგაზრდა მიშელინა ქობალიანმა, რომელმაც ერთხელ უკვე გამოიჩინა თავი თბილისის ოპერის სცენაზე "ტოსკაში", ამჯერად "გმირულ მეტოქეობა" გაუწია გამოჩენილ პარტნიორს დუეტის სცენებში. შესანიშნავი იყო მისი არიებიც (თავის დროზე ამისთვის მან ჩაიკოვსკის კონკურსის სპეციალური დიპლომიც დაიმსახურა).

თავიდან ცოტა არ იყოს სკეპტიკურად შეხვდა პუბლიკა ბესიკ გაბიტაშვილის რენატოს, მაგრამ მესამე აქტის სცენასა და არიაში იგი იმდენად ემოციური და არტისტული გამოდგა, რომ "ჩასაფრებულ კრიტიკოსებს" უმალ წაერთვათ სალაპარაკო. შესანიშნავად მოახერხა მსახიობმა მისი გაორებული გმირის გარდასახვაც.

მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელთა ყურადღება ძირითადად გასტროლიორ გამგებელსა და ახალგაზრდა სოლისტებზე იყო გამახვილებული, მაინც ძველებური შემართებით მუშაობდნენ სცენაზე ვეტერანი მომღერლები მანანა ეგაძე, ლიანა კალმახელიძე და ომარ ხოფერია.

"ბალ-მასკარადის" მეორე შემადგენდლობას რაც შეეხება, 2 ივნისის სპექტაკლზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დებიუტანტმა ამელიამ – ირმა ბერძენიშვილმა. ამ უკანასკნელმა, ოპერაში გუნდის მომღერლობიდან დაიწყო მოღვაწეობა და არაჩვეულებრივი ტემბრის წყალობით სპექტაკლის რეპეტიციების დროსაც საკმაო მითქმა-მოთქმა გამოიწვია მუსიკალურ წრეებში. "კონკურენტ" ქობალიანთან შედარებით, რომელმაც დებიუტანტის კვალობაზე ძალზედ პროფესიონალურად წარმართა მთელი სპექტაკლი - ირმა ბერძენიშვილი სცენაზე უფრო გაუბედავად გამოიყურებოდა, თუმცა გულწრფელი ემოციურობის წყალობით ეს ყველაფერი მისსავე წისქვილზე ასხამდა წყალს. მან ბრწყინვალედ გაართვა თავი სოლო ეპიზოდებს და ლამის დაჩრდილა ნუგზარ გამგებელი დუეტის სცენებში.

საერთო ჯამში, ორივე სპექტაკლი მეტად დინამიურად წარიმართა, მაყურებელი არ დაუღლია გაუთავებელი შესვენებებითა და გაწელილი ანტრაქტებით. კარგად მუშაობდა ორკესტრიც, რის გამოც სპექტაკლი კიდევ უფრო შეკრულად ჟღერდა. ამ მხრივ კი, დღეს ჩვენს ოპერაში ბევრი წარმოდგენა ვერ დაიკვეხნის.

# ქართული კულტურა ინტერნეტში

## კულტურის სამინისტრო საქმიანობის ახალ ფორმებს სწავლობს

ვერა ნეფარიძე

ქართული კულტურა ინტერნეტში მაძიებელთათვის შედარებით ხელმისაწვდომი გახდა; მსოფლიო ქსელში გამოჩნდა ვებ-გვერდი (www.gov.ge), რომელშიც ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციაა წარმოდგენილი ქართული თეატრების, შემოქმედებითი დასებისა თუ მუსიკალური კოლექტივების შესახებ. სახელმწიფო პროექტი კულტურის სამინისტრომ ერთწლიანი მუშაობის შემდეგ დაასრულა.

ვებ-საიტის პრეზენტაცია თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გუშინ გაიმართა. ქართული კულტურის ინტერნეტში წარმოჩენა, სესილი გოგიბერიძისა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლების გარდა, პარლამენტარებმა და სახელმწიფო მოხელეებმაც (გურამ შარაძე, მერაბ ადეიშვილი, ნინო ჩხობაძე, გიგი წერეთელი) აღნიშნეს. სიახლე მოიწონა "ერისიონის" პროდიუსერმა, ჯიმ ლოუმაც და მისი საჭიროება საკუთარი გამოცდილებით დაადასტურა: "მახსოვს ჩემი მცდელობები, ინტერნეტის დახმარებით დამეკმაყოფილებინა ინტერესი ქართული კულტურის შესახებ, რაც ძალიან გამიჭირდა. "ერისიონის" გამო ბევრი ევროპელი დაინტერესებულია საქართველოთი და ეს საიტი მათაც დიდ სამსახურს გაუწევს".

სამინისტროს თანამშრომლებს დიდი იმედი აქვთ, რომ საიტი მათ დიდ დაეხმარებას გაუწევს უცხოელ პროდიუსერებთან და კომპანიებთან ურთიერთობაში. თუმცა, მათ დასაინტერესებლად ჯობდა, საიტის ხარისხს მეტი ყურადღება მიქცეოდა.




ისე კი, კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდი გამოადგება ყველას, ვისაც სურს, თვალი ადევნოს კულტურულ ცხოვრებას საქართველოში (საამისოდ, კარგი იქნება თუკი საიტი ინტენსიურად განახლდება; ამჟამად, სამწუხაროდ, საიტზე უკანასკნელი "ახალი ამბები" აპრილის ბოლო რიცხვებით არის დათარიღებული).

შეპირებისამებრ, ინტერნეტ-საიტზე მუდმივად იქნება ინფორმაცია რეგიონების კულტურული ცხოვრების შესახებ. საამისოდ, სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, რამდენიმე რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამეგრელო, კახეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) შეიქმნა კულტურის საქმეთა კოორდინატორის ინსტიტუტი; ინტერნეტის ქსელში კი ჩართულია ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის, ფოთის, ხაშურისა და ამბროლაურის ბიბლიოთეკები, რაც რეგიონული კულტურული ცხოვრების თვალის სადევნებლად მშვენიერი საშუალებაა.

საიტის სრულყოფილებაზე საუბარი ზედმეტია, თუმცა ამის პრეტენზია არც სამინისტროს წარმომადგენლებს აქვთ; სესილი გოგიბერიძის თქმით, მათ გაუჭირდებათ საკმარისი ფინანსების მოძიება და ამიტომაც, სამინისტრო ამ ეტაპზე მინიმუმით დაკმაყოფილდება: "დასაწყისისთვის, ვფიქრობ შევძლებთ იმ ვაკუუმის ნაწილობრივ შევსებას, რომელიც გარესამყაროსა და ქართულ კულტურულ ცხოვრებას შორისაა". ამ ვაკუუმის შევსებას ინტერნეტ-გვერდზე, ჯერ-ჯერობით, რამდენიმე ბმულით (ე.წ. ლინკი) შეეცდებიან. ახალი ამბების, შემოქმედებითი დასებისა (ფოტომასალებითურთ) და თითქმის ყველა მოქმედი (4000-ზე მეტი) კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის გარდა, ვებ-საიტზე შეტანილია კულტურის შესახებ კანონპროექტის მნიშვნელოვანი პუნქტები; ასევე, კულტურის სამინისტროს სტრუქტურული სქემა; ტრადიციული ქართული ფესტივალების ისტორიები და ინფორმაციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

"ვებ-გვერდი კიდევ ერთი საშუალება იქნება საჯარო, გამჭვირვალე გავხადოთ სამინისტროს საქმიანობა", – მინისტრის თქმით, ვებ-გვერდზე აღრიცხავენ ყველა პროექტზე დახარჯულ თანხას. მისივე დაპირებით, სამინისტრო თანდათან დახვეწს ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების ამ ფორმით წარმოჩენას.

### კალენდარი

# 3 ივნისი

თანამედროვე მუსიკოსებზე დიდი გავლენა მოახდინა კერტის მეიფილდის მუსიკამ. მისი სიმღერები არაერთმა მომღერალმა შეასრულა: დენის უილიამსმა (I'm so proud), ჰერბი ჰენკოკმა (Future Shock) და სხვებმა. მეიფილდის სტილს დღეს ჰიპ-ჰოპისა და რეპის მიმდევრებიც ბაძავენ. ბლუზისა და სოულის პოპულარული შემსრულებელი, ცნობილი ჯგუფისThe Impressions-ის ლიდერი - კერტის მეიფილდი 1942 წლის 3 ივნისს დაიბადა. იგი 3 წლის წინ გარდაიცვალა, 1999 წლის 26 დეკემბერს.

# როცა ერთი ფოტო მთელ სათქმელს ამბობს

ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში რეკლამის განვითარების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა, - ფიქრობს მაქსიმ პლიუსნინი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თამარ სუხიშვილი

"მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს თქვენს არჩევნებში ერთი კანდიდატი და ერთი პარტიაა და მხოლოდ ნომრებია განსხვავებული," – ამბობს "ეპიკას" წარმომადგენელი რუსეთსა და დსთ-ის ქვეყნებში მაქსიმ პლიუსნინი, რომელიც ფიქრობს, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში რეკლამის განვითარების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა. პლიუსნინი იქვე, პრესკონფერენციაზე საკმაოდ სკანდალურ განცხადებას აკეთებს ერთ-ერთი ქართველი კოლეგის მისამართით და არ მალავს, რომ ფესტივალ CIFA-ს დროს საქართველოში მუშაობისას მიღებული მწარე გამოცდილების მერე ამ ქვეყნისკენ გამოხედვაც კი აღარ უნდოდა. მიუხედავად ამისა, პლიუსნინი დღეს თბილისის სტუმარია.

ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარეკლამო ფესტივალი "ეპიკა" 1986 წელს დაფუძნდა პარიზში. დაჯილდოების ცერემონიალი ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში იმართება. "ეპიკას" კონკურსი ნამუშევრებს ორი ძირითადი კრიტერიუმის საფუძველზე არჩევს: რეკლამის მხატვრული იდეის ორიგინალურობა და მისი შესრულების ხარისხი. "ეპიკა" რეკლამის სხვა ფესტივალებისგან იმითაც განსხვავდება, რომ ჟიურიში ჟურნალისტებიც მონაწილეობენ. აქედან გამომდინარე, როგორც "ეპიკას" პრეზიდენტი ენდრიუ როულინზი ამბობს, აქ არ ხდება ის, რაც სხვა ფესტივალებისთვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბევრ ფესტივალზე ჟიურის წევრი ცნობილი რეჟისორები თუ პროდუსერების პრიზების დიდ ნაწილს საკუთარ თავს გადასცემენ. ისინი ამას სულაც არ თვლიან მიკერძოებად და ლოგიკურადაც განსჯიან, რადგან ჩვენ ჟიურის წევრებად აგვირჩიეს, ესე იგი საუკეთესონი ვართ და პრიზებიც ჩვენ გვეკუთვნისო. "ეპიკას" ჟიური თავის თავს არ აჯილდოებს. ეს კი ობიექტურობის გარანტიას იძლევა", - აცხადებს როულინზი. "ეპიკას" 2001 წლის სტატისტიკა ასეთია: საკონკურსოდ 6200 განაცხადი შემოვიდა, მონაწილეობა მიიღო 770 კომპანიამ 39 ქვეყნიდან.

ევროპული რეკლამის ფესტივალის დღეები "ეპიკა თბილისში - 2002" წელს უკვე მესამედ ჩატარდა. "ეპიკას" თბილისური დღეები რამდენიმე სექციას მოიცავდა: ენდრიუ როულინზის მიერ შედგენილი უკანასკნელი 8-10 წლის კოლექცია, "ეპიკას" ნაბეჭდი და ვიდეოპროდუქციის დემონსტრაცია, 2001 წლის საუკეთესო ნამუშევრების ჩვენება, მაქსიმ პლიუსნინის ლექცია რეკლამის მარკეტინგისა და სპეციფიკის შესახებ, ქართული რეკლამის განვითარების ტენდენციების მიმოხილვა და ბევრი ისეთი რამ, რაც უეჭველად წაადგება ქართული რეკლამის მწარმოებელს. საღამოობით კი მონაწილეებს კაფე "მაკა ასათიანი" უმასპინძლებდა. ფესტივალის ბოლო სექცია ქართული სარეკლამო რგოლების ჩვენებას დაეთმო, რასაც მოჰყვა მსჯელობა სარეკლამო კანონმდებლობის, ახალი ტექნოლოგიების საკითხებზე. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული კომპანიების წარმომადგენლები, მაქსიმ პლიუსნინი და ენდრიუ როულინზი. თუმცა ამ უკანასკნელმა ძალიან მალე დატოვა დარბაზი, მე ინგლისელი ვარ და იმედია მაპატიებთ, ჩემი ნაკრების თამაშს უნდა ვუყუროო.

დახურვის ცერემონიალი სასტუმრო "საქართველოში" გაიმართა. დარბაზში შეკრებილი სტუმრები ქეთი ფარესაშვილის სიმღერის ფონზე დიდხანს ელოდნენ გამარჯვებულთა გამოვლენას. "ეპიკას" პრეზიდენტმა ენდრიუ როულინზმა ორი გამარჯვებული დაასახელა: სარეკლამო სააგენტო "ედკორპორაცია" TBC ბანკის რეკლამისათვის "მესაათე" და სააგენტო "სარკეს" რეკლამა "სადაზღვევო კომპანია იმედი- L". "თუ ყველა ნამუშევარი ასეთი იქნება, ქართული რეკლამა დიდ წარმატებას მიაღწევს", - გვითხრა ენდრიუ როულინზმა. რაც შეეხება ნაბეჭდ პროდუქციას, მან საუკეთესო ნამუშევრის დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა რამდენიმე რეკლამა, მათ შორის სტუდენტური ნამუშევრები, მოეწონა კიდეც. როულინზმა აღნიშნა, რომ, როგორც "ეპიკას" პრეზიდენტს, არ ჰქონდა უფლება სიგელი არაპროფესიონალთა სტუდიებისთვის გადაეცა. ამიტომ ამ სტუდიებმა ჯილდოდ მხოლოდ მადლობა მიიღეს. პლიუსნინისაგან განსხვავებით, როულინზი ფიქრობს, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ქართული სარეკლამო საქმის განვითარებაში ნამდვილად სასიკეთო ძვრები შეინიშნება. "ეპიკას" პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში სულ უფრო და უფრო უკეთეს ნამუშევრებს იხილავს.

თბილისური ფესტივალის მონაწილეებმა ბევრი კარგი რჩევა მიიღეს. წარმოდგენილმა კოლექციებმა დაგვანახა, რომ უბრალო საქაღალდის რეკლამაც კი შეიძლება ხელოვნების ნიმუშად იქცეს. მთავარია, დაიცვა პრინციპი - მინიმალური საშუალებით მიაღწიო მაქსიმალურ ეფექტს. და თუ ევროპულ სარეკლამო რგოლებში ფართოდ გავრცელებულ ფრაზას დავუჯერებთ, წარმატება გონების თამაშია, ხოლო თუ გონება გიჭრის, რეკლამაშიც წარმატებას მიაღწევ.

ევროპული რეკლამის ფესტივალის დღეები "ეპიკა თბილისში - 2002" უკვე დაიხურა. "ეპიკას" პრეზიდენტი ენდრიუ როულინზი დღეს ავიაკომპანია "აირზენას" თვითმფრინავით შინისკენ გაემგზავრა.

## CD WRITER












### ვენ მორისონი

Down The Road

როკის ირლანდიური ლეგენდის ყოველი ახალი ნამუშევარი თინეიჯერების თუ არა, ასაკშეპარული მსმენელის და კრიტიკოსების ყურადღების ცენტრში ნამდვილად ექცევა ხოლმე. მისი უკანასკნელი ალბომი ამ სტერეოტიპული ფრაზის ჩარჩოებიდან გამოდის – ის ძალიან კარგია. მორისონი დაუყვება გზას და სიმღერით Whatever Happened to P.J. Proby?, იხსენებს თავისი ახალგაზრდობისდროინდელი პოპ-მუსიკის გმირებს: პი ჯეი პრობის და სქრიმინგ ლორდ საჩს. ამ სიმღერით ის ქედს უხრის "ნამდვილ" მუსიკას, კბენს თანამედროვე პოპს და შემდეგ მთელ ალბომში ამ ხაზს აგრძელებს. მისი ამ დამოკიდებულების ვიზუალური დადასტურებაა დისკის ყდაზე აღბეჭდილი ძველი ჩანაწერების მაღაზია. სხვა სიმღერებიდან აღსანიშნავია ქართველების გულჩვილი აღტაცების მუდმივი წყარო, კლასიკური Georgia On My Mind და Evening Shadows, რომელშიც ბრიტანელი კლარნეტისტი, აკერ ბილკი მონაწილეობს. რაც შეეხება მორისონის საფირმო ნიშანს, ჯაზის, ბლუზის და მშობლიური ირლანდიური ფოლკის ნაზავს, ის ვალსში, Steal My Heart Away და ჩურჩულით მონათხრობ The Beauty Of Days Gone-ში გვთავაზობს.

### მუსიკა ფილმისთვის

Forrest Gump

მართალია, ექვსი ოსკარის მფლობელ, 1994 წლის საკულტო ფილმში ყველაფერი თავდაყირა დგას (მორჩილი იდიოტები ეროვნული გმირის ორდენებს ღებულობენ, ჰიპები კი შიდსს), მუსიკის მხრივ წუნს ვერ მოუძებნით. ფილმის თანმხლები მუსიკის ორდისკიანი ალბომი წელს, სპეციალურად კოლექციონერებისათვის თავიდან გამოსცეს და მასში ახალი მასალა შეიტანეს. კომპოზიტორ ალან სილვესტრის მიერ ფილმისთვის სპეციალურად შექმნილი ნაწარმოებების გარდა, ალბომში შესულია სიმღერები, რომლებიც ამერიკული კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. ფორესტის ისტორია, როკის ისტორიაა: როკ-ენ-როლის დაბადება – ელვის პრესლი; ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისთვის – ჯოან ბაეზი და ბობ დილანი; LSD – Byrds, Jeferson Airplain, Mamas and Papas; ვიეტნამი – Hair, Creedence Clearwater Revival; ჰიპები – Doors, Buffulo Springfield; ამერიკული კეთილდღეობა – Supremes, არეთა ფრანკლინი, რენდი ნიუმენი, ჯექსონ ბრაუნი, Beach Boys, Simon and Garfunkel...მოკლედ, უმჯობესია მოისმინოთ.

### ნუსრატ ფატე ალი ხანი

**Body & Soul**

ე.წ. world music-ის საერთაშორისო გურუმ, ალი ხანმა ეს ჩანაწერი გააკეთა პაკისტანში 1997 წელს, ხოლო მოგვიანებით ცნობილმა ინჟინერმა, სტიუარტ ბრიუსმა მისი სრული რემასტერინგი მოახდინა. ალბომში მთლიანად გახსნილია მუსიკოსის ორიგინალური ნიჭი. მისი, თითქოსდა არარსებული სამყაროდან ამოსული ტენორი ტაბლას, აკორდეონის და ველური ტაშისცემის ტრადიციულ ფონზე გამაოგნებლად ვიბრირებს. ალი ხანი, რომელსაც აკომპანიმენტს უწევს თავისი უფრო მკვეთრი ხმის მქონე ძმა, ფარუკი, მღერის სუფიით შთაგონებულ სასიყვარულო სიმღერებს და უზომოდ იმპროვიზირებს. პირველი კომპოზიციისგან განსხვავებით, სადაც ჯაზური ელემენტები დომინირებს, მთელი დისკი გაჟღენთილია ევრაზიული კულტურის სინთეზით და მსუბუქი ელექტრონიკით. მთლიანობაში ჩანაწერი საუკეთესო საშუალებაა ტრანსისმომგვრელი განწყობილების შესაქმნელად.

### ბილი ჯოელი

ჰიტების სრული კრებული

ბილი ჯოელის როიალზე შესრულების მანერა და მელოდიური სტილი ცალსახად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდ პატივს სცემს მუსიკოსი ელტონ ჯონს, პოლ მაკკარტნის და დუ-ვუპის ვარსკვლავებს. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას არასერიოზულად მოვეკიდოთ. ეკლექტური გავლენები და ტექსტების დახვეწილობა ადასტურებს, რომ ის ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ლამაზი ბალადების შემსრულებელი. ოთხი კომპაქტ-დისკისგან შემდგარ კრებულში სამი დისკი მოიცავს კარგად ცნობილი ჰიტების კლასიკურ ვერსიებს – ჯოელის 30-წლიან კარიერას. მეოთხე დისკზე ჩაწერილი მასალა კი ყველასათვის სიურპრიზს წარმოადგენს და საერთოდ პირველად ქვეყნდება. აქ შეტანილია ჩანაწერები მისი კითხვა-პასუხების საღამოებიდან. ის ესაუბრება მსმენელს თავის ხელობაზე, კარიერაზე, მუსიკალურ კონცეფციაზე და ნათქვამის საილუსტრაციოდ, იქვე ცოცხლად ასრულებს სიმღერებს. მათ შორის აღსანიშნავია "ბითლზის" A Hard Day`s Night – პირველი სიმღერა, რომელმაც ისე ძლიერ იმოქმედა ახალგაზრდა ჯოელზე, რომ განსაზღვრა მისი მომავალი.

## ამბები

### ტენორების აღლუმი სარატოვში

ცნობილი ქართველი ტენორი, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი თემურ გუგუშვილი ყოფილი საბჭოთა სივრცის იმ 9 ტენორს შორის მოხვდა, რომელნიც წელს სობინოვის სახელობის მუსიკალური ფესტივალის გახსნის პატივი ხვდათ წილად. ლეგენდარული სობინოვის პატივსაცემად წელს აქ "ტენორების აღლუმი" მოეწყო, რომელიც 13 დღეს გაგრძელდა და თემურ გუგუშვილი გარდა, მასში წამყვანმა ტენორებმა მიიღეს მონაწილეობა რუსეთის და უკრაინის თეატრებიდან: ლეონიდ ბომშტეინმა, ანატოლი ზაიჩენკომ, ავგუსტ ამონვმა, ივან იოსიკმა და სხვ. ფესტივალი 30 მაისს დასრულდა.

### ირაკლი ჩარკვიანმა დროებით შეაჩერა რომანზე მუშაობა

ირაკლი ჩარკვიანის ალბომი "ამო"-ს ჩაწერის შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა, მუსიკოსი კი უკვე ახალ ალბომზე მუშაობს. სტუდია "ქართულ ჩანაწერებში" გატარებული ერთი თვის შემდეგ, 4 ახალი სიმღერის ჩაწერა დასრულებულია. მუსიკოსი ახალ ალბომსაც თავის მეგობართან, ქეთათო პოპიაშვილთან ერთად იწერს. ალბომში დაახლოებით 10 ახალი სიმღერა შევა. ირაკლი მხოლოდ ერთი ძველი სიმღერის, "აფრენ"-ის ახალ ვერსიას შემოგვთავაზებს. სულ ცოტა ხანში მუსიკოსის სიმღერის "სექს"-ის ახალი კლიპიც გამოვა. ალბომის გამოსვლამდე ჩარკვიანი კონცერტსაც აპირებს, თუმცა, ზუსტი თარიღი ჯერ არ არის ცნობილი. ხოლო ალბომის გამოშვება სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. მუსიკალური იდეების მოძალების გამო, ირაკლიმ დროებით შეაჩერა თავის რომანზე მუშაობა.

### მწვანე ოთახი ახალ ალბომს იწერს

ირაკლი ჩარკვიანთან ერთად იმავე სტუდიაში ჯგუფი "მწვანე ოთახი" იწერს ახალ ალბომს. საქართველოში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, თუ რა სისწრაფით იწერება ახალი ალბომები, შეიძლება ითქვას, რომ მუსიკოსები ყველას მაგივრად მუშაობენ. "მწვანე ოთახი"-ს ახალ ალბომში 11-12 სიმღერა შევა. პირველი ალბომის ჩაწერის დროს ჯგუფთან ერთად ცნობილი ბასისტი ნოდარ ექვთიმიშვილი მუშაობდა; ამჯერად კი "ინსაითის" ბასისტი უჩა გუგუნავა დაუკრავს. "მწვანე ოთახის" სამომავლო გეგმებში უცნობთან ერთად ახალი კლიპის გადაღებაც შედის (ტექსტი-უცნობის, მუსიკა-აჩიკო გულედანის). ახალ ალბომში შესული სიმღერებიდან ჯგუფს ფაქტიურად არც ერთი არ წარუდგენია მსმენელისათვის ერთის გარდა: რუსთავი-2-ის საახალწლო საღამოზე შესრულდა სიმღერა "შათ დაუნის დრო".

ჯგუფის პროდიუსერის ცნობით "ისთერნ პრომოუშენ"-ი ივნისში ჯაზ ფესტივალზე "მწვანე ოთახს" ეპატიჟება. ფესტივალზე ჯგუფი როგორც ახალი, ასევე ძველი ალბომიდან შეასრულებს სიმღერებს. ხოლო ახალი ალბომის გამოსვლას შემოდგომაზე უნდა ველოდოთ.

### ფესტივალზე ძირითადად რუსი ვარსკვლავები მონაწილეობენ

პეტერბურგის თეთრი ღამეების ფესტივალი 31 მაისს გაიხსნა და 30 ივნისამდე გაგრძელდება. წელს ამ ფესტივალზე მოწვეულ სტუმართა სიმცირე იგრძნობა და არც ახალი მუსიკა შესრულდება. მონაწილენი ძირითადად რუსი ხელოვანები არიან, მათ შორის ცნობილი ვარსკვლავები: მეცო-სოპრანო ოლგა ბოროდინა, ტენორი ვლადიმირ გალუზინი და ალტისტი იური ბაშმეტი.

23 ივნისს გერგიევი უდირიჟორებს გალა კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბოროდინა, ჩვენი თანამემამულე ლექსო თორაძე და სხვები.

### საზაფხულო სიურპრიზები მუსიკის მოყვარულთათვის

ევროპელ მუსიკის მოყვარულებს ზაფხულში დიდ სიურპრიზები ელით. 27 ივლისიდან 31 აგვისტომდე ზალცბურგის ფესტივალი იმართება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოცარტის ნაწარმოებებს დაუთმობს. ეს იქნება წინასწარი სამზადისი 2006 წლისთვის, როდესაც დიდი კომპოზიტორის 250 წლის იუბილე უნდა აღინიშნოს. ზალცბურგის ფესტივალის ვარსკვლავები მიშა მაისკი და მარტა არგერიხი არიან. კლასიკური მუსიკის კონცერტები გაიმართება შვეიცარიის ალპებსა (19 ივლისი-4 აგვისტო) და ნორვეგიაში (25-30 ივნისი). ჰოლანდია მუსიკის დღეებს 7-21 ივნისს უმასპინძლებს, საფრანგეთში კი ორი ფესტივალია დაგეგმილი, 6 ივლისიდან 3 აგვისტომდე (ე.წ. Choregies d'Orange, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში, რომაული ამფითეატრის სცენაზე გაიმართება) და 1 ივლისიდან 27 ივლისამდე. საზაფხულო სიურპრიზებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როსინის საოპერო მუსიკის ფესტივალი იქნება, რომელიც 9-23 აგვისტოს იტალიის ქალაქ პესაროში გაიმართება. ლუცერნის ფესტივალზე კი (14 აგვისტო-15 სექტემბერი) აღმოსავლურ ცეკვებსა და მისტერიულ ელემენტებს დაეთმობა დიდი ადგილი.

### გამოფენა შეჯიბრებად გადაიქცა

1 ივნისს, ნიუ-იორკში გამართულ სამხრეთ ამერიკელი მხატვრების გამოფენა-გაყიდვიდან შემოსულმა თანხამ 6.577.703 აშშ დოლარი შეადგინა. ეს გამოფენა ალფრედო რამოს მარტინესისა და კლაუდიო ბრავოს ნამუშევრების კონკურენციად გადაიქცა. გამოფენა-გაყიდვას უამრავი ადამიანი დაესწრო როგორც სამხრეთ ამერიკიდან, ისე აშშ-დან. "სოთბის" დირექტორმა სამხრეთ ამერიკული ხელოვნების დარგში კირსტენ ჰამერმა აღნიშნა, რომ აუქციონზე ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ უესტ ქოუსტისა და ტეხასის კერძო კოლექციონერები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

### გაუდის სამყარო

ბარსელონას თანამედროვე კულტურის ცენტრი და დედოფალ სოფიას ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი ერთობლივად ამზადებენ გამოფენას "გაუდის სამყარო". ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა იქნება გაუდის წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში. წელს დიდი არქიტექტორის დაბადებიდან 150 წლის იუბილე აღინიშნება.

გამოფენის თემაა - გაუდი და ხელოვნება, ის მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა გაუდის მეთოდები და მისი თანამედროვეები, ხელოვნების გავლენა გაუდის შემოქმედებაზე და პირიქით, გაუდის გავლენა თავის თანამედროვეებზე. გამოფენის პრეზენტაცია ბარსელონაში გაიმართება. გამოფენა სამ სექციას აერთიანებს: გაუდის პერიოდის კულტურული მიმდინარეობები, გაუდის ხელოვნება და გაუდის, როგორც თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ოსტატის, გავლენა.

## Heart and Soul შიდსს დაამარცხებს

გაერო აპირებს, შიდსს შოუბიზნესის წყალობით ებრძოლოს. ახალი საპნის ოპერა Heart and Soul სწორედ გაეროს შეკვეთით მომზადდა და ის აფრიკის ტელე და რადიოეთერში ყოველკვირეულად გადაიცემა. შიდსის წინააღმდეგ მიმართულ შოუს, სავარაუდოდ, რამდენიმე ასმილიონიანი აუდიტორია ეყოლება. "ძირს შიდსი!" – ამ სლოგანის გარდა, ახალი საპნის ოპერა გაეროს სხვა მესიჯებსაც გააჟღერებს. წამყვანი თემები იქნება გარემოს დაცვა, სიღარიბის დაძლევა, ადამიანის უფლებებზე ზრუნვა და სქესობრივი ძალადობის აღმოფხვრა. ტელეპროექტს გაეროს 24 სააგენტო უჭერს მხარს. "ეს საუკეთესო წამოწყებაა", - დასძენს კოფი ანანი. საპნის ოპერის იდეა მოსწონს მსოფლიო ბანკსაც, ბრიტანეთის საბჭოსაც და "ბიბისისაც". Heart and Soul ცნობილი სამხრეთაფრიკული სერიალის Soul City მიხედვით დაიწერა, რომელიც ტელეეთერით 1992 წლის შემდეგ გადის.

ახალი სერიალი ჯერჯერობით ინგლისურ ენაზეა, თუმცა, გეგმაშია მისი ფრანგული და პორტუგალიური ვერსიების შექმნაც. სერიალი, TV Africa-ს წყალობით, აფრიკის 22 ქვეყანაში გადაიცემა. იდეის ავტორი, ტორი ბრევიკი (გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის საზ. ურთიერთობების ყოფილი უფროსი) აცხადებს: **"იმედი მაქვს, ჩვენი სერიები აფრიკელებს თვალს აუხელს. ჩვენი მიზანია, ხალხმა თქვას: "ეს არასდროს ვიცოდი".**

შიდსის წინააღმდეგ მიმართული საპნის ოპერის დადგმა მილიონი დოლარი დაჯდა. თუმცა, თანხის მესამედით პროექტი საერთაშორისო დონორებმა დააფინანსეს. მათ შორის, 100 ათასი დოლარი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა გაიღო.



## დედოფლის ოქროს შაბათ-კვირა

პოპ და როკ ვარსკვლავები ბუკინგემის სასახლეში ახალ პერფორმანსს დღეს გამართავენ. თუმცა, მუსიკალური პრეცედენტი უკვე დაფიქსირდა. დედოფლის ოქროს იუბილეს აღსანიშნავი პირველი სამეფო კონცერტი შაბათს ჩატარდა. შესრულდა ნაწყვეტი მოცარტის "ფიგაროს ქორწინებიდან". "ბიბისის" სიმფონიური ორკესტრის და ბენდის მუსიკალურ წარმოდგენას ფონად გასდევდა შთამბეჭდავი ფეიერვერკი. ეროვნული ჰიმნის შესრულებისას მომღერალთა გუნდთან ერთად დედოფალიც ამღერდა. ღონისძიების შემდეგ ელისაბედმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: რამდენიმე შემსრულებელი ფანებთან შესახვედრად სასახლის წინ გაიყვანა. სასახლეში მოხვედრილი 12 ათასი "იღბლიანის" გამოკლებით, უმნიშვნელოვანეს შოუს 40 ათასი ცნობისმოყვარე უზარმაზარ მონიტორებზე უცქერდა.

დღეს კი იუბილარი დედოფალი პოპ და როკ ჯგუფების წარმოდგენით შეიქცევს თავს. ამჯერად სამეფო ოჯახის სმენას, "ფიგაროს ქორწინების" ნაცვლად, ოზი ოსბორნის, რიკი მარტინის, ტომ ჯონსის, არეტა ფრანკლინის, პოლ მაკარტნის და სხვათა სიმღერა დაატკბობს.



## სკანდინავიური კროსვორდი



## TV პროგრამა 3 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი. ჩვენი ეზო
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 დოკ.ფილმი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობა ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "კომუნიკატორი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "სფერული ელვა" მთ.როლებში: შონ კონერი, კლოდინ ოგერი

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. სერიალი "მშვიდობით ჩვ საუკუნევ"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ხორვატია - მექსიკა
13.30 ფოლკლორი მოგზაურობს
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ბრაზილია - თურქეთი
16.00 50/50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იტალია - ეკვადორი
18.25 "რამპა"
18.30 სერიალი "მორიგი მსხვერპლი"
19.10 "ენერგია"
19.40 ბასტი-ბუბუ
20.00, 22.50 მოამბე
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ბრაზილია - თურქეთი
23.35 სერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვილეოპატრული
00.25 ქართ. ფილმი "თეთრი ქარავანი"

### მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22.15 "მოამბე" მეორე არხზე
22.30 მხ.ფილმი "კლდე"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.30 "სალონი"
14.00 სერიალი "საიდუმლო ნიშანი"
15.20 კომპიუტერის გაკვეთილი
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები.
22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "ბალჯახი"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 11.55, 20.20, 21.55, 01.00 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "კარგები და ცუდები"
10.05 მხ.ფ. "დამსჯელი"
20.25 მხ.ფ. "ოფოფებით თავში"
22.00 მხ.ფ. "დათოვლილი ფიჭვები"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მო" განმეორებით
13.00 ინფორმატორი
13.35 სარეკლამო ათეული
15.00 მხ.ფილმი
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ქალთევზები"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 ევროპული ათეული
23.00 უცნობი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ინტუიცია". მთ. როლში ჯონ კიუსაკი
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "უკანასკნელი ადამიანი-ძაღლების ტომიდან". მთ. როლში ტომ ბერენჯერი
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მგლის საძმო"
14.20 მხ.ფ. "შავი ქორის დესანტი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პოლიციის აკადემია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "თვალთმაქცობა"
22.30 მხ.ფ. "სათამაშო"

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა
09.10 სად? რა? როდის?
10.00 "დილა"
11.45 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
12.35, 16.15, 17.15, 18.45, 20.20, 22.00, 23.55, 00.20 მუსიკა
12.45 მხ.ფილმი "მწვანე ბარათი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45, 20.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
15.05 მაცაცერა
15.15 დოკ. ფილმი "ბასტერ კიტონი"
16.30 მხ.სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-5 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი"
18.15 საგავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
19.00 მხ.ფ. "კავკასიელი ტყვე ქალი".
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.15 მხ.ფ. "სიკვდილი რაღაცისათვის". მთ. როლში ნიკოლ კიდმანი
00.40 მხ.ფ. "დათვის ბუნაგი". მთ. როლებში რობერტ დე ნირო, ედვარდ ნორტონი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.20 Новости в воскресенье
09.40 მულტსერიალი
10.20 საბავშვო ფილმი "მამილო აფიშიდან"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "ტარზანი"
13.50 კომედია "გამოუსწორებელი "
15.25 მუსიკა
16.15 მულტფილმი
17.30 მხატვრული ფილმი "ერთი-ორი, მიდიოდნენ ჯარისკაცები"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 თრილერი "შესანიშნავი შვიდეული"
22.00, 00.00 "დღეს"
22.50, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.10 თრილერი "იტალიური მაფია"
03.30 მელოდრამა "ლამაზმანი"

### VII არხი

10.25 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
11.25 მულტსერიალი
11.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
12.45 გასართობი პროგრამა
13.10 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 სპორტი
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 მუსიკალური ტაიმაუტი
18.50 ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 საინფორმაციო გამოშვება
19.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა.
20.55 "ლა-ლა-ლა"
21.35 მუსიკალური ტაიმაუტი
21.55 მოკლედ... სპორტი
22.00 პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი" -ეკრანული სახეები - "ჯო სიკვდილი" - 1 სერია.
00.15 საინფორმაციო გამოშვება
00.55 მხ.ფ. ჟანრებში: - "ბრძნობის ტალღა"

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Сериал "семейные узы"
11.15 ФУТБОЛ. ХОРВАТИЯ-МЕКСИКА.
13.50 Док. детектив "Дьявольская колесница".
14.20 х.ф. "ЗАПАСНОЙ ИГРОК"
16.20 ФУТБОЛ. ИТАЛИЯ-ЭКВАДОР.
18.30 "С легким паром!"
19.20 Жди меня
20.20 х. ф. "ХИЩНИКИ"
22.00 Время
22.35 "Слабое звено"
23.25 Независимое расследование
00.05 х.ф. "ПАРИЖСКИЙ АНТИКВАР" 1-я с.
01.00 Ночное "Время"
01.30 Чемпионат мира пол футболу.

### РТР

06.50-10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30,13.20 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 09.30 Афиша
07.40, 23.45 Дорожний патруль
08.10, 09.40 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход.
08.25 Вести-спорт
08.40 Федерация
09.15 Хронограф
10.10 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ"
11.20 Вести недели.
12.15 Моя семья
13.30 Сериал "СИБИЛЛ".
14.00 Сериал "ЛОДКА ЛЮБВИ"
15.00 Сериал "дикий ангел"
16.20 Что хочет женщина
16.50 х.ф."ОДНИ НЕПРИЯТНОСТИ"
18.50 Вечер памяти С. Федорова.
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Док. сериал "Футбольные войны".
22.50 х.ф."КОБРА. ЗАМОРОЖЕННЫЙ ТРАНЗИТ". 1-я ч.
00.00 Вести - Подробности
00.30 ФУТБОЛ. БРАЗИЛИЯ-ТУРЦИЯ.
02.40 Дневник чемпионата мира по футболу.

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 Сериал "СЫЩИКИ".
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 "Намедни"
12.40 Куклы
13.20 фильм "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
15.20 Ток-шоу "Принцип "Домино"
16.40, 19.35 Криминал
17.30 фильм "АМЕРИКАНСКАЯ ДОЧЬ"
20.35 фильм "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
21.45 Сериал "ПО ИМЕНИ БАРОН..."
23.35 Герой дня 23.55 Сериал "скорая помощь-3"

### TV6

08.00, 08.15, 08.30, 08.45, 09.00, 09.15, 09.30 Новости
09.30, 10.25 Место печати
08.15, 09.35 Свободное время
08.20, 09.20, 10.30 "АБС"
08.35, 09.45 Назло
08.45 Мульфильм
09.10 Спорт.
10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00 Новости
10.35 Мульфильмы
11.10 "КОРОЛЕК-ПТИЧКА ПЕВЧАЯ" 3-я с.
12.25 Итоги
14.35 "Помехи в эфире"
15.00, 21.00, 01.25 "За стеклом. Теперь ты в армии"
16.25 100 чудес света
17.25 фильм "ЗА ТРИДЕВЯТЬ ЗЕМЕЛЬ"
18.30, 23.00 Сериал "детектив нэш бриджес"
19.25 "Публичные люди"
20.35 "Смотрите кто пришел"
22.45 "Тушите свет"
00.00 Грани
00.35 "Без протокола"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 64, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71

იბეჭდება გამომცემლობა "საშობლოს" სტამბაში